დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2024 წლის 8 - 14 იანვარი
N 3 1521
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



# რადაც ხდება!
2

## სანქცირებულია და კარგად არის!
2

„ოცნებას“ დარჩენილი აქვს ხალხის ვალი - დამნაშავეების დასჯა, რომელიც ვალდებულია, გაისტუმროს!“
11

„ივანიშვილმა ცხადად დაინახა, რომ „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერი ორ სკამზე იჯდა!“

## «საქართველო ძალიან მალე გაერთიანდება!»
8-10



«თუ არჩევნები წესიერად ჩატარდება, «ოცნება» უპრობლემოდ გაიმარჯვებს!»

## «იდეალური იქნება, თუ ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტად მოვა!»
5



ირაკლი ღარიბაშვილი და ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების" ყრილობაზე. 2023 წლის 30 დეკემბერი

# რაღაც ხდება!

## არც ივანიშვილსა და არც ღარიბაშვილს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით ასეთი მკაფიო და იმპერატიული რიტორიკა არასოდეს ჰქონიათ!



პარტია „ქართული ოცნება -

*რაღაც ხდება! აშკარად რაღაცაშია საქმე! ეტყობა, დიდი პოლიტიკის კულუარებში ისეთი ამბები ტრიალებს, ჯერ რომ ვერ ვხედავთ და ვერ ვგრძნობთ!* ***— ამგვარი ფიქრები აგვეკვიატა მას შემდეგ, რაც 2023 წლის 30 დეკემბერს პარტია „ქართული ოცნების" ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილის გამოსვლას მოვუსმინეთ.***

მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და აწ უკვე „ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარემ თავის არცთუ ვრცელ გამოსვლაში **ორჯერ, თანაც აქცენტირებულად და, როგორც იტყვიან, ყურში მოსახვედრად** ახსენა საქართველოს გაერთიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

კერძოდ, გამოსვლის დასაწყისში **ბიძინა ივანიშვილმა** განაცხადა:

> ***„საქართველოს ეროვნული მიზნები არსებითად შესრულებულად მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მივიჩნიოთ, როცა ეროვნულ თვითმყოფადობას ბოლომდე დავიცავთ, სახელმწიფოს სუვერენიტეტს სრულად აღვადგენთ, ქვეყანას გავაერთიანებთ და საგარეო პოლიტიკურ ამოცანებს შევასრულებთ".***

**სახელმწიფოს სუვერენიტეტის სრულად აღდგენა!**

**ქვეყნის გაერთიანება!**

პოლიტიკაში დაბრუნებული ივანიშვილის ეს ნათქვამი ნამდვილად არ ჰგავდა არც პათეტიკურ სადღეგრძელოს და არც ცრუქაქუნა პოლიტიკოსების ლიტონ განცხადებებს, ათასში ერთხელ, გაკვრით და მოვალეობის მოხდის მიზნით რომ ახსენებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას.

არა, რაღაც უფრო სხვანაირად, რაღაც უფრო კონკრეტულად, რაღაც უფრო საქმიანად და იმედის მომცემად ამოვიდა ბიძინა ივანიშვილის პირიდან — **„როცა სახელმწიფოს სუვერენიტეტს სრულად აღვადგენთ და ქვეყანას გავაერთიანებთ!"**

სიტყვით გამოსვლის ბოლოს ივანიშვილმა კიდევ უფრო მეტი სიმტკიცისა და ოპტიმიზმის ელფერი მისცა თავისივე ნათქვამს, როცა კიდევ ერთხელ და უფრო ომახიანად განაცხადა:

> ***„ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ბოლომდე დავიცვათ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, სრულად აღვადგინოთ სახელმწიფო სუვერენიტეტი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა".***

გესმით?

შეგვიძლია, სრულად აღვადგინოთ საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობაო!

**აბა, გაიხსენეთ, რომელიმე ქართველ პოლიტიკურ ლიდერს ასე მკაფიოდ, ასე აქცენტირებულად და თავდაჯერებულად ბოლოს როდის უსაუბრია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე?**

ან სხვა პოლიტიკურ ლიდერებს შეეშვით, **თავად ივანიშვილისაგან როდის მოგისმენიათ, რომ საქართველოს გაერთიანებაზე ასე ელაპარაკოს?**

არასოდეს მომხდარა ასეთი რამ!

**ახლა კი ხდება!**

**რაღაც ხდება!**

**რაღაცაშია საქმე!**

იქ, იმ დიდი პოლიტიკის ველზე, სადაც დიდ ამბებს ატრიალებენ, დიდ საქმეებს ჩარხავენ და დიდ გეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ, **დღეს, ეტყობა, ისეთი სიო ქრის, შეიძლება, საქართველო რაღაცას გამორჩეს!**

კი, რაღაცა იცის და რაღაცის იმედი აქვს ბიძინა ივანიშვილს, თორემ ასე გადაჭრით და ასეთი დარწმუნებით არ იტყოდა — **ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სრულად აღვადგინოთ სახელმწიფო სუვერენიტეტი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაო!**

თანაც, მხოლოდ პოლიტიკაში დაბრუნებული **ივანიშვილი** როდი ამბობს ამას!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილიც** იმავეს აცხადებს!

როცა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით აკეთებდა კომენტარს, მთავრობის მეთაურმა აღ-

## იქნებ პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნებას საქართველოს დაბრუნება მოჰყვეს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში!

### ქვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



რა პირადი სურვილებიც არ უნდა გვქონდეს, **ყველას ფიქრები განუყოფელია საქართველოსგან** — სამშობლოს უპირობო სიყვარული არის ის, **რაც გვაერთიანებს არამხოლოდ ერთმანეთთან, არამედ — ჩვენს დიდ წინაპრებსა და მომავალ თაობებთან.**

„ინტერპრესნიუსი"

**ბიძინა ივანიშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარე*



სამი წლის შემდეგ, ჩემივე ინიციატივით, **პარტიის საპატიო თავმჯდომარის სტატუსით პოლიტიკურ ცხოვრებას ვუბრუნდები** — პოლიტიკაში თანამდებობისთვის არ მოვსულვარ.

**ოპოზიცია სრულად განადგურდა, რამაც მმართველ პარტიას შეიძლება თავბრუ დაახვიოს** — როდესაც გარეთ დასაპირისპირებელი არავინ რჩება, ჩნდება ცდუნება, რომ **დაპირისპირება გუნდის შიგნით გამოიგონო.**

ახლა რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, **მმართველი გუნდი 90-100 მანდატს საარჩევნო კამპანიის გარეშეც მიიღებდა** — ჩემი მიზანი ჭარბად მოძლიერებული გუნდის **ადამიანური ცდუნებებისგან** დაცვაა.

„ინტერპრესნიუსი"

**თეა წულუკიანი**
*კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი*



მინდა, **42 ათასზე მეტ ადამიანს,** ვინც „ქართული ოცნების" წევრად ირიცხება, ჩვენს პარტიულ აქტივს, ასევე **100 ათასობით მხარდამჭერს** მივულოცო **ბიძინა ივანიშვილის** პოლიტიკაში დაბრუნება.

„აიპრესი"

ნიშნა:

> *„პოლიტიკაში მოსვლამდე და პოლიტიკაში მოსვლის შემდეგაც ბატონი ბიძინას მთავარი მიზანი, მისი, დავარქვათ ასე, მთავარი მისია, შეიძლება ითქვას, ოცნება არის ჩვენი ქვეყნის გაერთიანება. ქვეყანა უნდა მომზადდეს გასაერთიანებლად. ამ საქმეშიც, ამ ყველაზე დიდ ეროვნულ საქმეში ბიძინა ივანიშვილის როლი იქნება უნიკალური და შეუცვლელი“.*

— **ქვეყანა გასაერთიანებლად უნდა მომზადდეს!** — ამბობს საქართველოს მოქმედი პრემიერ-მინისტრი და ამბობს მაშინ, როცა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი პოლიტიკაში დაბრუნდა.

**— საქართველოს ეროვნული მიზნები არსებითად შესრულებულად მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მივიჩნიოთ, როცა სახელმწიფოს სუვერენიტეტს სრულად აღვადგენთ და ქვეყანას გავაერთიანებთ! ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სრულად აღვადგინოთ სახელმწიფო სუვერენიტეტი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა!** — ამბობს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში მესამედ მოვიდა.

მოდი და ნუ იტყვი, რომ რაღაც ხდება!

**აშკარად რაღაც ხდება!**

არც ბიძინა ივანიშვილსა და არც ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით ასეთი მკაფიო და იმპერატიული რიტორიკა არასოდეს ჰქონიათ!

**ახლა კი აქვთ!**

რაღაცნაირად ახლებურია, რაღაც სხვანაირი და განსხვავებულია ეს რიტორიკა!

ახლომახლო მიმოიხედავ და აზერბაიჯანის მაგალითი გაქვს, რომელმაც სულ ახლახან სრულიად მოულოდნელად გადაჭრა ყარაბაღის პრობლემა და აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა!

ცოტა შორს გაიხედავ და სტრატეგიულ პარტნიორად გყავს **ჩინეთი** — უდიდესი მოთამაშე, რომლის გეოპოლიტიკური წონაც დღითი დღე იზრდება და რომელსაც დიდი გავლენა აქვს რუსეთზე!

**ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკრაინის ომის კვალდაკვალ, საქართველომ რუსეთს მეორე ფრონტი არ გაუხსნა და დამატებითი თავსატკივარი არ გაუჩინა!** მართალია, საქართველომ ეს რუსეთის სიყვარულით კი არა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი მშვიდობისა და სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად გააკეთა, მაგრამ ისეც ხომ გამოვიდა, რომ უკრაინაში მეომარ რუსეთს საქართველომ ზურგში მახვილი არ აძგერა? ეს კი, როგორც, მინიმუმ, შეიძლება, კარგი პლაცდარმი იყოს რუსეთთან მოლაპარაკებების დასაწყებად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით!

იქნებ სწორედ ამიტომ ამბობს **ბიძინა ივანიშვილი — ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სრულად აღვადგინოთ სახელმწიფო სუვერენიტეტი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაო!**

იქნებ სწორედ ამიტომ ამბობს **ირაკლი ღარიბაშვილი — ქვეყანა გასაერთიანებლად უნდა მომზადდესო!**

იქნებ ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას საქართველოს დაბრუნება მოჰყვეს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში!

**იქნებ სწორედ ეს იყოს ის „რაღაც“, რაც ახლა ხდება!**

**არადა, მართლა რაღაც ხდება!**

***ჟაბა ხუბუა***

# სანქცირებულია და კარგად არის!

*— რეალურად, სანქცირებული ვარ, ამიტომ ოპოზიცია ტყუილად ღელავს და ღია კარებს ამტვრევს — დაასანქცირეთ და დაასანქცირეთო! დასანქცირებული ვარ, მაგრამ ძალიან კარგად ვარ, ყველაფერი საკმარისად მაქვს და პოლიტიკაშიც დავბრუნდი, რათა კიდევ დავეხმარო ქვეყანას!* ***— განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ამჯერად უკვე მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარის სტატუსით დაბრუნდა.***



ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ყრილობაზე. 2023 წლის 30 დეკემბერი



დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობა. 2023 წლის 30 დეკემბერი

ივანიშვილმა იმაზეც ისაუბრა, თუ როდის და რა ფორმით მოხდა მისთვის სანქციების დაწესება:

> ***„მე, რეალურად, სანქცირებული ვარ დე ფაქტო, ყველაზე უხეში მეთოდებით და უხეში გზებით, ყოველგვარი კანონის გვერდის ავლით. უკრაინაში ომის დაწყებიდან ერთ თვეში ყველა აქტივი გამიჩერეს და სასამართლოებში მატარებენ“.***

მიაქციეთ ყურადღება: **ივანიშვილი აცხადებს, რომ ფინანსური აქტივები გაუყინეს და არაოფიციალურად დაასანქცირეს უკრაინაში ომის დაწყებიდან ერთ თვეში, ანუ 2022 წლის მარტის ბოლოს.**

რა კავშირში შეიძლება იყოს ერთმანეთთან უკრაინის ომი და ივანიშვილის დე ფაქტო სანქცირება?

თუ ივანიშვილისათვის აქტივების გაყინვა უკრაინის ომთან არის დაკავშირებული და მას სანქციები დაუწესეს, როგორც „რუს ოლიგარქს“, მაშინ რატომ გააკეთეს ეს კულისებს მიღმა და ოფიციალურად რატომ არ გამოაცხადეს — ამისა და ამის გამო ვასანქცირებთო?

ვფიქრობთ, ამ კითხვებზე მარტივი პასუხები არსებობს: **თუ ივანიშვილს ოფიციალურად დაასანქცირებდნენ, ამას შესაბამისი დასაბუთება დასჭირდებოდა და კოლექტიური დასავლეთის წარმომადგენლებს კონკრეტული ფაქტებისა და მტკიცებულებების მოტანა მოუწევდათ იმის დასადასტურებლად, რომ იგი რუსეთთან თანამშრომლობს ან რაიმე ისეთ საქმეშია ჩაბმული, რაც უკრაინის ომში რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.**

მაგრამ არსებობს კი ასეთი ფაქტები და მტკიცებულებები?

ცხადია, არ არსებობს!

რომ არსებობდეს, ივანიშვილს დე ფაქტო კი არა, დე იურე დაასანქცირებდნენ!

არაოფიციალურად კი არა, ოფიციალურად და დემონსტრაციულად, მთელი მსოფლიოს დასანახად და გასაგონად გაუყინავდნენ ფინანსურ აქტივებს!

ჰო, **ივანიშვილი რუსეთთან რომ თანამშრომლობდეს ან რაიმე ისეთს სჩადიოდეს, რაც მის-**

***გაგრძელება მე-4 გვერდზე***

# ივანიშვილმა სანქციები ვერ აიცილა, რადგან საქართველოს ომი ააცილა!

## კვირგვინოსანი მსხვილი პლანით



**არნო ხიდირბეგიშვილი,**

***სახელმწიფო უშიშროების, სტრატეგიული ანალიზისა და საინფორმაციო პოლიტიკის სააგენტოს დირექტორი***

საგულისხმოა, რომ მათ შორის, ვინც **ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებაზე“** ანგარიშსწორებასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას აპირებს, არიან **ყოფილი პრემიერ-მინისტრები,** შინაგან საქმეთა და თავდაცვის **ყოფილი მინისტრები,** გენერალური შტაბის, სახელმწიფო დაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების **ყოფილი უფროსები,** რომ აღარაფერი ვთქვათ **ძალოვანი სტრუქტურების შედარებით დაბალი რანგის თანამშრომლებზე,** რომლებსაც აქვთ სპეციალური დაშვება და ხელი მიუწვდებათ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე — იქნება ეს ***აგენტურული სიები*** თუ ***ფარული თვალთვალის მასალები.***

# სანქცირებულია და კარგად არის!

დასაწყისი მე-3 გვერდზე

**თვის ოფიციალური სანქციების დაწესების თუნდაც ფორმალურ საფუძვლად გამოდგება, ეს არაფრით გამოეპარებოდათ აშშ-ისა და ნატოს სპეცსამსახურებს, რომლებიც უკრაინის ომის ფონზე, მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით არიან გაფაციცებული.**

იმასაც შეგახსენებთ, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველოში რამდენჯერმე იყვნენ ჩამოსული სანქციების დაწესებაზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებმაც სახელმწიფო უწყებების მუშაობა საგულდაგულოდ შეამოწმეს და დაასკვნეს — **ხელისუფლება ზედმიწევნით იცავს ყველა წესსა და პირობას, რათა საქართველოს ტერიტორია რუსეთისათვის დაწესებული საერთაშორისო სანქციების გვერდის ასავლელად არ იქნას გამოყენებული!**



მაშ, რატომ გაუყინეს ბიძინა ივანიშვილს ფინანსური აქტივები უკრაინაში ომის დაწყებიდან ერთ თვეში და რატომ დაასანქცირეს ისე, რომ მისი სანქცირების შესახებ ოფიციალურად არც გამოუცხადებიათ?

პასუხი აქაც მარტივია: **ბიძინა ივანიშვილის დე ფაქტო სანქცირება და მისთვის ფინანსური აქტივების გაყინვა პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გახსნა და ქვეყანა ომში არ ჩააბა!**

> **ბიძინა ივანიშვილისათვის ფინანსური აქტივების გაყინვა, ანუ მისი დე ფაქტო სანქცირება დროში ზუსტად ემთხვევა აშშ-ის იმჟამინდელ ელჩთან 3-საათიან შეხვედრას, რომლის ინიციატორიც კელი დეგნანი იყო!**

უფრო ზუსტად, ბიძინა ივანიშვილს ფინანსური აქტივები გაუყინეს და არაოფიციალურად დაასანქცირეს მას შემდეგ, რაც იგი **კოლექტიური დასავლეთიდან, ანუ ე.წ. გლობალური ომის პარტიიდან** წამოსულ შანტაჟს არ დაჰყვა და საკუთარი გავლენის გამოყენებით, საქართველოს ხელისუფლება არ აიძულა, მეორე ფრონტი გაეხსნა!

კიდევ ერთხელ გაამახვილეთ ყურადღება დროზე, თუ როდის მოხდა ივანიშვილის დე ფაქტო სანქცირება — უკრაინაში ომის დაწყებიდან ერთ თვეში, ანუ 2022 წლის მარტის ბოლოს! ეს სწორედ ის პერიოდია, როცა აშშ-ის მაშინდელი ელჩი **კელი დეგნანი** პოლიტიკიდან წასულ ბიძინა ივანიშვილს სახლში ესტუმრა და სამი საათის განმავლობაში ესაუბრებოდა!

მაშინ „ქართული ოცნების“ რიგებიდან გასულმა სამმა დეპუტატმა — **სოზარ სუბარმა, დიმიტრი ხუნდაძემ და მიხეილ ყაველაშვილმა** ვრცელი წერილი გამოაქვეყნეს და **კელი დეგნანს** მიმართეს, საჯაროდ განემარტა, უკრაინაში ომის დაწყებიდან ორიოდე კვირაში რა მიზნით შეხვდა და რაზე ესაუბრა პოლიტიკიდან დისტანცირებულ **ივანიშვილს?** პარლამენტის წევრები არცთუ ირიბად მიანიშნებდნენ, რომ აშშ-ის ელჩი ივანიშვილს პოლიტიკური შანტაჟის ენით ელაპარაკა და მისგან „მეორე ფრონტის“ გახსნა მოითხოვა!

**დეგნანთან** შეხვედრის ფაქტი თავად ივანიშვილმაც დაადასტურა და 2022 წლის 27 ივლისს გამოქვეყნებულ წერილში განაცხადა:

> ***„რადგან საჯაროდ დაისვა შეკითხვა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ჩემსა და ამერიკის ელჩს შორის შეხვედრის გამართვის შესახებ, საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ ამგვარი შეხვედრა ელჩის თხოვნით 21 მარტს ნამდვილად შედგა და ის დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა“.***

მაშინ ივანიშვილს ამაზე მეტი არ უთქვამს, მაგრამ ახლანდელი განცხადება — **ჩემთვის აქტივების გაჩერება და სანქციების დაწესება უკრაინაში ომის დაწყებიდან ერთ თვეში მოხდაო,** ცხადყოფს, თუ რა შედეგით დასრულდა მისი და აშშ-ის ელჩის 3-საათიანი აუდიენცია, რომელიც 2022 წლის 21 მარტს, ანუ უკრაინაში ომის დაწყებიდან დაახლოებით ერთ თვეში შედგა!

**დიახ, ბიძინა ივანიშვილისათვის ფინანსური აქტივების გაყინვა, ანუ მისი დე ფაქტო სანქცირება დროში ზუსტად ემთხვევა აშშ-ის იმჟამინდელ ელჩთან 3-საათიან შეხვედრას, რომლის ინიციატორიც კელი დეგნანი იყო!**

არცერთი საღად მოაზროვნე და ელემენტარული ანალიზის უნარის მქონე ადამიანისათვის, წესით, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ ე.წ. გლობალური ომის პარტია **კელი დეგნანის** მეშვეობით ცდილობდა ბიძინა ივანიშვილის დაშანტაჟებას, რათა მას „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მეორე ფრონტის გახსნასა და საქართველოს საომარ პოლიგონად გადაქცევაზე დაეყოლიებინა!

სწორედ იმიტომ, რომ ივანიშვილმა ეს არ გააკეთა, დე ფაქტო სანქციები დაუწესეს და ფინანსური აქტივები გაუყინეს!

ბიძინა ივანიშვილი კოლექტიური დასავლეთის შანტაჟს რომ დაჰყოლოდა და ფინანსური აქტივების გაყინვის მუქარას შეეშინებინა, დღეს საქართველო **„უკრაინიზებული“**, ანუ მიწასთან გასწორებული და სისხლში ჩამხრჩვალი იქნებოდა!

მაგრამ **ივანიშვილმა საკუთარი ქონება და ფინანსური აქტივები საკუთარ ქვეყანაზე და საკუთარ ხალხზე მაღლა არ დააყენა, რის გამოც სანქციები ვერ აიცილა, მაგრამ საქართველოს ააცილა ომი და უბედურება!**

ასეთი კაცის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება, თანაც ასეთ მძიმე დროს, როცა საქართველოს მთელი შემოგარენი ომის ცეცხლშია გახვეული, ერთიორად აძლიერებს შანსსა და იმედს, რომ ჩვენი ქვეყანა გეოპოლიტიკური მეხთატეხიდან არამხოლოდ უვნებელი, არამედ გამარჯვებული გამოვა!

*ჯაბა ხუბუა*

## ივანიშვილის განცხადება ადასტურებს, რომ მისგან მეორე ფრონტის გახსნასა და საქართველოს ომში ჩაბმას მოითხოვდნენ!

***საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას ეხმიანება და აცხადებს:***

— ძალიან კარგად ვიცნობ საქართველოს ისტორიას, მსოფლიო ისტორიაზეც მაქვს წარმოდგენა და შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ **ბიძინა ივანიშვილის მსგავსი დიდსულოვანი მოღვაწე იშვიათზე იშვიათია!**

**— თუმცა, მავანნი მას „ოლიგარქად“ მოიხსენიებენ და მეტიც, „რუს ოლიგარქსაც“ კი უწოდებენ!**

— **ვინც ივანიშვილს ოლიგარქს ეძახის, ან უკანასკნელი ბარეჭარია, ან უკანასკნელი ბრიყვი, რომელმაც სიტყვა „ოლიგარქის“ მნიშვნელობა არ იცის!** ჯერ კიდევ პლატონი განმარტავდა, რომ ოლიგარქი არის ადამიანი, რომელიც ხალხისათვის მოპარულ ფულს იმავე ხალხის დასაჩაგრად იყენებს და დემოკრატიის მაგივრად ტირანიას ამყარებს, **ბიძინა ივანიშვილმა კი სხვა ქვეყანაში ნაშოვნი ფული თავისი ქვეყნის აღმშენებლობას მოახმარა და თავის ხალხს ქველმოქმედების სახით 3 მილიარდი დოლარი დაახარჯა.**

თუ ვინმეს დაავიწყდა, შევახსენებ, რომ ივანიშვილი ის კაცია, რომელიც წლების განმავლობაში ინახავდა ეკონომიკურად ყველაზე სუსტ ფენას — ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებს, პროფესორებსა და აკადემიკოსებს... **მან გადაარჩინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომელსაც სააკაშვილი დახურვას უპირებდა და აკადემიკოსებს წლების განმავლობაში გვიხდიდა სტიპენდიას, რადგან იცის და სწამს, რომ ერი მეცნიერების გარეშე არ არსებობს!**

**— და მაინც, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას სკეპტიკურად უყურებს, ზოგი კი ირონიულად ქირქილებს — მეორედ მოსვლა გაგვიგია, მაგრამ მესამედ მოსვლა პირველად ვნახეთო! ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— ბევრი ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი დიდი ქველმოქმედია, მე კი ვაცხადებ —

### ბიძინა ივანიშვილი არამხოლოდ დიდი ქველმოქმედი, არამედ დიდი პოლიტიკოსია, რომელმაც საქართველო გადაარჩინა!

მე, ჩემს თანამებრძოლებთან და ასეულათასობით ქართველ პატრიოტთან ერთად, წლების განმავლობაში ვუპირისპირდებოდი სააკაშვილს, ქუჩაშიც ვიდექით და მრავალრიცხოვან საპროტესტო აქციებსაც ვმართავდით, მაგრამ **ნაცრეჟიმის დამარცხება ვერ მოვახერხეთ, სანამ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი არ გამოჩნდა.** მან საკუთარი თავიც და ოჯახიც უდიდესი საფრთხის ქვეშ დააყენა, როცა დაუპირისპირდა ბოროტებას, რომელიც 30 წლის განმავლობაში აპირებდა ხელისუფლებაში ყოფნას. ბიძინა ივანიშვილის გარეშე საა-



## კვირბვინოსნები



**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*

**ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტის გამოყენება** იმ შესაძლო რისკების დამზღვევად, რასაც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კონფიგურაცია შეიძლება აჩენდეს, **მხოლოდ აპლოდისმენტებს იმსახურებს.** „ინტერპრესნიუსი“



**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*

პოლიტიკაში დაბრუნებაზე **ბიძინა ივანიშვილის** გადაწყვეტილება დაეხმარება ჩვენს ქვეყანას **სტრატეგიული ამოცანების** შესრულებაში. „პირველი არხი“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*

ჩემი აზრით, **რაღაც შეიცვალა სერიოზულად, მოხდა რაღაც, რაც ჯერ არ ვიცით,** რადგან ლოგიკურად **ბიძინა ივანიშვილის** დაბრუნებას არაფერი მოასწავებდა. „ახალი თაობა“



**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*

**ივანიშვილი** არის **სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი** და დამთავრდა, წერტილი. „ინტერპრესნიუსი“



**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*

**„ოცნების“ სასარგებლოდ 2:0** — ნაცებმა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსით **პირველი დიდი დარტყმა** მიიღეს, ხოლო **ბიძინას** პოლიტიკაში დაბრუნება, მათთვის **მეორე დიდი დარტყმა იყო.** „აიპრესი“

## „დასასჯელები უნდა დასაჯონ, დასაჭერები უნდა დაიჭირონ და განსადევნები უნდა განდევნონ! — აი, ამას ველოდები პოლიტიკაში დაბრუნებული ივანიშვილისაგან!“




## ელიზბარ ჯაველიძე:

# იდეალური იქნება, თუ ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტად მოვა!

კაშვილის რეჟიმს ვერ დავამარცხებდით და დღეს საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებდა!

სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ივანიშვილი დიდ ქველმოქმედთან ერთად დიდი პოლიტიკოსია, რომელმაც სააკაშვილის უბოროტეს რეჟიმთან ბრძოლა ფილიგრანულად წარმართა და სისხლიანი კრიმინალების ბანდა უსისხლოდ გაისტუმრა ხელისუფლებიდან!

**— როგორ ფიქრობთ, დღეს რაღამ აიძულა ივანიშვილი, კვლავ შემოსულიყო ქართულ პოლიტიკურ ველზე?**

— სიმართლე გითხრათ, პირადად მე მაშინაც არ დავრჩენილვარ აღფრთოვანებული, როცა ივანიშვილმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა, ბრძოლით მოპოვებული ძალაუფლება საკუთარი ნებით დათმო და 2013 წლის მიწურულს პოლიტიკიდან წავიდა, რადგან მიმაჩნდა, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მანამდე უნდა დარჩენილიყო, სანამ ქვეყანას ბოლომდე არ გაათავისუფლებდა ნაცბანდის ნარჩენებისაგან.

რაც შეეხება ივანიშვილის ამჟამინდელ დაბრუნებას, მან ამის მიზეზები თავადვე განმარტა და არავითარი საფუძველი არა მაქვს, მის გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო! ერთ რამეს ნათლად ვხედავ: **დღევანდელი ხელისუფლება, პრემიერ ღარიბაშვილის მეთაურობით, ნამდვილად დგას ერის სამსახურში და საქართველოს ინტერესებს არ ღალატობს!** შეიძლება, რაღაცები ეშლებათ, რადგან ადამიანები არიან და არა — ღმერთები, მაგრამ არჩევნების მოსაგებად ივანიშვილის დაბრუნება ნამდვილად არ სჭირდებოდათ, ისედაც უდიდესი უპირატესობით დაამარცხებდნენ ამ ვაი-ოპოზიციას, რომელიც, სინამდვილეში, ოპოზიცია კი არა, საქართველოს მტრების ხროვაა!

**— მაინც რა არის თქვენი მთავარი მოლოდინი, რომელიც ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას უკავშირდება?**

**– პირადად ჩემთვის ამ ხელისუფლების მთავარი შეცდომა ის არის, რომ ზედმეტ დემოკრატობანას თამაშობს და დასაჭერ ხალხს არ იჭერს! შედეგად, ნაძირალები, რომლებიც ციხეს უნდა ხეხავდნენ, ოპოზიციის ლიდერებად გვევლინებიან და ტელევიზიით მოწოდებებს აკეთებენ – ხელისუფლება დავამხოთო!**

დასასჯელები უნდა დასაჯონ, დასაჭერები უნდა დაიჭირონ და განსადევნები უნდა განდევნონ! — აი, ამას ველოდები პოლიტიკაში დაბრუნებული ივანიშვილისაგან!

ისიც უნდა ვთქვა, რომ **ბიძინა ივანიშვილი, თავისი შინაგანი წესიერებიდან გამომდინარე, ხშირად ისეთ ადამიანებს ენდობა, რომლებიც ნდობას არ იმსახურებენ! ამის მაგალითები არიან გიორგი მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი, გიორგი კვირიკაშვილი და გიორგი გახარია, რომლებიც პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები ბიძინა ივანიშვილის დამსახურებით გახდნენ, მაგრამ მასაც უღალატეს და სახელმწიფო ინტერესებსაც!** ვისურვებდი, რომ პოლიტიკაში დაბრუნებულმა ივანიშვილმა მსგავსი შეცდომები აღარ დაუშვას!

**— სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ივანიშვილის მიერ შერჩეული და მხარდაჭერილი კანდიდატები გაპრეზიდენტების შემდეგ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ მტრებად გადაიქცნენ, როგორ ფიქრობთ, უმჯობესი ხომ არ იქნება, მან თავად იყაროს კენჭი საქართველოს პრეზიდენტობაზე?**

— პირდაპირ გეტყვით — **იდეალური იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტად მოვა!** მისი სახით ქვეყანას ეყოლება დინჯი და დარბაისელი, დიდი ცხოვრებისეული და პოლიტიკური გამოცდილების მქონე, შინაგანი პატიოსნებით აღსავსე და სამშობლოს სიყვარულით ანთებული პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს!

ასე რომ, ბიძინა ივანიშვილის პრეზიდენტობას ორივე ხელით მივესალმები და თუ ამას გადაწყვეტს, ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერა გარანტირებული ექნება!

**— თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე საპარლამენტო არჩევნებია და ხომ შეიძლება, 2024 წლის ოქტომბერში მმართველი ძალა შეიცვალოს?**

— ეს გამორიცხულია! თუ არჩევნები წესიერად ჩატარდება, „ქართული ოცნება“ უპრობლემოდ გაიმარჯვებს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



## „ვისურვებდი, რომ პოლიტიკაში დაბრუნებულმა ივანიშვილმა მსგავსი შეცდომები აღარ დაუშვას!“

---

## კვირგვინოსნები



**ვალერი კვარაცხელია**
*პოლიტიკოსი, ჟურნალისტი*

**2023 წლის მიწურულს, როდესაც საერთაშორისო ვითარების პარალელურად დაძაბულობის რისკი ქვეყნის შიგნითაც სახიფათო მაჩვენებელს აღწევდა, ბიძინა ივანიშვილმა თავი ვალდებულად ჩათვალა, საკუთარ ბეჭებზე კიდევ ერთხელ ეგრძნო სახელმწიფოს მართვის მთელი სიმძიმე:** *„დღეს საქართველო რთული გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენი ქვეყნის გარშემო გეოპოლიტიკური ვითარება გართულდა და გამოწვევებიც გაიზარდა. შესაბამისად, გართულდა ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაც. ასეთ პირობებში, ხელისუფლების მხრიდან მცირე შეცდომაც კი ქვეყანას შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს“.*

**როგორც ჩანს, სერიოზული ხიფათი ახლოვდება. რისკი გაზრდილია. ის უბოროტესი ძალები, რომლებიც სისხლიანი ბატალიების პროვოცირებას დედამიწის ხან ერთ, ხან მეორე წერტილში ახდენენ, ყველაფერს აკეთებენ, რათა ამიერკავკასია, რუსეთის სტაბილურობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ეს რეგიონი** (პირველ რიგში კი, საქართველო) **ომის ქარცეცხლში გახვიონ. ბიძინა ივანიშვილი** ამას ასე ღიად ვერ იტყოდა, მაგრამ არსებითად სწორედ ეს თქვა. **ქვეყანაში არსებული მაღალი რისკების გარდა, პოლიტიკაში მას ხელახლა ვერაფერი შემოიყვანდა. ბიძინა ივანიშვილი მესამედ მოვიდა ხელისუფლებაში და მისი ნაბიჯები სამივე შემთხვევაში საქართველოს გადასარჩენად იყო გადადგმული.**

**„საქართველოს ეროვნული მიზნები არსებითად შესრულებულად მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მივიჩნიოთ, როცა ეროვნულ თვითმყოფადობას ბოლომდე დავიცავთ, სახელმწიფოს სუვერენიტეტს სრულად აღვადგენთ, ქვეყანას გავაერთიანებთ და საგარეო პოლიტიკურ ამოცანებს შევასრულებთ“. ბიძინა ივანიშვილის** ამ სიტყვების მოსმენისას ილია ჭავჭავაძის ცნობილი ტრიადა — **„მამული, ენა, სარწმუნოება“** გამახსენდა. ილიას ეს ისტორიული ტრიადა თუ ეროვნული სტრატეგიაა, ბიძინას ახალი ტრიადა — **„ეროვნული თვითმყოფადობა, ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა“** თანამედროვე საქართველოს ეროვნული ტაქტიკაა!

ის უსერიოზულესი მინიშნებაც, რომელიც ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** გააკეთა, იმდენად მრავლისმთქმელია, რომ ამ ღამეს საქართველოში, წესით, არავის არ უნდა ეძინოს: **„პოლიტიკაში მოსვლამდე და პოლიტიკაში მოსვლის შემდეგაც ბატონი ბიძინას მთავარი მიზანი, მისი მთავარი მისია და ოცნება არის ჩვენი ქვეყნის გაერთიანება!**

**ჩვენი ქვეყანა უნდა მომზადდეს გასაერთიანებლად! ამ საქმეში, ამ ყველაზე დიდ ეროვნულ საქმეში ბატონი ბიძინას როლი იქნება უნიკალური და შეუცვლელი!“** არაფერს დავამატებ. იფიქრეთ ამაზე. მართალია, ისტორია ქმნის დიდ პიროვნებებს, მაგრამ დიდი პიროვნებები აკეთებენ დიდ და ისტორიულ საქმეებს! **ინტუიცია თუ არ მღალატობს, საქართველოს ოცდაათი წლის მანძილზე პერმანენტულად დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების შესაძლებლობა უჩნდება და ეს ისტორიული პერსპექტივა ბიძინა ივანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული!**

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# მეუფე და ჭინკები



რა დრო დაგვიდგა — ირგვლივ სუ ჭინკები დარბიან, თანაც მიკროფონებით. ახლაც, პატრიარქის დაბადების დღეს, **მეუფე იაკობს** მიუხტნენ და „გენიოსური“ შეკითხვები დაუსვეს — **ბიძინა ივანიშვილი მივა პატრიარქთან მისალოცადო?**

**მეუფემ** — არ ვიცი, მე საიდან უნდა ვიცოდეო?

**მაინც ვერ დაოკდნენ** — ნუთუ არ მივაო?

**მეუფემ** — არ ვიცი, შეიძლება დაურეკოს და ისე მიულოცოს, დღეს უამრავი საშუალება არსებობსო.

**ჭინკებმა** — ჰო, მაგრამ, რატომ არ უნდა მივიდესო?

**მეუფემ** — ვერ გეტყვით ვერაფერსო.

**ჭინკებმა** — წინა დაბადების დღეები ხომ მიულოცაო?

**მეუფემ** — დიახ, ალბათ, მიულოცაო.

**ჭინკებმა** — მილოცვის შემდეგ რაზე ლაპარაკობენ ხოლმეო?

**მეუფემ** — მე რა ვიცი, რაზე ლაპარაკობენ, კართან ხომ არ დავდგები ასინეთასავითო?

**ჭინკებმა** — და მაინცო?

**მეუფემ** — ალბათ, ხან — რაზე, ხან — რაზეო.

**ჭინკებმა** — ლაზარე გმირი არ არიო?

**მეუფემ** — თავისი მამა დაჭრა უხერხულ ადგილას და რანაირი გმირიაო?

**ჭინკებმა** — არა, რუსთაველზე თავი რო გაწირა, გმირი არ არიო?

**მეუფემ** —პოლიციელებს ცოცხლად წვავდა, გმირები ეგრე არ იქცევიან, მელადავებითო?

**ჭინკებმა** — თქვენ იქ იყავით, როცა პოლიციელებს წვავდაო?

**მეუფემ** — არა, იქ არ ვიყავიო.

**ჭინკებმა** — აბა, რანაირად ამტკიცებთ, რომ წვავდაო?

**მეუფემ** — თქვენ რანაირად ამტკიცებთ, რომ არ წვავდაო?

**ჭინკებმა** — არა, ჩვენ უდანაშაულობის ,,პრეზუმფციას“ ვიცავთო.

☺

არა, მართლაც რა დრო დაგვიდგა?

ირგვლივ სუ **ჭინკები, ვირთხები და ჭინკები** დარბიან კამერებით და მიკროფონებით, თანაც ისეთი შეუვალი და პრინციპული გამომეტყველება აქვთ, გეგონება, მეუფეს ეშაფოტზე აყვანას უპირებენო.

რომ შეძლებოდათ, აიყვანდნენ კიდევაც — არც ჭკუა დაუშლიდათ, არც გონება, არც სინდისი, არც ნამუსი და თან **შავნოდარას** მიერ გაცემული ,,სანქციაც“ ედოთ ჯიბეში.

ალბათ, მეუფემაც კი იცის, რას გადაურჩა!

# ფრენების და ბავშვობის ჭოჭინა




ჭუტააწში შეშფოთებულები არიან — **რუსეთთან ფრენები იზრდება, თუ აქამდე ავიარეისები მოსკოვიდან და პეტერბურგიდან სრულდებოდა, ახლა სხვა ქალაქებიც ემატებაო!**

სხვა ქალაქებიცო... რომელი, არ უთქვამთ, არ დაუკონკრეტებიათ, ემატება და ,,ვსიო“, ეგ არიო, გინდათ, **ჩელიაბინსკი** იგულისხმეთ, გინდათ — **კრასნოდარი,** გინდათ — **ხაბაროვსკი,** გინდათ — **კურსკი,** გინდათ — **ნოვოსიბირსკიო...**

არა, ეგრე არ ჩამოუთვლიათ, მაგდენი არ იციან, მაგდენზე ვერ ქაჩავენ, **მოსკოვი, პეტერბურგი და სხვა ქალაქებიო.**

☺

**მამუკი ხაზარაძის მონას** დაუძახეს, კომენტარი გაგვიკეთეო. ამანაც გაუკეთა — **ეს არი სრული რუსიფიკაცია, „ქართულმა ოცნებამ“ პირდაპირ რუსეთზე მიგვაბა, თუ ესენი არ მოვიშორეთ, გვეტირა ყოფა და ეგ არი, უფრო მეტად მიგვაბამენ, ხვალ რო გავიღვიძებთ, რუსულად ვილაპარაკებთო. ჩვენმა ევროპიელმა მეგობრებმა კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭეს და ესენი კიდე მადლობას აეგრე უხდიან, ეს ხო დიდი უმადურობააო? აი, მე, მამუკი, ანიკო, ბადრიკო, პატიკო, დათიკო და ჭიჭიკო რო მოვალთ ხელისუფლებაში ეგრე აღარ იქნებაო, შემოდგომამდე მოითმინეთ და ,,მემრე“ ჩვენ ვიცითო!**

☺

ერთი რა მაგის პასუხია და... ამ **ბრიგოლა გეგელიას** რო უყურებთ, არ გეჩვენებათ, რო ბავშვობაში ჭოჭინა დაუფრთხა და შუბლით კედელს შეასკდა?

მა შუბლზე კოპაჭი რათ აზის?!



# ქართლის დიდედა, გაბრექილი ბელადი და კურკა-ამოცლილი წინა-მძორები



მთელი ღამე იქ იყვნენ, ,,ვივამედის“ მისადგომებთან, **ქართლის დიდედაც იქ იყო,** მიუხედავად ყინვისა და თოშისა, ფეხი არ მოუცვლიათ, კინაღამ ჩაიხოცნენ ღვინის სმაში. რაც მთავარია, იმედი ჩაუსახეს **პუტინის პირად ტუსაღს...** არა, უიმედობა არც ისე სჭირდა, ისედაც იყო საბრძოლველად **გაბრექილ მდგომარეობაში,** მაგრამ ხომ გაგიგონიათ, სიტყვას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, ზოგიერთისთვის თითის მიცემასავით არისო.

ოდესღაც **დაჩუტულმა** და ახლა **გაბრექილმა** თავის უდღეურ მრევლს ახალი იდეა ჩააწოდა: **ამა წლის შემოდგომაზე გაიმარჯვებს არა „ნაცმოძრაობა“, არა ოპოზიცია, არა ვინმე და რამე, არამედ მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხიო.**

დააკვირდით — ე.წ. ოპოზიციონრები ერთ დუდუკზე უკრავენ — ამ საპარლამენტო არჩევნებში ხალხი გაიმარჯვებს. განა წინა არჩევნებში, რაც კი 2012 წლის შემდეგ ჩატარებულა, ხალხმა გაიმარჯვა? არა, აქამომდე სუ **„ქართული ოცნება“,** უფრო სწორად, **„რუსული ოცნება“** იმარჯვებდა, ახლა კი დადგა დრო, ხალხმა გაიმარჯვოს... **ჭიჭე, კურკუმალა, სირთაოზა და ეგეთები** არაფერ შუაში არიან, უბრალოდ, ხალხი უნდა გათავისუფლდეს **ბიძინა ივანიშვილის** მარწუხებისგან, ხალხმა უნდა დაამსხვრიოს **პუტინის ბორკილები!**

☺

ეგ არი!

**ბედნიერია ერი, რომელსაც ჰყავს ცოცხალი დიდედა, გაბრექილი ბელადი და კურკაამოცლილი წინამძღოლ-წინამძორები!**

# კურკუმალ ალექსეევი



ამიტომ იძახიან ხოლმე, ,,ქართული ოცნება“ დამთავრდა, ამ არჩევნებში 5%-იან ბარიერსაც ვერ გადალახავსო.

**ეგეთი წინამძღოლი რო გეყოლება,** იწამებ, აბა, რა იქნება?

**რავარი** აღნაგობა, **რავარი** პლასტიკურობა, **რავარი** მუსკულები, **რავარი** გადახვრა-გადმოხვრა, **რავარი** მიხვრა-მოხვრა, **რავარი** გადაქანებ-გადმოქანება, **რავარი** პრინციპულობა, **რავარი** შეუპოვრობა, **რავარი** გამძლეობა, **რავარი** მსოფლმხედველობა, **რავარი** მეტაფიზიკურობა, **რავარი** რაციონალიზმი, **რავარი** ემპირიზმი, **რავარი** მატერიალიზმი, **რავარი** იდეალიზმი, **რავარი** ნატურალიზმი, **რავარი** ლოგიკურობა, **რავარი** ღირებულებები... **რომელი ერთი ჩამოვთვალო? რომელი ერთი შევნიშნო და დავაფიქსირო?**

☺

**ეგეთი წინამძღოლი თუ გყავს,** მარტო დედამიწაზე კი არა, მარსზეც რო გადასახლდე, იქაც არაფრისა გეშინია.

ზოგიერთნი კიდე იძახიან, ისევ ,,ქართული ოცნება“ გაიმარჯვებსო.

ჰმ!

აბა, რანაირად?

არაფერი შეგეშალოთ!

აქეთ გორას რო გირსა ჰკრამს, იქით გორასა ძვრას უზამს!

☺

შენ რა დააშავე, ჩემო კარგო ქვეყანავ, თორემ **ამათ ძაღლიც მიკვდომიათ და ალექსეევ-ჟაბოტინსკისაც მიკვდომიან!**

# უბორნიის მწერლები ტუალეტის მრჩხავანები ხდებიან!



ერთი მეგობარი მყავდა, ქეიფი უყვარდა. სანამ დათვრებოდა, სუფრასთან თვინიერად იჯდა, დათვრებოდა და ეგრევე სიმღერა უნდებოდა. ოღონდ ძალიან ჭკვიანი იყო — **იცოდა რა თავისი უნიჭობა, გავიდოდა სადმე მოფარებულში, ჩამოჯდებოდა და ყმუოდა მარტოხელა მგელივით.** მოიოხებდა გულსა, ამოიღებდა ჯიგრიდან დარდსა, გადმოაგდებდა ყელში გაჩხერილ პატრიოტულ ბურთსა და დაბრუნდებოდა ხოლმე გაბადრული სუფრასთან.

**აი, ის იყო კაცი... იყო რა, ახლაც კარგად არი, ცოცხალია და, ალბათ, კვლავაც ქეიფობს.**

☺

**ესენი, სურათზე რომ ხედავთ, კაცები არ არიან!**

**იმდენი ნამუსიც არ აქვთ, გავიდნენ სადმე მოფარებულში და თავიანთთვის იყმუვლონ.** დამდგარან ამოდონა ჩოილარები ესტრადის ვარსკვლავებთან და თან ვიდეოც გადაუღიათ, ქვეყნის მოსახლეობამაც დაგვინახოსო.

**ისე, ესტრადის ვარსკვლავები რომ ჩამომსხდარან ფუქსავატებთან და თავს უჟადრიან, ეგ კიდე ცალკე თემაა, მანდ უფრო რთულად არი საქმე, მაგრამ ამჯერად ხმას არ ვიღებ, როგორც ჩანს, ჰასაკი ვერ უნდა იყოს მთლად სახარბიელო რამე.**

☺

მე ძალიან ბევრ კარგ მუსიკოსსა თუ მომღერალს ვიცნობდი და ვიცნობ — **ანზორ ერქომაიშვილით** დაწყებული, **დავით ქავთარაძით** დამთავრებული... როცა **ომარ კელაპტრიშვილი** ზენიტში იყო, 25 წლის ბიჭი ვიყავი და ყველანაირად მანებივრებდა, ჩემთან სახლში მოდიოდა და სალამურს უკრავდა. **ჯემალ ჭკუასელიც** უფროსი მეგობარი გახლდათ. ყველას ვერ ჩამოვთვლი, მათთან ერთად სუფრასთანაც ვმჯდარვარ, ახალი წელიც გამიტარებია, ძველი წელიც და სხვა საზეიმო დღეებიც, მაგრამ ისე არ გავბრიყვებულვარ, სადმე მემღერა კი არა, უბრალოდ ღიღინი დამეწყო.

**რას ამბობთ?**

**ეგეთ რამეს გულშიც ვერ გავივლებდი, ეგ ხომ ჩემი მხრიდან დიდი მკრეხელობა იქნებოდა?**

მე მხოლოდ ერთი გავაკეთე — ჩემი შვილები „მართვეში“ გაიზარდნენ და ის, რაც მე არ ვიცი, მათ ვასწავლე.

☺

**ესენი, კაცო, ეს ჩუტრუკები?**

**ჰოეეეეე... მიდი, მოვდივააააარ, ნანი ბრეგვაძესთან ისე იყმუვლებენ, ისე გადავლენ დაუკრეფავში, ოდნავადაც არ შეწითლდებიან.**

თუმცა... როცა ხარ კარიკატურა, **როცა პოეზიასა თუ პროზაშიც ხარ პრუწუნ-პრუწუნი,** შუბლის ძარღვი აღარ არი საჭირო, მიდი და უბერე, **ნანი ბრეგვაძესთან** კი არა, თუ მოგინდება, **ლუჩანო პავაროტისთანაც** იყმუვლებ... არც ჭკუა დაგიშლის, არც გონება, არც სინდისი, არც ნამუსი!

☺

მე ამ სურათზე მხოლოდ ერთს ვხედავ: **ეს ჩოილარები ნანის მიადგნენ, კარი აუტალახეს, იმას კიდე რა უნდა ექნა? მაინც ესიამოვნა, თანამოაზრეები ეწვივნენ, დაჯდა და დაუკრა, ზრდილობა გამოიჩინა. შეიძლება ისე გაუხარდა, ცასაც ეწია, მაგრამ არა მგონია, ჩუტრუკების ყროყინი ჭკუაში დასჯდომოდა.** თუ დაუჯდა კიდე, არც ეგ არი პრობლემა, ისხდნენ და „იმღერონ“, მეტი საქმე მაინც აღარა აქვთ!

რაც მთავარია, უბორნიის მწერლობაში **ლაშა ბუღაძესა და რატი ამაღლობელს ხაზარაძის „საბას“ პრემია** უკვე დათრეული აქვთ, ახლა კი, როგორც ჩანს, იმავე **ხაზარაძის მიერ** ახლახან დაარსებული ფონდიდან ნოყიერი „კუშის“ მოხსნას მომღერლების რანგში აპირებენ. გზა დავულოცოთ! — **„უბორნიის მწერლები“** 2024 წლიდან **ტუალეტის მრჩხავანებიც ხდებიან!**



# ქუტაანებში მეხი ჩამოვარდა!

**ქუტაანელები** შოკში არიან, ხასიათები აქვთ წამხდარი — **როგორც „ბლუმბერგი“ იტყობინება, ბიძინა ივანიშვილის ქონება საგრძნობლად გაიზარდა, 6 მილიარდ დოლარს გადააბოტაო.**

არადა, ცოტა ხნის წინ ამტკიცებდნენ, **ივანიშვილს ფული აღარ დარჩა,** მალე დაასანქცირებენ და თუ სადმე რამე აქვს გადამალული, იმასაც წაართმევენ, დაუყადაღებენ და გვეშველებაო.

გაიგონეთ?

**ბიძინას რომ ფული აღარ ექნება,** ჩვენ გვეშველებაო!

☺

**აბა, მეხდაცემულის გარდა ასეთ სისულელეს ვინმე იტყოდა, თუ, რა თქმა უნდა, ცოცხალი გადარჩა!**

# მოხიბლული ვართ ნანუკას «მომკალით!»



დარწმუნებული ვარ, **ერეკლე კოდუა** ნანობს და კედელზე თავს უხათქუნებს, რადგან, როცა **ნანუკას** შორდებოდა, არაფერი იცოდა მისი **ვოკალის** შესახებ... იცოდა მხოლოდ მისი **„მომკალის“** შესახებ.

არადა, ისიც **კლავდა და კლავდა,** რა უნდა ექნა?

☺

როცა **კოდუამ და მისმა ხელქვეითებმა** სვანეთში ბიჭები ცემაში დახეთქეს, მაშინაც მხოლოდ **ნანუკას „მომკალით“** ხელმძღვანელობდა და არა უწყოდა იმავე **ნანუკას ვოკალის** შესახებ.

არადა, უნდა სცოდნოდა... **როცა ფილარმონია ქალს ცოლად ირთავ, მისი ვოკალური შესაძლებლობების თაობაზე არ უნდა იცოდე?** მარტო **„მომკალი“** უნდა იცოდე? არ უნდა გაიკითხო? ჩვენი წინაპრები ხომ ამ დროს დედაკაცს კოჭსაც უსინჯავდნენ და ქარგვის უნარსაც უმოწმებდნენ? ან კი **ლაურა ლაჟავას** რანაირად გამორჩა აგი ამბავი?!

ფელიჩიტააააა... ეგე, ვერ უბერამს იტალიურად 2024 წლის საახალწლო შუაში? თქვენ და **კოდუამ** კიდე მარტო მისი **„მომკალი“** იცოდით!

# ის აქ აღარ არის!

**ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოსა** და ლოთი **ელცინის** მნახველს, კიდევ რომელიმე დიდკაცი თუ გამაოცებდა, არ მეგონა. თანაც 21-ე საუკუნეში!

საახალწლოდ ამ **ბაიდენ-უბედურიანმა** ბალღებს უმასპინძლა, დედაკაცმა ალბომიდან რაღაცების კითხვა დაიწყო, ეს კი იჯდა და იმავე ბალღებს ეჭყანებოდა. თანაც აშკარად ეტყობოდა, პერიოდულად **აქ რო არ იყო,** უცხოპლანეტელებთან ჰქონდა კავშირი.

როცა ჯღანაობას მორჩა, ხან მარჯვნივ გადაქანდა, ხან — მარცხნივ, სანამ დაცვამ არ მიანიშნა, საით უნდა წასულიყო.

არადა, იძახის — **მეორე „კრუგზე“ უნდა წავიდე, კიდე მინდა პრეზიდანობაო!**

☺

არა, ნამდილად არა — ეგეთ რაღაცებს **ლეონიდ ილიჩიც** არ აკეთებდა, გამოვიდოდა ხოლმე საახალწლოდ ტელევიზორში და სერიოზულად გვილოცავდა — **„დარაჰაია ჰინდირა ჰანდი“**-ო.

**ელცინმა** იცოდა, რომელიმე ქვეყანაში რო ჩავიდოდა, ტრაპთანვე მიაშარდამდა, თუ არ დაეზარებოდა, მმართველებსაც შეხვდებოდა, თუ არადა, ავიდოდა ისევ „სამალიოტში“ და გაფრინდებოდა მოსკოვებისკენ. ეს კი პირდაპირ გვიპირებდა ქაქის დადებას და, „ოცნების“ გონივრული პოლიტიკა რომ არა, **მეორე ფრონჭში** შეგვჩურთავდა. ხომ ხედავთ, გამოშტერებულ საბჭოთა გენსეკებს რახანია, „დაუაბგონა“!



# ბარიგები




**კონკურენციის სააგენტომ** სააფთიაქო ქსელები კარტელური მოქმედებისათვის 53 მილიონი ლარით დააჯარიმა:

**„პსპ“** — 17 094 872 ლარით;

**„ავერსი“** — 14 402 425 ლარით;

**„ჯიპისი ფარმადეპო“** — 20 349 336 ლარით;

**„მერმისი“** — 951 301 ლარით.

თურმე, საკითხი ეხება **ონკოლოგიურ მედიკამენტებსა და სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში კანონის დარღვევას.**

ესე იგი, სახელმწიფო რომ უხდის ამათ გარანტირებულად **ონკოლოგიური მედიკამენტების** თანხებს, ესენი მაინც სხედან და ჩათლახობენ. არადა, სახელმწიფოს ხარჯზე რომ ასე მაიმუნობენ, წარმოგიდგენიათ, როგორ მანიპულირებენ თავიანთი ფინანსებით შემოტანილი მედიკამენტებით?

☺

ან კი რათ უნდა ამას **კონკურენციის სააგენტო?**

**რა, თითოეული ჩვენგანი საკუთარ ტყავზე არ ვგრძნობთ, რამდენს გვახდევინებენ ჩალის ფასად შემოტანილ წამლებში?!**

გამოვლენ მერე და დაიწყებენ ლაპარაკს მაღალ მატერიებზე — მამულიშვილობაზე, „ქართული ოცნების“ გაშვებაზე, სამშობლოზე, ნათელ მომავალსა და დემოკრატიაზე! **ზოგიერთი პარლამენტშიც კი გვიზის და იქიდან გველაპარაკება ჩიქორთული ქართულით!** ახლა ხომ ხვდებით, რა ფულით ამარაგებენ ე.წ. ოპოზიციურ „ტელე უბორნიებს“ და რა გზით ეწევიან მავნებლობას?

**ხვდებით, რომ ჩვენგან ამოღებული ფულით ცდილობენ ხელისუფლების დამხობასა და ქვეყნის არევას?**

☺

თან ნახეთ — **არ ვეთანხმებით კონკურენციის სააგენტოს დასკვნას, გავასაჩივრებთო...**

**იცით, რატომ აპირებენ გასაჩივრებას?** იმიტომ, რომ ამ წუთას საკანში არ სხედან და „ბალანდას“ არ თქვლეფენ... **სამაგიეროდ, ზნეკეთილ მოსახლეობას ალევინებენ მამასისხლად ნაყიდ პრეპარატებს!**

# ინტერვიუ მაყვალა ბერიანიძესთან, რომელიც პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების აუცილებლობაზე „ასავალ-დასავალის“ 18 დეკემბრის ნომერში ალაპარაკდა

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №54, 2024 წლის №1-2*

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე, რომელიც სახელმწიფოს მმართველობაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების აუცილებლობაზე ამ სამიოდე კვირის წინათ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში ალაპარაკდა, აცხადებს, რომ ქართულ პოლიტიკაში ბევრ უსიამოვნო სიურპრიზს ელის:***





ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ყრილობაზე. 2023 წლის 30 დეკემბერი

## მაყვალა ბერიანიძე:

# საქართველო ძალიან

— ყველა დამეთანხმება, რომ ამ სამიოდე კვირის წინათ, „ასავალ-დასავალის“ **2023 წლის 18 დეკემბრის** ნომერში, საგანგებოდ მივმართე ბიძინა ივანიშვილს და მოვუწოდე — **რაკი ევროპელებმა და ამერიკელებმა „ბოსი“ გიწოდეს, იყავით ნამდვილი „ბოსი“, თუ არადა, თქვით, რა ცეცხლი და უბედურება ტრიალებს თქვენ გარშემო-მეთქი!** ეს სიტყვები შემთხვევით არ მითქვამს და ნუ მომთხოვთ, რაც ვიცი, ყველაფერი ვთქვა. თუმცა, ერთი რამ კარგად დაიმახსოვრეთ: **საქართველო ძალიან მალე გაერთიანდება!** ეს პროცესი 2013 წელს თუ არა, 2019 წელს მაინც აქტიურ ფაზაში უნდა შესულიყო, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო გაიწელა. **ახლა, ჩემი ინფორმაციით, საქართველოს გაერთიანებას წინ ვერაფერი დაუდგება!** რუსეთთან უვიზო რეჟიმისა და ფრენების აღდგენა სიზმარში მიღებული გადაწყვეტილება არ არის. **არც ე.წ. „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ უშიშროების საბჭოს მდივანს უთქვამს სიზმარში — ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და ქართველებთან ერთად გამოვძებნოთ გზები, რათა ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ეს უბედურება არ დავუტოვოთ!**

**— თქვენ, ალბათ, იცოდით, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში ბრუნდებოდა და ამიტომ დაახლოებით ათი დღით ადრე დაასწარით პროცესს, როცა მას მოუწოდეთ — „იყავით ნამდვილი ბოსი“-ო! რისთვის დაბრუნდა ივანიშვილი, იმისთვის ხომ არა, რომ ვილაცების თავები პოლიტიკურად დააგოროს?**

— გულწრფელად ვთქვი ის, რასაც ვფიქრობდი და რა ინფორმაციაც მქონდა. ინფორმაციის გარდა, ბევრი ე.წ. „ექსპერტისგან“ განსხვავებით, რომლებიც საშინლად არეულები არიან, ელემენტარული ანალიზის უნარიც საკმარისი იყო იმის გამოსაცნობად, რომ ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკას ოფიციალურად დაუბრუნდებოდა. გაგახსენებთ 2023 წლის 19 დეკემბერს, როცა ბიძინა ივანიშვილი **რამაზ ჩხიკვაძის** საიუბილეო საღამოზე გამოჩნდა, ხოლო ამის შემდეგ ერთ-ერთ ოპოზიციურ არხზე, კერძოდ, „ტვ პირველზე“, აჩვენეს „ქართული ოცნებისა“ და ბიძინას საწინააღმდეგოდ შეთითხნილი პროპაგანდისტული ფილმი, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სხვა გაგრძელებებიც. მაგრამ მოულოდნელად ბიძინა პოლიტიკაში დაბრუნდა და მთელი ეს ბინძური სცენარი ჩაშალა. მოკლედ, ოპოზიცია დაიბნა, რადგან ივანიშვილის დაბრუნებას არავინ ელოდა. სხვათაშორის, არანაკლებად დაიბნენ „ქართულ ოცნებაშიც“, რაც მათ სახეზეც ეტყობოდათ...

**— დავიჯეროთ, ხელისუფლებაში არ იცოდნენ, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში ოფიციალურად ბრუნდებოდა?**

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ქართულ ოცნებაში“ ბიძინას დაბრუნების შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა. **ალბათ, ღარიბაშვილმა, გომელაურმა და „სუს“-ის უფროსმა ლილუაშვილმა ამის შესახებ იცოდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების „ვერხუშკაშიც“ კი ამის თაობაზე არავინ არაფერი უწყოდა.**

**— მაინც რისთვის დაბრუნდა ივანიშვილი?**

— **ედუარდ ჭეილის** „უსამშობლო კაცში“ ამერიკელი ოფიცერი უსამართლობამ ისე გაამწარა, რომ დაწყევლა თავისი სამშობლო, რომელიც სიგიჟემდე უყვარდა. ამის გამო მას სასამართლომ უსამშობლოდ ცხოვრება მიუსაჯა ისე, რომ სიკვდილამდე ვერასოდეს გაეგონა სახელი — „ამერიკა“. მოდით, ახლა სიმართლე ვთქვათ — **რაც ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით საავკაშვილი ქართველმა ხალხმა გააგდო, იმის შემდეგ რამდენმა ისეთმა ქართველმა ვერ იპოვა ქვეყანაში სამართალი, რომელსაც ახალი ხელისუფლების იმედი ჰქონდა და ედუარდ ჭეილის უსამშობლო კაცის მსგავსად, გამწარებულმა წყევლითა და კრულვით დატოვა საქართველო?**

**თქვენ ხომ ძალიან კარგად იცით, რომ ქართულ სასამართლოსა და პროკურატურაში დღეს ვერავითარ სიმართლეს ვერ იპოვით? რამდენჯერ მიმართეთ პირადად თქვენ ხელისუფლებას, რათა მიეღეთ, მაგრამ არავითარი რეაქცია და გამოხმაურება! არცერთი მინისტრი მოსახლეობას არ ხვდება და თუ თავიანთი უახლოესი გარემოცვის წევრები არ არიან, კაციშვილს კაბინეტში არ იღებენ! ამათ ჰგონიათ, ბიძინა ივანიშვილმა ამის შესახებ არაფერი იცის?**

უარესი ხდება ჩემთან დაკავშირებით...

**— კერძოდ!**

— აი, მაგალითად, საჯარო რეესტრში რა უბედურება ტრიალებს? **მივმართავ იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს** — „დაადის“ ფონდიც“ ვიცი, მანდ როგორ მოხვდით, ისიც ვიცი და ერთი ამიხსენით, **როგორ შეიძლება, საჯარო რეესტრი რეგისტრაციაში არ ატარებდეს ქონებას, რომელზეც უზენაეს სასამართლოს გამოტანილი აქვს კანონიერ ძალაში შესული გა-**

## „ბიძინა ივანიშვილმა ცხადად დაინახა, რომ „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერი ორ სკამზე იჯდა და გასაქცევად მზად იყო!“

## კვირგვინოსნები

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



აქამდე სულ იყო ლაპარაკი **არაფორმალურ მმართველობაზე,** მათ შორის, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან, ისმოდა კითხვები... **ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ამ თემასა და კითხვებს მოხსნის.**

თუ რაღაც კრიტიკული არ მოხდა, რაც მესამე ძალის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, ისევ **„ქართული ოცნება“ მოიგებს არჩევნებს. რეალურად „ქართულ ოცნებას“ კონკურენტი არა ჰყავს.**

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



არ მჯერა, რომ **ბიძინა ივანიშვილს** სიტუაცია გაექცა ხელიდან და ახლა **კონტროლის აღსადგენად** ბრუნდება პოლიტიკაში. დღეს **ოპოზიციის რეიტინგი ძალიან დაბალია და ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. მაშ, რატომ დაბრუნდა?**

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტიკის ექსპერტი*



დიდი ალბათობით, **2024 წლის პარლამენტი ერთპარტიული იქნება.**

„კვირის პალიტრა“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**სასოწარკვეთილება, რაც დაეუფლა ჩვენს ოპონენტებს,** კარგად წარმოაჩენს **ბიძინა ივანიშვილის** დაბრუნების ფასს.

„იმედინიუსი“

ნაჩენი, ერთხელ უკვე დარეგისტრირებული იყო ჩემს სახელზე და არსებობს საბანკო სესხი, რომლითაც ეს ქონება შევიძინე? იცით, რა მითხრეს საჯარო რეესტრში? კი, ბატონო, ქონება ნამდვილად თქვენია, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც ნამდვილია, მის შესაძენად სესხიც თქვენ აიღეთ, რომელსაც წლების განმავლობაში პატიოსნად იხდიდით, მაგრამ **ქონება რომ თავიდან დაგირეგისტრიროთ, ან ბიძინა ივანიშვილმა დაგვირეკოს და ან ირაკლი ღარიბაშვილმაო!**

**— ეს ვინ გითხრათ?**

— იცით, ვინ მითხრა? **ზიორგი ვაშაძის** მეგობარმა და ახლობელმა — **მახათაძემ,** რომელმაც, როცა ავტომატიდან მესროლეს, დოკუმენტებში გვარი განგებ შემიცვალა და **„ბენიანიძედ"** გამომაცხადა, რათა ნაცების დროს სტრასბურგში არ მეჩივლა! მთელი ოთხი თვის განმავლობაში არავის მოქალაქე არ ვიყავი და უპასპორტოდ ვცხოვრობდი. **მობილურ ტელეფონზე რომ დავურეკე და ვკითხე — ქონებას რატომ არ მირეგისტრირებთ-მეთქი?** — კივილ-წივილი ატეხა — **ვინ მოგცათ ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი, ეს პერსონალური მონაცემიაო!** არადა, ამ დროს **მახათაძე** საჯარო პირია და უზარმაზარი დეპარტამენტის ხელმძღვანელია...

**აი, ასე არიან გათავხედებული და ძალიან დიდია იმის მოლოდინი, რომ ბიძინა ივანიშვილის მობრუნების შემდეგ სწორედ ასეთების თავები დაგორდება!**





## „ირაკლი ღარიბაშვილი კარგი ახალგაზრდაა, მაგრამ რომ არა ბიძინა ივანიშვილის ზურგი, დარწმუნებული ვარ, მის წინააღმდეგობას გატეხდნენ და საქართველოს ომში ჩაითრევდნენ!"

**გამორჩეული და მყარი რეპუტაციის ბანკი გახლდათ, მაგრამ ივანიშვილმა თაღლითობა და არაკაცობა არ აპატია და ხომ ხედავთ, დაანგრია! ვის სჯერა, რომ მხოლოდ ქორვილელმა ბიძინა ივანიშვილმა წააქცია ამოდენა ფინანსური იმპერია, ამ ბრძოლაში მარტო იყო და მას ზურგს არავინ უმაგრებდა?**

„კრედიტ სუისს" არაკაცობა არც ბიძინამ და არც იმ ევროპელებმა და ამერიკელებმა აპატიეს, რომლებმაც ივანიშვილს „ბოსი" უწოდეს! **„კრედიტ სუისი" დაისაჯა იმიტომ, რომ ის ანგრევდა იმ უსაფრთხოების სისტემას, რასაც „ნდობა" ჰქვია... აქედან გამომდინარე, ე.წ. „ექსპერტებო", საერთოდ არაფრის აზრზე არ ხართ!** ერთი რამეც გარკვევით უნდა ითქვას — ბიძინა ივანიშვილის გარდა საქართველოში კაცი არ არის, რომელიც მაგიდაზე მუშტს დაარტყამს!

**ყველა ლაპარაკობს ივანიშვილის მესამედ დაბრუნებაზე და არავინ იხსენებს, რა თქვა მან მეორედ დაბრუნების დროს!**

**— რა გულისხმობთ?**

— ამის შესახებ ბიძინამ ამ რამდენიმე დღის წინათ ისაუბრა, როცა განაცხადა — ჩემმა მეგობარმა ევროკავშირის ელჩმა მითხრა: **რომ არ დაბრუნებულიყავით, ერთ თვეში სახელისუფლებო პარტიისგან აღარაფერი იქნებოდა დარჩენილიო!** როგორ გგონიათ, ბიძინა ივანიშვილმა სიზმარი ნახა და პოლიტიკაში იმიტომ დაბრუნდა, თუ ეს ყველაფერი შეათანხმა, კარგად აწონ-დაწონა და გადაწყვეტილება ისე მიიღო? არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ **ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე საქართველოს არც კანდიდატის სტატუსს მისცემდნენ.** ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად ბიძინა აუცილებლად გამოიყენებდა იმ უდიდეს გავლენებსა და კავშირებს, რომელსაც ფლობს. ყველაზე მთავარი — **ირაკლი ღარიბაშვილი კარგი ახალგაზრდაა, მაგრამ რომ არა ბიძინა ივანიშვილის ზურგი, დარწმუნებული ვარ, მის წინააღმდეგობას გატეხდნენ და საქართველოს ომში ჩაითრევდნენ!**

**— ამ ყველაფრის ფონზე როგორ გამოიყურება ქართული ოპოზიცია?**

# მალე გაერთიანდება!

ზოგიერთ ე.წ. „ექსპერტს" რომ ჰკითხოთ, „ქართულ ოცნებას" ისედაც მაღალი რეიტინგი აქვს და ამიტომაც ბიძინა ივანიშვილი მოსალოდნელი არჩევნების გამო პოლიტიკაში არ დაბრუნებულა. ეს ე.წ. „ექსპერტები" უსირცხვილოდ ამასაც აცხადებენ — ივანიშვილი რისთვის დაბრუნდა, ამას მარტის ბოლოს გეტყვითო! ასეთების გასაგონად ვიტყვი: **ვიდრე კანდიდატის სტატუსს მოგვანიჭებდნენ, ბიძინა ივანიშვილმა თქვენგან განსხვავებით ცხადად დაინახა, რომ „ქართული ოცნების" ზოგიერთი ლიდერი ორ სკამზე იჯდა და გასაქცევად მზად იყო!** ამას თქვენ ვერ ხედავდით ,ე.წ. „ექსპერტებო", მაგრამ გგონიათ, ბიძინაც ვერ ხედავდა? კანდიდატის სტატუსი რომ არ მოეცათ, მაშინ გენახათ, აქ რა ამბები დატრიალდებოდა!

**— რა მოხდებოდა?**

— არამარტო ე.წ. „რევკომი" დაიქოქებოდა და ისევ გადატრიალების მოწყობას მოინდომებდნენ, არამედ „ქართული ოცნებიდან" იმდენი გაიქცეოდა და ნაცების მხარეს გადავიდოდა, რამდენიც დაგიბარებიათ!

**„ქართულ ოცნებაში" ცალ-ცალი კალოშით რომ მოვიდნენ და დღეს მილიონებს ათამაშებენ, ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად მოიკითხავს, რა მოხდა და რამ გაასუქა ასე ეს ხალხი?**

აი, სწორედ ამის გასარკვევად მობრუნდა! ე.წ. „ექსპერტები" ისე აიჭრნენ და აირივნენ, რას ლაპარაკობენ, თვითონაც არ იციან.

აი, მაგალითად ზოგიერთები გაიძახიან — ბიძინას სახელმწიფოს ინტერესები არ ადარდებს, პირადი უსაფრთხოება და ბიზნესი მისთვის უმთავრესია, მაგრამ კარგია, რომ დაბრუნდაო! თუ კაცს ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია და მარტო თავისი მილიარდები აინტერესებს, მისი დაბრუნება კარგი როგორ არის? **ჩამოყალიბდით მაინც, რას ბოდავთ და მიედ-მოედებით!**

**„კრედიტ სუისი" შვეიცარიის საბანკო სისტემაში ერთ-ერთი**

## „დარწმუნებული ვარ, „ბიჭებს" მოუწევთ მოპარული ფულების უკან მოცუნცულება და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა!"

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ბიძინა ივანიშვილის** გადაწყვეტილებაში ვხედავ პირად მოტივებს, შფოთვებსა და რისკებს — **„ოცნების" ლიდერებს ძალიან ცუდად დაეძინებათ, რადგან არ იციან, რომელს დაეტაკება და ხორცის მანქანაში გაატარებს.**

„ინტერპრესნიუსი"

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



ამ ახალ წელს ყველაზე მეტად არ გვეთქმის **ილიას** სიტყვები: — **„რა გითხრათ, რით გაგახაროთ?",** სათქმელიც ბევრი გვაქვს და სიხარულიც. **ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა** არა ოპოზიციის დასასრულებლად, **ესენი უკვე დასრულებულნი არიან,** არამედ საქართველოსთვის **ახალი რეალობის სრულად გამოსაყენებლად ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში.**

„იმედინიუსი"

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



ერთ მხარეს არის **ქართველი ხალხი და ბიძინა ივანიშვილი** თავისი გუნდით, ხოლო მეორე მხარეს — **უცხო ქვეყნის გავლენის ბენეფიციარები, პარაზიტები და ექსტრემისტები.**

„იმედინიუსი"

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის" წევრი, პარლამენტარი*



კარგია, რომ **ბიძინა ივანიშვილი** პოლიტიკაში დაბრუნდა, ამით **არაფორმალური მმართველობის პრობლემა მინიმუმ მოიხსნა** — მოლოდინი მაქვს, ვიღაც თანამდებობას დატოვებს.

„ინტერპრესნიუსი"

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

დასაწყისი მე-8 გვერდზე



„თუ მოინდომა, ივანიშვილი უსწრაფესად დადებს მონაცემებს იმის შესახებ, „ქართულ ოცნებაში“ ვინ რითი გამდიდრდა! აქედან გამომდინარე, მას არ გაუჭირდება კორუმპირებულების გამოვლენა, რომლებიც უკვე მილიონებს კი არა, მილიარდებსაც ეთამაშებიან!“



ლატე გახარიას გზა მე გავუკაფე, ნაცებთან ერთად კოალიციები რომ შექმნა? რუსთავში იმ კარგ გო-

# მაყვალა ბერიანიძე:

# გაიძახიან – ივანიშვილი პუტინის კაციაო! თუ ივანიშვილი პუტინის კაცია, ევროპამ კანდიდატის სტატუსი პუტინს მისცა? რაღაც ძალიან არეულები არიან!

— ცუდი დიასახლისი რომ ქვაბში რაღაცებს უთავბოლოდ ჩაყრის და უგემურ „კერძს“ მოამზადებს, სწორედ იმას ჰგავს დღევანდელი ოპოზიცია. გაიძახიან — **ივანიშვილი პუტინის კაციაო!** თუ ივანიშვილი პუტინის კაცია, ევროპამ კანდიდატის სტატუსი პუტინს მისცა? რაღაც ძალიან არეულები არიან...

**— საზოგადოებას აქვს მოლოდინი, რომ ივანიშვილმა ვიღაც-ვიღაცებს თავები უნდა დააყრევინოს!**

— თუ მოინდომა, ივანიშვილი უსწრაფესად დადებს მონაცემებს იმის შესახებ, „ქართულ ოცნებაში“ ვინ რითი გამდიდრდა! აქედან გამომდინარე, მას არ გაუჭირდება კორუმპირებულების გამოვლენა, რომლებიც უკვე მილიონებს კი არა, მილიარდებსაც ეთამაშებიან. **შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ივანიშვილი ვიღაცების თავებს პირდაპირი მნიშვნელობით დააგორებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „ბიჭებს“ მოუწევთ მოპარული ფულების უკან მოცუნცულება და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა!**

2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში ძირითადად მოლაპარაკე თავები მოიყვანა. დადგა დრო, როცა ხელისუფლებაში გონიერი თავები უნდა მოიყვანოს! ივანიშვილმა ყველა და ყველაფერი ნახა, ყველა გააშიშვლა და დარწმუნდა, რომ **ხელისუფლებაში შეიქმნა მოღალატეების — კურტიზანი ქალებისა და კაცების კასტა, რომელიც უზარმაზარ ქონებას იხვეჭს.** აი, სწორედ ამ კურტიზანების თავების დასაგორებლად მობრუნდა ბიძინა!

გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს უტიფარი და კურტიზანი ქალები და კაცები ამ დროს გაიძახიან, რომ საქართველოში მათ გარდა კადრები არ არსებობს! არადა, საქართველოში არსებობს უამრავი პროფესიონალი, რომელიც ამ კურტიზანებივით უკადრებელს არ კადრულობს. სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ მივმართავ ბიძინა ივანიშვილს: **ბატონო ბიძინა, ჩრდილიდან მარტო თქვენ კი არ უნდა გამოხვიდეთ, არამედ სხვებსაც უნდა გაუნათოთ გზა, მაგრამ არა ისეთებს, თან რომ გადაჰყევით და სანაცვლოდ გლანძღეს და გაგინეს!**

ბიძინამ ძალიან კარგად იცის, რომ ახლა მოღალატე კურტიზანი ქალებისა და კაცების დროა. თუ ბიძინა ივანიშვილმა სასამართლო გადაწყვეტილებებს არ გადახედა, თუ პროკურატურა არ გაიწმინდა, ისე არაფერი გამოვა... მაინც მგონია, რომ „ბოსი“ მართლა დაბრუნდა! ივანიშვილმა უკანასკნელ გამოსვლაში საგანგებოდ გაუსვა ხაზი ადამიანურ „ცთუნებებს“, ანუ ღალატს. **მოღალატეები ქართულ პოლიტიკას არ აკლია, მაგალითად, „ფორმულას“ ერთ-ერთი შეფი გიორგი თარგამაძე კლასიკური მოღალატეა, მაგრამ ხომ ვერ მეტყვით, სად არიან ისინი, რომლებიც სააკაშვილმა „ქდმ“-ის სიით პარლამენტში შეიყვანა?** მთელი „ქდმ“ დღეს „ქართულ ოცნებაშია“. აქედან გამომდინარე, თუ **გიორგი თარგამაძე** მოღალატეა, ესენი ვინ გამოდიან?

**— ივანიშვილმა გახარიას ღალატზეც ისაუბრა!**

— ამოიღეთ კადრები და დააკვირდით ჯერ **ივანიშვილის** და მერე **გახარიას** სახეს, როცა ბიძინამ ის პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარადგინა. ბიძინას გახარიას პრემიერობა არ სურდა, მაგრამ გავანებოთ ამასაც თავი. კაცო, თუ ის ვერ გათვალე, რომ გახარია მოღალატე იყო, ვერც ის კაცი გათვალე და შეისწავლე, ვინც გახარიას რეკომენდაცია გაუწია და მოგიყვანა?

**— გახარია ივანიშვილს ხუხაშვილმა მიუყვანა!**

— მითუმეტეს! **ივანიშვილმა ხუხაშვილი ააშენა და დაამშვენა... 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებში მოღალატე ლატე გახარიას გზა მე გავუკაფე, ნაცებთან ერთად კოალიციები რომ შექმნა? რუსთავში იმ კარგ გოგოს — ნინო ლაცაბიძეს, რომელსაც ხალხი აქებს, სისხლი გაუშრეს გახარიამ და მისმა ხალხმა.**

**— მაინც როგორ განვითარდება პროცესები და რას უნდა ველოდოთ საქართველოში?**

— გუშინწინ ამერიკელმა **ჯონ კირბიმ** განაცხადა — თუ კონგრესმენები ვერ დავიყოლიეთ, ამერიკის ბიუჯეტი ჯადოსნური ქოთანი არ არის, ხელი ჩავყოთ და ფული ამოვიღოთ, ასე უკრაინას ვერ დავეხმარებითო! თავის მხრივ, **ზელენსკიმ** თქვა — თუ არ დაგვეხმარებით, ვახშმად პუტინი ევროკავშირსაც შეჭამს და ნატოსაცო! ეს რომ ირაკლი ღარიბაშვილს ეთქვა, ჩვენი ოპოზიცია ქვეყანას გადააყრუებდა — პრემიერი რუსეთის მონააო! რაც შეეხება ჩვენს მომავალს, 2024 წელს მსოფლიოს 40 ქვეყანაში არჩევნები ტარდება და მათ შორის ყველაზე ურთულესი არჩევნები, ცხადია, საქართველოში იქნება. ოპოზიცია წავა ნებისმიერ სიბინძურეზე, მოხდება თითოეული კრიმინალური შემთხვევის განზოგადება, ბანკის ძარცვის საგანგებო რეჟიმში გაშუქება და იმის გამოცხადება, თითქოს ამ ყველაფრის უკან დგას „ქართული ოცნება“. ამას დაემატება სადღაც, უცხოეთში, „ქართული ოცნების“ რომელიღაც დეპუტატის საშოპინგოდ „გამოჭერა“, პენიტენციური სისტემიდან რაღაცის „გამოჟონვა“ და ა.შ. მოკლედ, ურთულესი წელი იქნება.

**დღეს სამ ქართულ ბანკს, რომელიც ოპოზიციის სამსახურშია, ყოველწლიურად მილიარდი აქვს სუფთა მოგება. აქედან მოგების 87 პროცენტი „თიბისი ბანკზე“ მოდის მაშინ, როცა ყოველწლიურად „ქართუ ბანკის“ მოგება 26 მილიონ დოლარს არ ცდება.** საიდან აქვს „თიბისი ბანკს“ ამოდენა მოგება? შედით პარლამენტში და ნახავთ, რომ ნებისმიერი პარლამენტარი, ოპოზიციიდან იქნება თუ პოზიციიდან, სწორედ **მამუკა ხაზარაძის** კლიენტია. აქედან გამომდინარე, „ლელოს“ ხუთპროცენტიან ბარიერს გადაალახვინებენ...

ბარიერს გადალახავენ **მელიას ნაცებიც და ხაბეიშვილის ნაცებიც...** სავარაუდოდ, ბარიერს **„ხალხის ძალაც“** გადალახავს. არ გამოვრიცხავ, **გახარიასა და სალომეს ნაზავმაც** გადალახოს ბარიერი. დიდია იმის ალბათობა, კონსერვატიულად განწყობილმა ახალგაზრდებმაც გადალახონ ხუთპროცენტიანი მინიმუმი.

**— „ქართული ოცნების“ საქმე როგორ იქნება?**

— ბიძინა ივანიშვილი რაც მეტად დაეყრდნობა 2012 წლის კადრებს, „ქართული ოცნება“ უფრო მოიგებს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*



„მოღალატეები ქართულ პოლიტიკას არ აკლია, მაგალითად, „ფორმულას“ ერთ-ერთი შეფი გიორგი თარგამაძე კლასიკური მოღალატეა, მაგრამ ხომ ვერ მეტყვით, სად არიან ისინი, რომლებიც სააკაშვილმა „ქდმ“-ის სიით პარლამენტში შეიყვანა?“

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი



პირობას გაძლევთ, **2024 წლის 26 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე** ნახავთ ატირებულ **ივანიშვილს.**

„აიპრესი“

**ივანე ხვიჩია**
„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი



ძალიან ვგულშემატკივრობთ, რომ ოპოზიციური ხმები არ დაიკარგოს და **ნაცებში შევიდეს ყველა ნაცური პარტია, მათ შორის „ლელოც“.**

„პირველი არხი“

**რომან გოცირიძე**
ოპოზიციონერი პარლამენტარი



ჩამოშორდა თუ არა **ბიძინა ივანიშვილს** არაფორმალურის იარლიყი? — არა, რა თქმა უნდა! **მრჩევლის მიერ მიტაცებული ძალაუფლება** მართლაც სიახლეა პოლიტიკურ ისტორიაში, ესღა გვაკლდა.

„ინტერპრესნიუსი“

**გიგა ბოკერია**
„ევროპული საქართველოს“ ლიდერი



მე თავად ტერმინ **„დაბრუნებას“** ვაპროტესტებ, იმიტომ, რომ **არასდროს არსად წასულა.**

„ახალი თაობა“

**ბაჩუკი ქარდავა**
„ერთიანობა და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“ წევრი



**ივანიშვილის** „მესამედ მოსვლა“ — **„ბიძინამ მოიგო და ბიძინამ უნდა წააგოს!“**

„ახალი თაობა“

**დიმიტრი ხუნდაძე**
„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი



**ბიძინა ივანიშვილის** პოლიტიკაში დაბრუნება ნიშნავს **გარანტირებულ მშვიდობას, სტაბილურობას და წონსწორობას.**

„აიპრესი“

# „ოცნებას“ დარჩენილი აქვს ხალხის ვალი — დამნაშავეების დასჯა, რომელიც ვალდებულია, გაისტუმროს!“

## ლალი მოროშკინა:

# ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა იმისათვის, რომ საქართველოს გამთლიანებისკენ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგას!



***მაშინ, როდესაც 2023 წელი საათებს ითვლიდა, საზოგადოებამ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ შეიტყო. რატომ გადაწყვიტა ყოფილმა პრემიერმა პოლიტიკაში მესამედ დაბრუნება და კიდევ რა სიურპრიზებს უნდა ველოდოთ 2024 წელს? პოლიტიკურ ანალიზსა და პროგნოზს პოლიტოლოგი, პიარტექნოლოგი და ჟურნალისტი ლალი მოროშკინა გვთავაზობს:***

— გაიხსენეთ, რას ამბობდა ბიძინა ივანიშვილი, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა — 2030 წელს საბოლოოდ დასრულება ყველაფერი და აყვავებულ საქართველოში ვიცხოვრებთო. ასეც ხდება. **2024 წელი იქნება გარდამტეხი, მოსამზადებელი იმისათვის, რომ ბევრი პროცესი 2030 წლისთვის სასიკეთოდ დასრულდეს.**

პირდაპირ გეტყვით ჩემს მოსაზრებას — ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა იმისათვის, რომ საქართველოს გამთლიანებისკენ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგას. გვინდა თუ არა, რაღაც მინიშნებებსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თქვა პატრიარქმა — **ისე არ დავტოვებ წუთისოფელს, სოხუმის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა რომ არ ჩავატაროო.** ჩვენი პატრიარქი არ ახალგაზრდავდება. ორიოდე დღის წინათ 91 წელი შეუსრულდა, შესაბამისად, ეს დროც უფრო და უფრო ახლოვდება.

ყურადღებიან ადამიანს არც პრემიერის სიტყვები გამოეპარებოდა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებამდე გააკეთა — **ქვეყანა გასაერთიანებლად უნდა მოემზადესო!**

**— ანუ პრემიერმაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე მიანიშნა?**

— დიახ, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სერიოზულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ ქვეყნის გამთლიანების კუთხით. **ირაკლი ღარიბაშვილი** არის ძალიან პრაგმატული პოლიტიკოსი, კახური, ქიზიყური სიდინჯით მიჰყვება ხოლმე თავის საქმეებს. არცერთ სიტყვას ჰაერში არ ისვრის. შესაბამისად, არც მისი ეს ნათქვამი იყო შემთხვევითი.

## ვფიქრობ, ძალიან დიდი და სერიოზული პროცესი იწყება. ივანიშვილი თავისი წასვლით და მოსვლით, კულუარული მოლაპარაკებებით თუ ა.შ. რაღაც სერიოზულს გვიმზადებს!

ამ ადამიანმა თავიდანვე ძალიან ბევრი რამ განჭვრიტა და არაერთი ნაბიჯი გადადგა იმ მიზნისკენ, რომელიც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი და ყველაზე დიადია. 2012 წლიდან და მანამდეც დიდი როლი ითამაშა ქვეყნის გადარჩენის საქმეში. ის აფინანსებდა ჯარს, პოლიციას, ეკლესიების მშენებლობებს, არქიტექტურული ძეგლების გადარჩენის კამპანიას და ა.შ. სამწუხაროდ, ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა. უკან დახიეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი, რომელიც „ვარდების რევოლუციამდე“, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რადგან თავად გახლდით იმ დროს მმართველობის სათავეში.

**— მართლა ფიქრობთ, რომ რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებს დათმობს?**

— სოჭის ოლიმპიური თამაშები რომ უნდა გამართულიყო, მილიარდობით ფული დაიხარჯა, ქოხები სასახლეებად აქციეს. როდესაც პუტინს დასჭირდა, ჩრდილოეთ კავკასიაში უზარმაზარი ფული ჩადო, დღეს სტავროპოლში უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მსოფლიოში მოწინავე კოსმოსური უნივერსიტეტია, სულ ახლახან მიწასთან გასწორებული მარიუპოლი ააშენა, ანუ, როდესაც ფულის ჩადება უნდა, ამას აკეთებს და ევროპული სტანდარტების მქონე მხარედ და ქალაქად აქცევს. **ამ დროს ცხინვალი და აფხაზეთი ისევ ისეთივე ნატყვიარია, როგორც 30 წლის წინათ. არცერთი თეთრი არ დახარჯულა მათ აღსადგენად და გასალამაზებლად, რაც მოსახლეობაში დიდ გაღიზიანებას იწვევს. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ **რუსეთს ეს ტერიტორიები არა აქვს საბოლოოდ მიერთებული და, ვფიქრობ, დღეს ამის თაობაზე კულუარული მოლაპარაკება მიდის, რაზეც ჩვენ ამ ეტაპზე არავინ არაფერს გვეტყვის.** დიახ, ღია კარტით არავინ თამაშობს დიდ პოლიტიკაში. არ დაგვავიწყდეს, რომ ამიერკავკასიაში ვცხოვრობთ და ამის ნათელი მაგალითი **ყარაბაღია.** ზუსტად მაშინ, როდესაც მსოფლიოში თითიდან გამოწოვილი არარსებული კოვიდი მძვინვარებდა, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის მოლაპარაკება შედგა, რის შემდეგაც ყარაბაღი დაუბრუნდა. **ისიც ფაქტია, რომ დღეს ქართველ მეცნიერებს ეძახიან რუსეთში, ბევრი რუსი სპორტსმენიც გამოდის ქართული დროშის ქვეშ. ეს ყველაფერი შემთხვევით არ ხდება.**

ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ამ პროცესების მართვის სადავეები ეჭირა ხელში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი ეპოქალური ბრძოლის ავანგარდში უნდა იყოს. ის, რომ ახალი წლის ღამაზად შეხვედრით „ფორბსის“ ათეულში მოვხვდით, სწორედ აქეთკენ გადადგმული ნაბიჯია — ამით აფხაზებსა და ცხინვალელებს ვეუბნებით — საქართველო ვითარდება და აი, ასეთ განათებულ თბილისში გეპატიჟებით!

## მოვემზადოთ გაერთიანებისთვის – ეს სიტყვები უნდა იყოს და იქნება 2024 წლის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფრაზა.

**— ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი არც არსად წასულა. ამჯერად იმიტომ გამოვიდა ჩრდილიდან, რომ „ოცნებას“ საარჩევნოდ მაშველი რგოლი გადაუგდოს!**

— ვის რაში აინტერესებს, რას იტყვის ე.წ. ოპოზიცია? მათი უმრავლესობის ადგილი არის ციხეში!

„ოცნებას“ ისე არ გაუჭირდება, რომ ხელისუფლების სათავეში ვერ მოვიდეს. სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ გაიზარდა ოპოზიცია, რომელიც კონკურენციას გაუწევს მას. იმდენად სუსტები არიან თავის სალომე ზურაბიშვილიანად, რომ „ოცნებას“ ისედაც და ასედაც გარანტირებული პირველი ადგილი აქვს. კიდევ ერთხელ ვამბობ — **ბიძინა ივანიშვილს გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი მისია აკისრია — ქვეყნის გამთლიანება!**

**— როგორ ფიქრობთ, რა იქნება მისი პირველი პოლიტიკური ნაბიჯი?**

— ძნელი სათქმელია, რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი: **„ოცნებას“ დარჩენილი აქვს ხალხის ვალი — დამნაშავეების დასჯა, რომელიც ვალდებულია, გაისტუმროს!** სადაც არ უნდა შევიდე, სალონში, რესტორანში თუ მუზეუმში, ყველგან მაჩერებენ და მეკითხებიან — **დაგვიბრუნდება თუ არა როდისმე ქონება?** დღეს სააკაშვილი „ვივამედში“ კი არ უნდა იყოს წამოკოტრიალებული, სხვა დამნაშავეებთან ერთად ციხეში უნდა იხდიდეს სასჯელს! საქართველოს საზოგადოება ამას ელოდება! მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი ძალიან ჰუმანური ადამიანია, ამავე დროს პრინციპულიც გახლავთ და მჯერა, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს. შეიძლება 2024 წელს განკითხვის წელიც ვუწოდოთ!

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ოპოზიციასთან რევერანსები და არაფრის მთქმელი მედიაჭორები. სამ-ოთხ არხზე უნდა უყურო საინფორმაციო გამოშვებას, რომ საშუალო არითმეტიკული გამოთვალო. მედიაპლატფორმა გვჭირდება, სადაც ღრმა ანალიზი იქნება!

**— როგორ წარმოგიდგენიათ მედიასივრცეში ხელისუფლების ჩარევა?**

— პირველ რიგში, ცილისწამების შესახებ კანონი უნდა იქნეს მიღებული და ყველაფერი თავისთავად დალაგდება. როდესაც ყველა გაჟღერებულ ცილისწამებაზე პასუხი მოეთხოვებათ, ასე ხელაღებით აღარ მიაყენებენ ერთმანეთს შეურაცხყოფას და, შესაბამისად, ეს პოლიტიკური ბაქანალიაც დასრულდება. **„ოცნებამ“ პირველივე სასესიო კვირაზე უნდა დააყენოს ეს საკითხი. სულ მცირე, იმას მაინც დავინახავთ, ვის არ აწყობს ამ კანონის მიღება.**

**— თუ სალომე ზურაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილი შეიწყალა, როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში რა მოხდება?**

— სალომე მხდალი ქალია, გამოვრიცხავ, სააკაშვილი შეიწყალოს, მითუმეტეს, სამართლებრივად არ არის ეს თემა დალაგებული და სააკაშვილის ამნისტიით ეს პროცესი არ დასრულდება. გაცილებით უარესი საქმეებია მის წინააღმდეგ აღძრული. ყველაფერს სჯობია, მიხეილ სააკაშვილმა კალამი აიღოს ხელში და დაწეროს, რეალურად რა მოხდა მათ შორის, 2008 წელს. თუ სიმართლეს იტყვის და მოიბოდიშებს, უფრო ნაკლებად დასჯის მას ქართველი ხალხი. შიშით კლინიკიდან ციხეში ვერ გადადის, რომ სასჯელი კაცურად მოიხადოს, მეტიც — **შორიდან ადევნებს თვალს, როგორ ზეიმობს დედამისი თაფლობის თვეს.** ხომ უნდა მიხვდე, რომ ეს ყველაფერი სასჯელია და დაინდო საკუთარი თავი?! ამაზე მეტი როგორღა უნდა დაგსაჯოს უფალმა?!

მე, როგორც ადამიანი, რომელიც მას ახლოს ვიცნობდი, კიდევ ერთხელ ვურჩევ, დღევანდელ საქართველოსთან ითანამშრომლოს, სიმართლე თქვას!

**— რა არის ეს სიმართლე?**

## – 2008 წელს რამდენად მიჰყიდეს საქართველო რუსეთს. პირადად მას რამდენი ერგო ამ ვაჭრობიდან. დიახ, ეს უნდა ითქვას. უნდა დასახელდეს ის რუსი პოლიტიკოსები, ვინც ამ ყველაფერში ურევია!







**„შიშით კლინიკიდან ციხეში ვერ გადადის, რომ სასჯელი კაცურად მოიხადოს, მეტიც — შორიდან ადევნებს თვალს, როგორ ზეიმობს დედამისი თაფლობის თვეს. ხომ უნდა მიხვდე, რომ ეს ყველაფერი სასჯელია და დაინდო საკუთარი თავი?! ამაზე მეტი როგორღა უნდა დაგსაჯოს უფალმა?!“**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# ხვალ, 9 იანვარს, 100 წლის წინათ,

# თბილისში კაცობრიობის უდიდესი რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი დაიბადება!



„მე სამყაროს სიყვარულით გადავუხდი სამაგიეროს!“

***ზუსტად 100 წლის წინათ, 1924 წლის 9 იანვარს, თბილისში სერგო ფარაჯანოვი დაიბადა. მაშინ თბილისს ჯერ კიდევ ტფილისი ერქვა, ვიწრო ქუჩებში ქვაფენილზე აჩქარებული ფაეტონის ბორბლების ხმა ისმოდა, დუქნებშიც ფიროსმანის ნახატები ეკიდა და მტკვარშიც ფიროსმანის მეთევზე იდგა. მეიდანზე ჯერ კიდევ ისხდნენ მილეთის ვაჭრები ბროწეულით სავსე ხონჩებით, წინ ედგათ სინებზე მოხტუნავე კალმახები. ამ წიაღის შვილი და ბავშვობიდან ამ ესთეტიკას შესისხლხორცებული უკვე დიდი მაესტრო შემდგომ იტყვის:***
***„მე, სერგო ფარაჯანოვი, დავიბადე და მოვკვდები თბილისში!“***

საკუთარ თავს **ეროვნებით თბილისელი** დაარქვა, ცხოვრობდა მთაწმინდაზე, კოტე მესხის ქუჩაზე და ამით უსაზღვროდ ამაყი იყო. უყვარდა თავისი სახლის აივანი, სადაც ჭერზე გაჭიმულ თოკზე ჩამოკიდებული ჰქონდა 9-სანთლიანი ბრინჯაოს ჭაღი, ჩიტებისათვის — ჩალაჩაფენილი საცერი და თვალს ადევნებდა ერთი ხელის გაწვდენაზე მოცურავე თბილისის ცის ღრუბლებს. ეზოს პატარა შადრევნიდან ამოფრქვეულ წყლის წვეთებს ბრილიანტებს უწოდებდა და ბავშვივით უხაროდა. უყვარდა თავისი სახლის კარი, რომლის წინაც ხშირად იღებდა ფოტოებს... უყვარდა ჭერჩამოშლილი თავისი საძინებელიც, წვიმის წვეთები რომ ჩამოსდიოდა და ხშირად საწოლში ქოლგაგაშლილს ეძინა.

**დღეს აღარც ფარაჯანოვის ბავშვობის აივანია, აღარც — შადრევანი და მისი სახლიც კოტე მესხის ქუჩაზე სხვისი საკუთრებაა. მხოლოდ გარე კედელზე განთავსებული დაფა და ეზოს მხრიდან რკინის ჭიშკარზე დამაგრებული, ბროწეულებგამოსახულებიანი აბრა მიგანიშნებთ, რომ ამ სახლში ცხოვრობდა კაცობრიობის უდიდესი რეჟისორი, მხატვარი, დრამატურგი და მუსიკოსი სერგო ფარაჯანოვი.** კოტე მესხის ქუჩის პატარა შესახვევს მხოლოდ 2022 წლის ივნისში უწოდეს სერგო ფარაჯანოვის სახელი და ნუმერაციის მიხედვით, ამ შესახვევიდან ფარაჯანოვის სახლი მეათეა.

ძველი მეზობლები კოტე მესხის ქუჩაზე დღესაც სიყვარულით იხსენებენ **სერგო ფარაჯანოვს** და მას თბილისის ნაწილად თვლიან. **გაზაფხულის ღამის სიზმარივით ახსოვთ**

**1988 წლის მარტში ღამის 4 საათზე ფარაჯანოვის სახლში სტუმრად მყოფი, ლეგენდარული და განუმეორებელი მარჩელო მასტროიანი.** ფარაჯანოვის მეზობელმა **სვეტლანა გევორგიანმა** გაიხსენა: **„არ გვეძინა, ყველა გარეთ ვიყავით, ახლაც თვალწინ მიდგას თვალებციმციმა სერგო და მასთან ერთად მარჩელო მასტროიანი, რომელსაც თმაში ჭაღარა ჰქონდა შერეული“.**

სერგოს თბილისური მასპინძლობის მერე თავბრუდახვეულ მასტროიანს აღარც „ოსკარი“ ახსოვდა, აღარც სხვა ჯილდოები, მხოლოდ თბილისში დასახლებას ნატრობდა.

## 2024 წლის სექტემბერში მსოფლიო კინოს ლეგენდას მარჩელო მასტროიანსაც 100 წელი შეუსრულდება.

მის ბიოგრაფიაში საპატიო ადგილს იკავებს ეს თბილისური ისტორია, როცა ქართველმა კინორეჟისორმა **ირაკლი კვირიკაძემ** ლენინგრადიდან საქართველოში ჩაიყვანა და ძველ თბილისში **სერგო ფარაჯანოვს** შეახვედრა.

**ფარაჯანოვმა** ჯერ კიდევ ბავშვობაში მიიპყრო ყურადღება, სწავლობდა საბალეტო სტუდიაში, უკრავდა ვიოლინოზე, მღეროდა კონსერვატორიაში, იყო პროფესიონალი მეთოჯინე. მისმა ნიჭიერებამ **ლავრენტი ბერიას** ყურადღებაც კი მიიპყრო, რომელსაც სურდა, რომ ამ ბავშვს თავის შვილთან — **სერგო ბერიასთან** ემეგობრა. თუმცა, უკვე გასაბჭოებულ საქართველოში ანტიკვარიატით მოვაჭრე მშობლების შვილს მომავალი სასწორზე ედო და ყოველი მისი ნაბიჯი იყო დაღდასმული. **აკი, ამბობდა — მე ბავშვობაში მომკლესო და იმ ბინძურ ბარიერებთან შეჯახებას გულისხმობდა, მამის ვაჭრობაზე თვალის დახუჭვისა და კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელების სანაცვლოდ რომ სთავაზობდნენ.** თავისი ყველა უბედურების სათავედ „კაგებეს“ მუშაკსა და მწერალს **ნიკოლოზ მიქავას** მიიჩნევდა, რომელიც ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლისას გაიცნო, რომელიც შემდეგ ე. წ. ГОКС-ის სათავეში იდგა და საზღვარგარეთთან კულტურულ ურთიერთობას ხელმძღვანელობდა. **ყმაწვილკაცობაში თავსდატეხილი, პირადი ტრაგედიით გამოწვეული ტკივილი კი, როცა საყვარელი აზერბაიჯანელი მეუღლე არამუსულმანზე გათხოვების მიზეზით მეუღლისავე ნათესავებმა მოუკლეს, მთელი ცხოვრება გულით ატარა.**

ფარაჯანოვის პირველი მნიშვნელოვანი ფილმი — **„მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“**, რომელიც ზუსტად 60 წლის წინ, 1964 წელს გადაიღო, ტრაგიკულ სიყვარულსა და ცხოვრების მისტიკას ეხება, რომლის მსგავსიც უკვე პირადად განცდილი და გადატანილი ჰქონდა. ამ ფილმმა მას მსოფლიო აღიარება მოუტანა, ხოლო მსოფლიომ ამ ფილმით გაიცნო უკრაინის კინემატოგრაფი. მერე იყო მისი საკულტო ფილმები: **„ბროწეულის ფერი“** („საიათნოვა“), **„ლეგენდა სურამის ციხეზე“**, **„არაბესკები ფიროსმანის თემაზე“**, **„აშიკ-ქერიბი“** და სხვა. ეს იყო პოეტური, ფილოსოფიური და ღრმა ფსიქოლოგიური ფილმები, სადაც ზეიმობდა ფერი, ორიგინალური ხედვა და აზრი, ძველი და ახალი ეპოქების კონტრასტი, თეთრ ტილოზე დაღვრილი ბროწეული, შოთებთან აფართხალებული კალმახი, ჭრელი აბანო და ქალის მკერდზე ამოსული ნიჟარა, როგორც ზღვის ქაფიდან დაბადებული







**ყველა საერთაშორისო ჯილდოს, რაც კი მისმა ფილმებმა მიიღო, თავისი ხასიათის თბილისურ ფენომენს აწერდა და საკარნავალო განწყობით ამბობდა, რომ მის მსგავსად, ყველა ნიჭიერი სომეხი — არამ ხაჩატურიანი, ტიგრან პეტროსიანი თუ მიქაელ ტარივერდიევი თბილისში დაიბადა!!!**









# თბილისში უნდა იყოს ფარაჯანოვის სახლ-მუზეუმი,

# აუცილებლად, ყოველმიზეზგარეშე უნდა იყოს!



„მე სამყაროს სიყვარულით გადავუხდი სამაგიეროს!“

სიყვარულის ქალღმერთი ვენერა.

**ამ ფილმებშია მოქცეული ფარაჯანოვის თბილისი, როგორც წმინდა სალოცავი და ხელშეუხებელი ფრესკა, მისი საიათნოვაც თბილისია, აღა მაჰმად ხანის შემოსევას შეწირული. მე ვარ თბილისის მეეზოვე** — ამბობდა და სიყვარულით იხსენებდა იმ განცდას, როცა მეზობლის ქალმა პირველად შეუკერა თეთრი პერანგი, როცა მეზობელმა კაცმა პირველად წაიყვანა თურქულ აბანოში... **ყველაფერში სილამაზეს ეძებდა და ზეიმს აწყობდა. ყველა საერთაშორისო ჯილდოს, რაც კი მისმა ფილმებმა მიიღო, თავისი ხასიათის თბილისურ ფენომენს აწერდა და საკარნავალო განწყობით ამბობდა, რომ მის მსგავსად, ყველა ნიჭიერი სომეხი — არამ ხაჩატურიანი, ტიგრან პეტროსიანი თუ მიქაელ ტარივერდიევი თბილისში დაიბადა!!!**

ქარიშხლის ჭიქაში მოქცევას, ხელოვნებისა და თავისუფალი აზროვნებისთვის ფრთების მოკვეთას ჰგავდა ფარაჯანოვის დაპატიმრება ჯერ კიდევ 24 წლის ასაკში — **1948 წლის აგვისტოში.** ნიკოლოზ მიქავას საქმეში გაიყვანეს **(ბრალდება: საქართველოში უცხოელების ვიზიტის ორგანიზება)** და ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით, თბილისში საპყრობილეში გამოამწყვდიეს.

ანტისაბჭოთა გამოსვლებისთვის ფარაჯანოვი მეორედ დააკავეს კიევში **1973 წლის 17 დეკემბერს** — ამ თარიღს ის საკუთარი გარდაცვალების თარიღად მიიჩნევდა. მესამედ ისევ თბილისში — **1982 წლის 11 თებერვალს... სამივე შემთხვევაში ის გათავისუფლებულ იქნა პარტიული ლიდერების მიმართ მსოფლიოში ცნობილი ხელოვანების თხოვნის საფუძველზე, პირველად მისი პედაგოგის, კინორეჟისორ იგორ სავჩენკოს თხოვნის შემდეგ, მეორედ — ლუი არაგონისა და მსოფლიო კინოს ლეგენდების ფედერიკო ფელინის, ლუკინო ვისკონტის, რობერტო როსელინის, მიქელანჯელო ანტონიონისა და სხვათა ხელმოწერების საფუძველზე** (გაათავისუფლა ლეონიდ ბრეჟნევმა), **ხოლო მესამე პატიმრობიდან ის იხსნა მისმა მუზამ და მისი ფილმების გმირმა სოფიკო ჭიაურელმა, კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ, რომლებმაც ედუარდ შევარდნაძეს სთხოვეს მისი თავისუფლება.** სოფიკო ჭიაურელი შემდეგ იხსენებდა შუაღამის ზარს თავის სახლის კარზე, როცა მადლიერების ნიშნად, ფარაჯანოვმა მას ანტიკვარული სარკე მიართვა.

ფარაჯანოვი ტკივილით იგონებდა დაპატიმრების მომენტში მისი პიროვნების განადგურებას, იძულებას — შარვალი გაეხადა, დაეხვია და საქამრე კბილებით დაეჭირა. **თმის გადაპარსვასა და წვერის მოპარსვას იდენტობის წაშლად თვლიდა. სულის ტკივილამდე განიცდიდა ციხის კედლებში დაკარგულ დროს, როცა კინოს ვერ იღებდა, თუმცა, ციხის კედლებშიც კი ხელოვნებას ქმნიდა, ხატავდა, კეფირის ქილის თუნუქის თავსახურებზე კოვზით ფიგურებს ტვიფრავდა.** ერთი ასეთი ჭედური — ღედაღვთისმშობელი, **ტონინო გუერასა და ფედერიკო ფელინის** ინიციატივით, იტალიაში მედლად (ვერცხლი) ჩამოასხეს და ფედერიკო ფელინის მშობლიურ ქალაქ რიმინში კინოფესტივალებზე გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ. ასეთი ღვთისმშობლისგამოსახულებიანი მედალი ჯილდოდ გადასცეს **გია დანელიას.**

მიუხედავად გადატანილი ტრაგედიებისა, ფარაჯანოვს ადამიანები უყვარდა, ამბობდა: **„მე სამყაროს სიყვარულით გადავუხდი სამაგიეროს!“ თავისი ცხოვრების ფილმად გადაღება დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა. მუდმივად არ ასვენებდა წინაპართა აჩრდილები, თბილისში, მეიდანზე, ეძებდა მამაპაპისეული დუქნის ნანგრევებს, წუხდა ვერის უბანში განადგურებულ წინაპართა საფლავებზე და, მათ უსახლკარო სულებად თვლიდა.**

„აღსარება“ — ასე ჰქვია ფარაჯანოვის დაუმთავრებელ ფილმს, რომლის სცენარის წერისას უკვე ავად იყო და მის დასასრულებლად ექიმს სთხოვა, სიცოცხლე 6 დღით მაინც გაეხანგრძლივებინა. რაც გადაიღო, ეს არის მისი თბილისური ეზოს ისტორია და კოლორიტი. **ფარაჯანოვის ბოლო კადრია — ეკლის გვირგვინი მის თავზე, გაფართოებული თვალები და საათი, როგორც სიცოცხლის შეზღუდული დრო და მხრებზე პეპლები, როგორც თანმდევი, სანატრელი თბილისური ბავშვობა.** დიახ, მას ბავშვობაში სურდა დაბრუნება და იქ გარდაცვალება.

თბილისში არ არსებობს სერგო ფარაჯანოვის სახლ-მუზეუმი, ბამბის რიგში დგას **იური მეჩითოვის** ფოტოს მიხედვით გაკეთებული ფარაჯანოვის ქანდაკება, რომლის სიუჟეტიც თვითონ ფარაჯანოვმა მოიფიქრა და რომელსაც **„გაფრენა მთაწმინდაზე“** ვუწოდეთ. არადა, თბილისში უნდა იყოს ფარაჯანოვის სახლ-მუზეუმი! აუცილებლად, ყოველ მიზეზ გარეშე უნდა იყოს! ამაზე უნდა იზრუნოს კულტურის სამინისტრომ!

## ბოლოთქმა

2010 წელს კინემატოგრაფიის მექაში — ჰოლივუდში ფარაჯანოვის შემოქმედების შესასწავლად დაფუძნებულ იქნა მისი და **მიხეილ ვართანოვის** სახელობის ინსტიტუტი, ხოლო ჰარვარდში სავალდებულო სასწავლო სიაში შეიტანეს ფარაჯანოვის ორი ფილმი — **„მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“ და „ბროწეულის ფერი“.**

***ქეთევან ხამიცაშვილი***



მარჩელო მასტროიანი სტუმრად სერგო ფარაჯანოვთან






იური მეჩითოვის ფოტო

*ქართული სასამართლოს მიერ ჯგუფური თაღლითობისათვის გასამართლებულმა მამუკა ხაზარაძემ ფანდი იხმარა და ფონდი დააარსა, რომელიც, მისი თქმით, „კულტურისა და ხელოვნების თავისუფლებას მოემსახურება".*

# ხაზარაძის ფონდი და ფანდი

**ხანდაზმული თაღლითის** მიერ ფონდის დაარსება პოლიტიკური ფანდი რომ არის, ამაზე თუნდაც მისი სახელწოდება მეტყველებს — **„ხაზარაძეების ფონდი კულტურისთვის".**

თუ ფონდი მართლა იმისათვის შეიქმნა, რომ კულტურისა და ხელოვნების თავისუფლებას შეუწყოს ხელი, უპრიანი არ იქნებოდა, **ხანდაზმულ თაღლითს** მისთვის **„ხაზარაძეების ფონდის"** მაგივრად რაიმე სხვა, ნეიტრალური და არაპერსონიფიცირებული სახელი დაერქმია ან ისეთი სახელწოდება შეერჩია, რომელიც კულტურასა და ხელოვნებასთან იქნებოდა კავშირში?

მაგალითად, ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემიის სახელწოდება — **„საბა"** სულხან-საბა ორბელიანის სახელთან არის დაკავშირებული. მართალია, ეს პრემია, ძირითადად, ერთ წრეზე ტრიალებს და **კოლექტიური ლაშაბუღაძის, ანუ „ტუალეტის მჯღაბნელთა" სექტის** ფარგლებს იშვიათად სცდება, მაგრამ მაინც ლოგიკური და სიმბოლურია, რომ ლიტერატურულ კონკურსს ქართული ლექსიკოგრაფიის უდიდესი ძეგლის — „სიტყვის კონისა" და ქართული ლიტერატურის შედევრის — „სიბრძნე სიცრუისას" ავტორის სახელი ჰქვია.

განა არ შეიძლებოდა, ახლაც იგივე პრინციპით დაერქმია სახელი ხაზარაძეს თავისი ფონდისათვის?

მაგრამ ადგა და — **„ხაზარაძეების ფონდიო"!**

აბა, რა — არჩევნები მოდის და ასეა საჭირო!

ობივატელს პირდაპირ უნდა მიეწოდოს გზავნილი, რომ ესა და ეს პროექტი **„ხაზარაძეების ფონდმა"** დააფინანსა, ამა და ამ ღონისძიების ორგანიზატორი **„ხაზარაძეების ფონდი"** გახლავთ, ამა და ამ მხატვრის ნამუშევრების გამოფენა **„ხაზარაძეების ფონდის"** ეგიდით მოეწყო და ა.შ.

მაყურებელს, მსმენელს, მკითხველს, პოტენციურ ამომრჩეველს კითხვა არ უნდა გაუჩნდეს და დამატებითი ინფორმაციის მოძიება არ უნდა დასჭირდეს იმისათვის, თუ ვინ არის ფონდის დამფუძნებელი და ვინ ხარჯავს ფულს „ქართული კულტურისა და ხელოვნების თავისუფლებისათვის"? გაჭრილად და მკაფიოდ უნდა ისმოდეს — **„ხაზარაძეების ფონდი", „ხაზარაძეების ფონდმა", „ხაზარაძეების ფონდს", „ხაზარაძეების ფონდის", „ხაზარაძეების ფონდით"...**

მაშ, როგორ — საარჩევნო წელია და პოლიტიკური კამპანია უნდა გახურდეს!

კიდევ კარგი, 2002 წელს, როცა **„თიბისი ბანკმა"** ლიტერატურული პრემია **„საბა"** დააარსა, ხაზარაძე პოლიტიკაში არ იყო და არჩევნებისათვის არ ემზადებოდა, თორემ პრემიას **„საბას"** მაგივრად **„მამუკას"** დაარქმევდა!

წარმოიდგინეთ, როგორ პომპეზურად გაჟღერდებოდა — **„პრემია „მამუკას" ლაურეატი რატი ამაღლობელი"; „პრემია „მამუკას" ოთხგზის მფლობელი ლაშა ბუღაძე"; „პრემია „მამუკას" ჟიურის წევრი ლევან ბერძენიშვილი"** და სხვ.

ახლად დაარსებულ ფონდს **„ხაზარაძეების ფონდი"** რომ ჰქვია და არა — **„ხაზარაძის ფონდი",** ესეც ერთგვარი პოლიტტექნოლოგიური ფანდია!

სახელწოდება **„ხაზარაძის ფონდი"** პირდაპირ „იყვირებდა", რომ პარტია „ლელოს" ლიდერმა ის წინასაარჩევნოდ პოლიტიკური მიზნებისათვის დააფუძნა, **„ხაზარაძეების ფონდი"** კი შედარებით აპოლიტიკურად ჟღერს — ვითომ მის უკან პოლიტიკოსი ხაზარაძე კი არა, ბიზნესმენი და ქველმოქმედი ხაზარაძე დგას, რომელიც **ოჯახითურთ** ემსახურება ქართულ კულტურასა და ხელოვნებას.

მოკლედ, ძალიან უნიჭო და პრიმიტიული ფანდია, რომელიც **ხაზარაძის** მიერ დაფუძნებული ფონდის ნამდვილ მიზანსა და დანიშნულებას სრულებითაც ვერ ნიღბავს.

**— ფონდის დონორი ჩვენი ოჯახი იქნება, გადაწყვეტილებას კი მიიღებენ დამოუკიდებელი პროფესიონალები ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროდან!** — განაცხადა ხანდაზმულმა თაღლითმა, რომლის უანგარო დონორობისა და ქველმოქმედების შესახებ ქართველ საზოგადოებას არასოდეს არაფერი სმენია.

სამაგიეროდ, ქართველ საზოგადოებას სმენია და **„ასავალ-დასავალის"** ფურცლებზე არაერთგზის წაუკითხავს იმის შესახებ, რომ **მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკმა" 150 ლარით არ დააფინანსა სათნოების სახლ „კათარზისის" ხანდაზმული ბენეფიციარები, რომლებსაც ეს მიზერული თანხა თვეში ერთხელ 4-გვერდიანი გაზეთის გამოსაცემად სჭირდებოდათ.**

და ვინ იქნებიან ის „დამოუკიდებელი პროფესიონალები", რომლებიც, ხანდაზმული თაღლითის თქმით, გადაწყვეტენ, ვინ უნდა დაფინანსდეს **„ხაზარაძეების ფონდიდან"?**

რა ლაპარაკი უნდა, რომ

### არცერთი დამოუკიდებელი პროფესიონალი, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს არცერთი კეთილსინდისიერი და თავმოყვარე წარმომადგენელი ახლოსაც არ გაეკარება ხანდაზმული თაღლითის მიერ წინასაარჩევნოდ დაფუძნებულ ფონდს, რომელსაც სახელწოდებაზევე ეტყობა, რომ პოლიტიკური კამპანიის ინსტრუმენტია.



მამუკა ხაზარაძე Mamuka Khazaradze
December 27, 2023 at 7:47 PM ·

დღეს, დავაფუძნეთ „ხაზარაძეების ფონდი კულტურისთვის" რომლის დონორი იქნება ჩვენი ოჯახი, გადაწყვეტილების მიმღები იქნებიან დამოუკიდებელი პროფესიონალები ხელოვნების სხვადასხვა სფეროდან.

თანხა მოხმარდება იმ პროექტების დაფინანსებას, რომელიც მოემსახურება კულტურის და ხელოვნების თავისუფლებას.




**„ხაზარაძეების ფონდიდან" ხელოვნებისა და კულტურის სფეროს ის „დამოუკიდებელი" წარმომადგენლები დაფინანსდებიან, რომლებიც 2024 წლის საარჩევნო კამპანიისას საჯაროდ გამოხატავენ პოლიტიკურ სიმპათიას მამუკა ხაზარაძისა და მისი პარტიის მიმართ!**

შესაბამისად, **„ხაზარაძეების ფონდი",** ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებული **„საბას"** პრემიის მსგავსად, კოლექტიური ლაშაბუღაძის განკარგულებაში აღმოჩნდება და **„ტუალეტის მჯღაბნელთა"** სექტის ფინანსურ ბეღლად გადაიქცევა!

ამის პირველი ნიშნები **„ხაზარაძეების ფონდის"** პრეზენტაციაზევე გამოიკვეთა, სადაც სიტყვით გამოვიდნენ **რატი ამაღლობელი** და ხაზარაძის ფინანსურ ბაგაზე მიბმული სხვა „დამოუკიდებელი" პერსონები, მათ შორის, რეჟისორი **ლანა ღოღობერიძე,** რომელიც რამდენიმე წლის წინათ **ნატა ლომოურისა** და ნაცლიბერასტების მიერ ოკუპირებულ საქართველოს მწერალთა სახლში „ტუალეტის მჯღაბნელებთან" ერთად იდგა რიგში „ასავალ-დასავალის" საწინააღმდეგო კოლექტიურ პეტიციაზე ხელის მოსაწერად.

მოკლედ, ესენი — ეს „დამოუკიდებელი პროფესიონალები" გადაწყვეტენ, ვინ უნდა დაფინანსდეს და რამდენით უნდა დაფინანსდეს ხაზარაძის მიერ წინასაარჩევნოდ დაფუძნებული ფონდიდან.

**არც ის არის ძნელი მისახვედრი, რომ „ხაზარაძეების ფონდიდან" ხელოვნებისა და კულტურის სფეროს ის „დამოუკიდებელი" წარმომადგენლები დაფინანსდებიან, რომლებიც 2024 წლის საარჩევნო კამპანიისას საჯაროდ გამოხატავენ პოლიტიკურ სიმპათიას მამუკა ხაზარაძისა და მისი პარტიის მიმართ!**

### ვინც უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ხანდაზმული თაღლითისა და მისი პარტიის წინასაარჩევნო პიარში, „ხაზარაძეების ფონდიდან" მით უფრო მსუყე დაფინანსებას დაითრევს!

ან ვინც უფრო მსუყედ დაფინანსდება **„ხაზარაძეების ფონდიდან",** მით უფრო მეტად იქნება ვალდებული, **ხაზარაძისა და „ლელოს" პოლიტიკურ კამპანიაში** აქტიურად ჩაერთოს!

ეს არის ხაზარაძის ფონდის **„ალფა"** და **„ომეგა"** და ამაში მდგომარეობს ხაზარაძის ფანდის **„ანი"** და **„ჰოე"!**

ხაზარაძის **ფონდიც** და **ფანდიც** გაშიფრულია და მხილებულია!

*ჯაბა ხუბუა*

## „ხაზარაძეების ფონდი", ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებული „საბას" პრემიის მსგავსად, კოლექტიური ლაშაბუღაძის განკარგულებაში აღმოჩნდება და „ტუალეტის მჯღაბნელთა" სექტის ფინანსურ ბეღლად გადაიქცევა!

*„32 წლის წინ, როცა კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ამალამ მთავრობის სახლისთვის შემორტყმული ალყა გაარღვია, იავარქმნილი დედაქალაქი დატოვა და ოჯახის წევრებთან ერთად გეზი სომხეთისკენ აიღო — ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი პუტჩი გახლდათ* ***დასავლეთში დაგეგმილი ფერადი რევოლუციების ციკლის პირველი, ექსპერიმენტული გამოვლინება!*** *ეს პუტჩი მიზნად ისახავდა მოსახლეობის ზნეობრივი, კონსერვატიული და სარწმუნოებრივი განვითარებისგან აცილებას და ლიბერასტული ჭაობისკენ გზის გაკაფვას, რაზეც კანონიერმა ხელისუფლებამ დასავლეთს ოფიციალურად არაერთხელ განუცხადა მტკიცე უარი!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრმა ბესარიონ მიქავამ:***

№2 (238) ★ 2024 წლის 8 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან





ზვიად გამსახურდია და რიჩარდ ნიქსონი. თბილისი, 1991 წელი

## ბესარიონ მიქავა:

# ფერადი რევოლუციები საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობიდან იღებს სათავეს!

— უკვე დევნილობაში მყოფმა ზვიად გამსახურდიამ შეაფასა მომხდარი მოვლენა და თავის ცნობილ ინტერვიუში, სათაურით **„ეროვნება არ აქვს მხოლოდ ცხოველს!“** — საოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა, რომ **დასავლეთის მხრიდან ლიბერასტული დიქტატურის თავს მოხვევა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიწყებოდა.**

საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის შეიარაღებული გადატრიალება იყო პირველი ლიბერასტული კონტრრევოლუცია, რომლის განმახორციელებლები ეროვნულზე წინ ადამიანის პიროვნულ თავისუფლებებს აყენებდნენ. ოპოზიციის მთავარი ლოზუნგი მაშინ გახლდათ — **„ჯერ ადამიანის უფლებები, შემდეგ — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა!“** სინამდვილეში, ეს გახლდათ პირველი ნაბიჯი არა ადამიანის უფლებების სრულყოფისკენ, არამედ ადამიანის უფლებების უზნეობასთან და „ყველაფრის უფლებასთან“ გათანაბრების გზაზე. ეს გეგმა თითქმის განახორციელეს კიდეც, რადგან **ეროვნულ-კონსერვატიულ პოზიციებზე მყარად მდგარი ქართველი საზოგადოება, სულ რაღაც, 32 წლის განმავლობაში ლიბერასტულ სიმყაყეში ყელამდე ჩაძირეს.** დასავლეთიდან მართული ოპოზიციისგან განსხვავებით, რომელმაც **„პრაღის 24-ე რეზოლუცია“** აიფარა დროშად, ზვიად გამსახურდიას ორიენტირი გახლდათ — **„ეროვნული თავისუფლების გზით პიროვნული თავისუფლებისკენ!“** ფაქტობრივად, პუტჩის შემდეგ დასავლეთმა საქართველოში არასრულად განახორციელა ის ლიბერასტული დღის წესრიგი, რაზეც ჯერ კიდევ პუტჩამდე დიდი ხნით ადრე ზვიად გამსახურდიასგან მიიღეს მტკიცე უარი!

**— როდის უთხრა დასავლეთს უარი ზვიად გამსახურდიამ? ის ხომ დასავლეთის მიმართ ლოიალური იყო?**

— 1991 წლის 29 მარტს თბილისში კიევიდან ჩამოფრინდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი **რიჩარდ ნიქსონი.** სულ რაღაც, 2 დღე რჩებოდა საყოველთაო რეფერენდუმამდე, რომელზეც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ, სხვათაშორის, აფხაზებმა და ოსებმაც, საქართველოს დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, ამერიკის ექსპრეზიდენტმა **ნიქსონმა** აღნიშნა, რომ *„აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტისთვის —* ***ჯორჯ ბუში უფროსისთვის*** *უნდა მიეწოდებინა საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზე ინფორმაცია. მან დაადასტურა აშშ-ის ხელისუფლების პატივისცემა საქართველოს არჩეული მთავრობისადმი და გამოთქვა იმედი, რომ გარდამავალი პერიოდი საქართველოში უსისხლოდ დასრულდებოდა“.* სინამდვილეში, **ნიქსონმა** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ჩამოუტანა ყალბი კეთილგანწყობით შეფუთული ნართაული გზავნილი, რომლის მიხედვითაც დასავლეთი მოითხოვდა დაახლოებით იმავე პირობების შესრულებას, რასაც დღეს ევროკავშირი უყენებს საქართველოს!

ზვიად გამსახურდიამ გულისყურით მოუსმინა **ნიქსონს** და კეთილგანწყობით მიანიშნა, რომ საქართველოს სულ სხვა პოლიტიკური კურსი ჰქონდა არჩეული. ამერიკაში დაბრუნებულმა **ნიქსონმა** სიტყვასიტყვით მოახსენა მოქმედ პრეზიდენტს ობიექტური გარემოება და სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ჯორჯ ბუშს (უფროსს), რომელმაც ზვიად გამსახურდიას მიმართ დამოკიდებულება განაჩენის ტოლფას ფრაზაში — **„ეს კაცი დინების წინააღმდეგ მიცურავს!“** — გამოხატა.

დიახ, დასავლელი ლიბერასტული ფაშიზმის წინამძღოლთათვის **„დინების მიმართულება“** გახლავთ გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობების დანერგვა, ოჯახის ინსტიტუტის მოშლა, კონსერვატიული ღირებულებების მატარებელი, ღვთის მორწმუნე საზოგადოებების და უმთავრესად — მართლმადიდებელთა მოშთობა, რადგან მსოფლიოს „წესრიგი“, რომელსაც ისინი აშენებენ, ვერ შედგება, თუ იარსებებენ კონსერვატიული ღირებულების საზოგადოებები!

**ბუშის ფრთოსანი ფრაზა იქცა კანონიერი ხელისუფლების გადატრიალების დაწყების მოწოდებად, რაც განხორციელდა მაშინდელ ლიბერასტებზე დაყრდნობით,** რომლებიც თანამედროვე, უკვე დახვეწილი ლიბერასტების უახლოეს პოლიტიკურ წინაპრებს წარმოადგენდნენ!

**— საუბრის დასაწყისში განაცხადეთ, რომ ფერადი რევოლუციები საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობიდან იღებს სათავეს.**

— დიახ, ეს იყო ფერადი რევოლუციების პირველი წრედი. შემთხვევითი არც ის გახლავთ, რომ გადატრიალებების შედეგად დააბრუნეს ძველი საბჭოთა ნომენკლატურა, რადგან სწორედ ეს კატეგორია მოგვევლინა დასავლეთის ლიბერასტული მიზნების განმახორციელებელ ძალად. თბილისის კვალად, აზერბაიჯანშიც დაამხეს პრეზიდენტი **აბულფაზ ელჩიბეი** და **ჰეიდარ ალიევით** ჩაანაცვლეს, ხოლო საქართველოში **შევარდნაძე** მოგვივლინეს, რომელმაც **გორბაჩოვთან** ერთად საბჭოთა კავშირის დაშლა დასავლეთის სასარგებლოდ გააფორმა.

გადატრიალებათა დასავლური ციკლი გრძელდება იუგოსლავიაში, თუმცა, მექანიზმი იხვეწება. არენაზე შემოდის დასავლურ ლიბერასტულ ყაიდაზე გაწვრთნილი და უხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიც არის სერბული **„ოტპორი“,** რომლის პერმანენტული აქციები 2000 წელს ბულდოზერების რევოლუციაში გადაიზარდა, რის შედეგადაც ხელისუფლებას ჩამოაცილეს პრეზიდენტი **სლობოდან მილოშევიჩი.** სხვათაშორის, **„ოტპორი“** აქტიურად თანამშრომლობდა თავის ქართულ ანალოგ **„კმარასთან“,** რომელიც საქართველოში 2003 წლის ვარდების რევოლუციის მთავარ საყრდენ ძალას წარმოადგენდა, შემდეგ წელს კი, მონაწილეობდა **უკრაინის ნარინჯისფერ რევოლუციაშიც!**

**„არაბული გაზაფხულის“** (საპ-







გაგრძელება მე-2 გვერდზე

**არის ასეთი აზრი!**



## ბესარიონ მიქავა:

# საააკაშვილმა ზვიად გამსახურდიაზე შური იძია მისი ძის – ცოტნეს დაპატიმრებით, რადგან სწორედ ცოტნემ არ მისცა სააკაშვილს მამის სახელის სათავისოდ გამოყენების საშუალება!

**არის ასეთი აზრი! ★**

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

როტესტო აქციების და ამბოხებების სერია, რომელიც 2010-იანი წლების დასაწყისში არაბულ ქვეყნებში განხორციელდა) წინ **„ოტპორი“** ახალგაზრდა ეგვიპტელ და ტუნისელ აქტი-





ვისტებს ტრენინგებს უტარებდა. მოკლედ, სადაც ამ ორგანიზაციის კვალი გამოჩნდა, ყველგან ფერადი რევოლუცია მოხდა, თუმცა, გასულ წელს მათი უკანასკნელი გამოჩენა საქართველოში და ახალი გადატრიალების მიზნით ადგილობრივი ლიბერასტებისთვის ბაკურიანში ჩატარებული ტრენინგები სრული ფიასკოთი დასრულდა. **საქართველომდე რამდენჯერმე მარცხით დასრულდა ფერადი რევოლუციის მცდელობა ბელარუსში. საზოგადოებას კარგად ახსოვს ამ პროცესში ბივი თარგამაძის აქტიურობა. მანამდე ფერადი რევოლუციები მოხდა შუა აზიაშიც...**

**— ამჟამად რა მდგომარეობა გვაქვს?**

— **„ლიბერასტულმა ფაშიზმმა“**, ამ ანტისოციალურმა დასავლურმა ექსპერიმენტმა დროში ვერ გაამართლა. ამჟამად ერთადერთი გამონაკლისია უკრაინა, სადაც მოვლენები ყველაზე ტრაგიკულად განვითარდა. დასავლურ ექსპერიმენტს ამ ქვეყნის გენოფონდი და სახელმწიფოებრიობა ეწირება. სხვათაშორის,

**სწორედ უკრაინაში განახორციელეს ყველაზე ცინიკური ფორმით ფერადი რევოლუცია 2014 წლის ზამთარში, როდესაც ლიბერასტებმა საკუთარ მომხრეებს ცეცხლი გაუხსნეს, რათა სისხლისღვრა ხელისუფლებისთვის გადაებრალებინათ.**

ეს გეგმა მაშინ გაუვიდათ, მაგრამ სტერეოტიპად ვერ იქცა, რადგან საქართველოში გაუშიფრეს და მსგავსი მცდელობები ბოლო რამდენიმე წელიწადში არაერთხელ ჩაეშალათ!

დასავლეთის ლიბერასტული ეპოპეის დასასრულის დასაწყისი ისევ და ისევ ზვიად გამსახურდიას უკავშირდება, რომლის დამხობითაც **მსოფლიოში ფერადი რევოლუციების ხანა დაიწყო.** სააკაშვილი ხომ ზვიად გამსახურდიას ანტიპოდია. მან არსით თავის ანტიეროვნულ პარტიას ნაციონალური მოძრაობა უწოდა და ყოველთვის ებრძოდა ზვიად გამსახურდიას ჭეშმარიტ ეროვნულ ღირებულებებს! სააკაშვილი ოდენ ვაჭრობდა ზვიად გამსახურდიას სახელით, თუმცა, სძულდა მისი ღვაწლი — სრულად დააიგნორა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მნიშვნელობა და საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიის გადაწერაც კი სცადა, როცა ათვლა ვარდების რევოლუციიდან დაიწყო. თითი თითზე არ დაუკარებია კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოსაძიებლად; მეტიც — **სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიაზე შური იძია მისი ძის — ცოტნეს დაპატიმრებით, რადგან სწორედ ცოტნემ არ მისცა სააკაშვილს მამის სახელის სათავისოდ გამოყენების საშუალება!** მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით — მსოფლიოში ფერადი რევოლუციებისა და ლიბერასტული დიქტატურის დასავლური შაბაში ზვიად გამსახურდიამ დაამარცხა!

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— როდესაც ცოტნემ ზვიად გამსახურდიას ცხედარი 2007 წელს საქართველოში ჩამოასვენა და დაკრძალვის წინ უზენაეს საბჭოსთან დაასვენეს, დიდების ოლიმპზე მყოფი

**სააკაშვილი გამოდის მთავრობის სახლიდან იმ მოლოდინით, რომ შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოება „მიშა-მიშა“-ს სკანდირებით შეხვდება, მაგრამ იმედი სასტიკად უცრუვდება. ხალხი ერთხმად გუგუნებს: „ზვიადი-ზვიადი!“**

სააკაშვილი იძულებული ხდება, გაიპაროს... ზუსტად ეს მომენტი გახლავთ დასავლეთის ვერაგულ გეგმებზე და ფერად რევოლუციებზე თვალსაჩინო გამარჯვების ათვლის წერტილი, რადგან ექსპერიმენტებით და სისხლიანი დიქტატურით გადაღლის მიუხედავად, ქართველმა ერმა ყალბ ღირებულებებს ზურგი აქცია და ჭეშმარიტად ეროვნული, კონსერვატიული ღირებულებების ბაირაღი ააფრიალა! **მსოფლიოში ლიბერასტული ფაშიზმის აღსასრულიც ამ დღიდან იწყება!**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

---

## ისტორიკოსის თვალით ★



## სვიმონ მასხარაშვილი:

# სტალინი 71 წლის წინათ საუბრობდა იმის შესახებ, რაზეც დღეს ევროკავშირში თავს იმტვრევენ და ცხოვრების მიზნად სახავენ!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სტალინის პიროვნებას აფასებს და აცხადებს, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა ბელადის წინასწარმეტყველება საბოლოოდ გაცხადდება და ხრუშჩოვისა და მისთანა ნაძირალების მიერ მის საფლავზე დაყრილ ნაგავს ისტორიის ქარი გაფანტავს:***

— ჩვენი ხანგრძლივი საგაზეთო საუბრები სტალინისა და მისი ეპოქის შესახებ, ასევე ბელადის თანამედროვეების მოგონებები, **ვასილი სტალინის** მემუარები და იმ პოლიტიკური პროცესების ანალიზი, რომელიც 1953 წლის 5 მარტის შემდეგ საბჭოთა კავშირში განვითარდა, სრულ უფლებას გვაძლევს, განვაცხადოთ: **სტალინი თავისი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა — იგი მოკლეს!**

დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმაც, რომ სტალინის მკვლელობაში ლავრენტი ბერიას ხელი არ ერია! ამას ადასტურებს 1953 წლის 26 ივნისს ბერიას ლიკვიდაციის ფაქტი. არაერთხელ ვთქვით, რომ ბერია იმ დღეს პოლიტბიუროს სხდომაზე მისვლას და სტალინის მკვლელობის ბრალდებით, საბჭოთა კავშირის უშიშროების ყოფილი მინისტრის **სემიონ იგნატიევის** დაპატიმრების მოთხოვნას აპირებდა. 1953 წლის 5 მარტს, როცა სტალინი მოკლეს, **სემიონ იგნატიევი** უშიშროების მინისტრიც იყო, სტალინის პირადი დაცვის უფროსიც და პოლიტბიუროს წევრიც... აქედან გამომდინარე, ბერია იგნატიევს პოლიტბიუროს თანხმობის გარეშე ვერ დააპატიმრებდა. ამიტომაც აპირებდა პოლიტბიუროს წინაშე გამოსვლას და იგნატიევის დაპატიმრების უფლების მინიჭებას, რაც არ დასცალდა, რადგან ვიდრე ამ მოთხოვნას გააჟღერებდა, მანამდე მოუღეს ბოლო.

სტალინის მკვლელობას შეეწირა ბელადის უმცროსი ვაჟი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი **ვასილი სტალინიც,** რომელიც არ მალავდა, რომ მამა მოუკლეს.

**— მაინც რატომ არის სტალინი დღემდე პოპულარული მშრომელ მასებში და რატომ არ ცხრება მისი პერსონის მიმართ ცხოველი ინტერესი?**

— ამას ორი მიზეზი აქვს — მსოფლიოში ყველაზე დიდი ომის მოგება და მსოფლიოსთვის მანამდე არნახული და ალტერნატიული ეკონომიკური მოდელის შეთავაზება, რომელიც, როგორც ჩინეთის მაგალითმა დაამტკიცა, კონკურენტული და სიცოცხლისუნარიანია. **მეორე მსოფლიო ომში ფაშისტურ გერმანიასა და მის მოკავშირეებზე ტრიუმფალური გამარჯვება სტალინისა და ბერიას გარეშე რომ ვერ მოხდებოდა, ფაქტია.** რუსეთი სტალინმა და ბერიამ გადაარჩინეს და ამას ყველა სინდისნამუსიანი რუსი ისტორიკოსი და ექსპერტი აღიარებს!

ქართველების წვლილი ასევე შეუფასებელია რუსეთის იმპერიის შექმნასა და გაძლიერებაში. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც რუსეთის სახელმწიფო სტალინის დამსახურებას ასე სამარცხვინოდ უგულებელყოფს და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას **გიორგი ჟუკოვს** მიაწერს, რუსული შოვინიზმია!

**რუსეთის სახელმწიფო სტალინს არ ცნობს და არ აღიარებს მხოლოდ იმის გამო, რომ ის ქართველია,**



**„რუსეთი სტალინმა და ბერიამ გადაარჩინეს და ამას ყველა სინდისნამუსიანი რუსი ისტორიკოსი და ექსპერტი აღიარებს!“**

# „ის ეკონომიკური მოდელი, რომელმაც ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში უძლიერესად აქცია, სტალინის მიერ არის შემუშავებული!“

თორემ სტალინი რომ რუსი ყოფილიყო, მისი პერსონა სამართლიანად იქნებოდა განდიდებული, ხოლო მთელი რუსეთი — სტალინის ოქროს ძეგლებით მოფენილი!

რაც შეეხება სტალინის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატიულ ეკონომიკურ მოდელს, ბელადი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩენილიყო **ენერგეტიკა და საბანკო სექტორი,** ასევე **მძიმე მრეწველობა,** განსაკუთრებით **სამხედრო-სტრატეგიული წარმოება, გლობალური კავშირგაბმულობა, საგზაო ინფრასტრუქტურა, რკინიგზა და ავიაცია,** ხოლო დანარჩენი დარგები — განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობა, სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სათამაშოების მრეწველობა უკვე სტალინის სიცოცხლეშივე 80-დან 100 პროცენტამდე გადასული იყო კერძო სექტორის ხელში. აქ იგულისხმება როგორც არტელები, ისე კერძო მეწარმეები. მომსახურების სფეროც, რომელიც დღეს მსოფლიო ეკონომიკის 70-80 პროცენტია, სტალინის დროსვე უკვე კერძო სტრუქტურას წარმოადგენდა. დალაქით დაწყებული, ინდკერვით დამთავრებული, ასევე ადვოკატები და ექიმებიც კი, ფაქტობრივად, კერძო და ინდივიდუალური სექტორი იყო... სახელმწიფოს ხელში იყო ახალი ტექნოლოგიებიც. პრიორიტეტული რჩებოდა მწვანე ენერგეტიკა და, საერთოდ, ელექტროტექნოლოგიების სფეროს განვითარება, რათა ენერგეტიკა მაქსიმალურად გაიაფებულიყო და ადამიანების კომფორტი მაქსიმალურად გაზრდილიყო. იმისათვის, რომ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს ამ ყველაფრის განვითარებისთვის ხელი არ შეეშალათ, დარგის კონტროლი სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩენილიყო.

**— სოფლად რა მოდელი უნდა ამოქმედებულიყო?**

— სოფელში ყოფილი ლატიფუნდიები გადაკეთებული იყო სახელმწიფო მეურნეობებად, მაგრამ არსებობდა როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური საკარმიდამო მეურნეობაც. სტალინმა თავისი ეკონომიკური ხედვა საბოლოოდ 1952 წელს გამოშვებულ ნაშრომში ჩამოაყალიბა, რომელსაც ასე ჰქვია — **„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები“.** ძენ სიაოპინმა ეს ნაშრომი აიღო, პუნქტობრივად გაატარა ცხოვრებაში ბელადის თითოეული მითითება და შექმნა თანამედროვე ჩინეთი, რომელიც მსოფლიოს ნომერ მეორე ეკონომიკაა.

სტალინი მიიჩნევდა, რომ კომუნიზმი უნდა აშენებულიყო არა მარქსის მოდელით, არამედ იმ მოდელით, რომლის თანახმადაც დამკვეთი მომხმარებელი იქნებოდა და არა მწარმოებელი. **ე.წ. მწვანე ენერგეტიკის განვითარებას სტალინი აკისრებდა არა კერძო კომპანიებს, რასაც დღეს ევროკავშირი აკეთებს, არამედ სახელმწიფოს.** სტალინი ფიქრობდა, რომ ადამიანს უნდა ჰქონოდა საშუალება, ცხოვრების განმავლობაში რამდენჯერმე გამოეცვალა პროფესია. სტალინი გეგმავდა, სამუშაო დღე 4 საათამდე შეემცირებინა და საბოლოოდ მიეღწია სამდღიანი სამუშაო კვირისა და ოთხსაათიანი სამუშაო დღის დაწესებისთვის!

**— ეს ხომ თანამედროვე ევროკავშირის გეგმებია?!**

— ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **ევროკავშირის ეკონომიკური მოდელები და გეგმები თავიდან ბოლომდე სტალინური იდეების გადამღერებული ვარიანტია,** ანუ სტალინი 71 წლის წინათ საუბრობდა იმის შესახებ, რაზეც დღეს ევროკავშირში თავს იმტვრევენ და ცხოვრების მიზნად სახავენ! ევროკავშირის კონსტიტუციის თანაავტორის **მიხეილ მუსხელისთვისაც** რომ გეთქვათ —



„სტალინის მიმართ ძალიან ცუდად იქცევა ჩინეთი!“

მაო ძედუნი და იოსებ სტალინი

ეს ყველაფერი, რაზეც სტალინი ლაპარაკობს, რეალურიაო! — გიჟად ჩაგთვლიდათ... მისაუბრია სპეციალისტებთან, რომლებიც ევროკავშირს, როგორც სტრუქტურასა და გაერთიანებას სიღრმისეულად იკვლევენ და სწორედ ისინი მეუბნებიან, რომ ევროკავშირის ეკონომიკური დოქტრინა თავიდან ბოლომდე სტალინის იდეების გადამღერებული ვარიანტია.

**სტალინის ტრაგედია ის იყო, რომ მის დიად გეგმებს განსახორციელებლად ისევ და ისევ სტალინი სჭირდებოდა და ვერც ლავრენტი ბერია, ვერც ვიაჩესლავ მოლოტოვი, ვერც გიორგი მალენკოვი, ვერც ნიკიტა ხრუშჩოვი, ვერც ნიკოლოზ ბულგანინი და ვერც სხვა ვინმე ამ იდეებს ფრთებს ვერ შეასხამდა.**

სტალინმა იმდენად წინ გაუსწრო ცხოვრებას და მსოფლიო პოლიტიკურ პროცესს, მისი იდეების განხორციელების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა... უბედურება ის არის, რომ სტალინის მიმართ ძალიან ცუდად იქცევა ჩინეთი!

**— რას გულისხმობთ?**

— რუსეთი როგორც ექცევა სტალინის პიროვნებას და, საერთოდ, რუსეთი როგორც მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობებში, ეს გასაგებია... მაგრამ ყველაზე უფრო ცუდი ის გახლავთ, რომ ჩინეთის ლიდერმა **სი ძინპინმა** მოახდინა ისტორიულ თემათა გრადაცია. კერძოდ, ჩინეთში არის თემები, რომელზე მინიშნებაც კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა, მაგრამ არის თემები, რომელზეც ზერელედ და ძალიან მიფუჩეჩებულად საუბრობენ. მაგალითად, 1989 წლის 4 ივლისს ტიანანმენის მოედანზე განვითარებული სისხლიანი პროცესების არათუ ხსენება, არამედ მასზე მინიშნებაც კი ჩინეთში დაუსჯელი არ დარჩება. ასევე იკრძალება იმ საშინელ შიმშილობაზე საუბარი, რასაც, სხვადასხვა გათვლებით, დაახლოებით 60 მილიონამდე ადამიანი შეეწირა. მოგეხსენებათ, ჩინეთში მასობრივად გაჟუჟეს ბეღურები, რომლებიც მარცვლეულს ანადგურებდნენ. ბეღურების გაწყვეტამ უარესი შედეგი გამოიღო, რადგან მომრავლდა მავნებელი მწერები, რომლებმაც მოსავალი მთლიანად გაანადგურეს. ამ მოვლენის შესახებ ჩინეთში შეგიძლიათ თქვათ, რომ „იყო რაღაც პრობლემები“, ანუ 60 მილიონამდე ადამიანის შიმშილით სიკვდილი ჩინეთისთვის არის **„რაღაც პრობლემა“,** მაგრამ 1989 წლის ივლისში ხალხს რომ ტანკებით გადაუარეს, ამაზე კრინტის დაძვრა არ შეიძლება. ჩინეთში ამ ტიპის თემები საგანგებოდ გამოყვეს და გააერთიანეს ე.წ. **მეოთხე ჯგუფში,** რომელზეც დადებულია ტაბუ, ანუ ამ თემებზე საუბარი და ავად თუ კარგად მსჯელობა კატეგორიულად აკრძალულია. საუბედუროდ და ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მეოთხე, ანუ ტაბუდადებული თემების ჯგუფში შედის სტალინიც...

**— ე.ი. დღევანდელ ჩინეთში სტალინს არც ავად ახსენებენ და არც კარგად?**

— დიახ, სწორედ ასეა!

**— რატომ იქცევა დღევანდელი ჩინეთის ხელისუფლება ასე?**

— ჩინეთი ასე იმიტომ იქცევა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად არ დაძაბოს. ჩინეთის ხელისუფლებაში ფიქრობენ, რომ სტალინის პერსონა შესაძლოა, იქცეს უდიდეს ბარიერად ორი ქვეყნის ურთიერთობაში. აქედან გამომდინარე, ჩინეთი არ ჩქარობს და ნელა მიუყვება თავის გზას მაშინ, როცა ამერიკაში ყოველ ნაბიჯზე კრიზისია... მოკლედ, სტალინური გზის გამგრძელებელი ვინც არის, იმას სტალინის სახელის ხსენებაზე დროებით ტაბუ აქვს დადებული, რადგან ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა სტალინის ანდერძი აღსრულდება და ისტორიის ქარი გაფანტავს იმ ნაგავს, რომლითაც ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისთანა არარაობებმა სტალინის საფლავი აავსეს.

სხვათაშორის, **მაო ძედუნი და ჩჟოუ ენლაი** ნიკიტა ხრუშჩოვსა და მის ხროვას სხვა ყველაფერთან ერთად იმიტომ დაეტაკნენ, რომ მათ დაუმსახურებლად შეურაცხყვეს არამხოლოდ საბჭოთა ლიდერი და გენერალისიმუსი, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომი მოიგო, არამედ იმ იდეოლოგიისა და სისტემის მამა-დამფუძნებელი და შემქმნელი, რომელსაც მსოფლიოს არაერთი ქვეყანა და, მათ შორის, ჩინეთიც აღიარებდა. ამდენად, **მაოსა და ჩჟოუ ენლაის** აზრით, სტალინი იყო არამხოლოდ საბჭოთა კავშირის კუთვნილება, არამედ მსოფლიოში ალტერნატიული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შემქმნელი, რომლის განქიქების უფლებაც ჩინელებისა და სხვა ხალხების დაუკითხავად ხრუშჩოვსა და მის ხროვას არ ჰქონდათ. ერთი რამ ფაქტია — ჩინეთი არის უდიდესი შესაძლებლობების ქვეყანა... **ძენ სიაოპინი** ამბობდა — თუ ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ 2050 წელს ჩინეთის იმპორტ-ექსპორტი ერთმანეთს გაუთანაბრდება, ფანტასტიკური შედეგი გვექნებაო! ეს შედეგი ჩინეთმა უკვე დადო 2010 წელს, ანუ ორმოცი წლით ადრე. ფაქტია, რომ **ის ეკონომიკური მოდელი, რომელმაც ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში უძლიერესად აქცია, სტალინის მიერ არის შემუშავებული.**

უბრალოდ, ჩინეთი თამაშობს და ანგარიშს უწევს იმ საერთაშორისო პოლიტიკურ კონიუნქტურას, რომელიც რუსეთსა და შეერთებულ შტატებში სტალინის პერსონის გარშემო არსებობს!

**— სი ძინპინმა სტალინის დროშები პეკინის თავზე რომ ააფრიალოს, რა შეიძლება ამას რუსეთსა და ჩინეთს შორის მოჰყვეს?**

— თუ ეს მოხდა, რუსეთის პოლიტიკური ელიტა პირდაპირ ინფარქტს მიიღებს და ეს ამბავი არც ამერიკას გაუხარდება. **რუსეთს საერთოდ არ უნდა იმის აღიარება, რომ მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო შექმნა ქართველმა და, საერთოდ, დღეს რუსეთი რომ არსებობს, ეს ქართველების — იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას დამსახურებაა!** ამერიკას კი იმის აღიარება არ სურს, რომ ე.წ. საბაზრო ეკონომიკაზე უფრო ქმედითი და წარმატებული აღმოჩნდა **ეკონომიკის სტალინური მოდელი,** რომელმაც დღევანდელი ჩინეთი ააყვავა. სხვათაშორის, დღევანდელი ჩინეთის მამა **ძენ სიაოპინი და ჩან კაიშის ვაჟი,** რომელმაც ტაივანი ააღორძინა, თანაკურსელები იყვნენ და სტალინურ ეკონომიკას მოსკოვის აკადემიაში ერთად სწავლობდნენ!



ძენ სიაოპინი

„დღევანდელი ჩინეთის მამა ძენ სიაოპინი და ჩან კაიშის ვაჟი, რომელმაც ტაივანი ააღორძინა, თანაკურსელები იყვნენ და სტალინურ ეკონომიკას მოსკოვის აკადემიაში ერთად სწავლობდნენ!“



ჩან კაიშის ვაჟი – ჩიან ჩინ-კუო

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## გვაინტერესებს, რით ავადმყოფობდა და რისგან გარდაიცვალა სტალინის დედა?



იოსებ სტალინის დედა ინტერვიუს აძლევს უცხოელ კორესპონდენტს



იოსებ სტალინის დედა და შვილები – ვასილი, იაკობი, სვეტლანა. 1930 წელი

ეკატერინე (კეკე) ჯუღაშვილი (1860-1937), მისი მკურნალი ექიმის **ნიკოლოზ ყიფშიძის** მოწმობით, მრავალი წლის განმავლობაში შაქრიანი დიაბეტით იყო დაავადებული. **„თავიდან ავადმყოფობა შედარებით მსუბუქად მიმდინარეობდა და ინსულინის გამოყენება აუცილებელი არ იყო,** — აღნიშნავს ყიფშიძე თავის მოგონებებში, — **მხოლოდ დიეტის და მკაცრი რეჟიმის დაცვა უწევდა. მაგრამ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში დაავადება გაძლიერდა და ყოველდღე მიხდებოდა მისთვის კანქვეშ ინსულინის ნემსების კეთება“.**

**დედის** ავადმყოფობა **სტალინს** ძალიან აშფოთებდა. ერთ-ერთ შემორჩენილ წერილში ვკითხულობთ: **„გიგზავნი თავშალს, ჟაკეტს და წამლებს. ჯერ ექიმს აჩვენე, რომ წამლის დოზა განსაზღვროს და მერე მიიღე. ათასი წელი იცოცხლე, დედაჩემო! შენი სოსო“.**

1935 წლის ოქტომბერში **ი. სტალინი კეკესთან** ჩამოვიდა. ის **ყიფშიძეს** შეხვდა და დაწვრილებით გამოიკითხა დედის ჯანმრთელობის ამბავი.

ექიმმა დაარწმუნა ბელადი, რომ საფრთხე არ არსებობს. ყიფშიძე წერს: **„ამხანაგო სტალინ, — ვუთხარი მე, — ადრე ასეთი ავადმყოფები, ბოლოს და ბოლოს, დიაბეტურ კომაში ვარდებოდნენ და ძალიან ხშირად პირველივე დღეს იღუპებოდნენ. ახლა კი ექიმს სრული შესაძლებლობა აქვს, ინსულინის დიდი დოზების გამოყენებით ავადმყოფი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანოს. მე სხვა რამ მაღელვებს. დედათქვენი შეიძლება გაცივდეს, ღმერთმა ნუ ქნას, ფილტვების ანთება დაემართოს, ამ დაავადების გადატანა კი გაუჭირდება“.**

სამწუხაროდ, სწორედ ის მოხდა, რისიც **ნ. ყიფშიძეს** ეშინოდა. **1937 წლის 13 მაისს ე. ჯუღაშვილი** გაცივდა და ლოგინად ჩავარდა. გაცივება ფილტვების ორმხრივ ანთებაში გადაეზარდა. სულფამიდური პრეპარატები და ანტიბიოტიკები მაშინ ჯერ არ არსებობდა. და **4 ივნისს** ის გარდაიცვალა.

## ცნობილია, რომ ტროცკი ლენინის დაკრძალვას არ ესწრებოდა, რადგან იმ დროს სოხუმში ისვენებდა. მოგვიანებით ის სტალინს ადანაშაულებდა, რომ ლენინის გარდაცვალების და დასაფლავების ამბავი დროულად არ შეატყობინა. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

თავად **ტროცკის** სიტყვებით, ის სოხუმში დასასვენებლად კი არა, სამკურნალოდ იმყოფებოდა. ნადირობისას გაცივების შემდეგ **ტროცკი „ექიმების დაჟინებით იძულებული იყო, სერიოზულად ემკურნალა,“** და კრემლის მედიცინის კორიფეებმა ამ მიზნისთვის სოხუმი ურჩიეს.

**ლენინის** გარდაცვალების ამბავი **ტროცკიმ და მისმა მეუღლემ ტფილისის რკინიგზის სადგურში სოხუმში გამგზავრებისას გაიგეს.** აი, რას წერს ამაზე თვითონ **ტროცკი** ავტობიოგრაფიულ წიგნში **„ჩემი ცხოვრება“. „ცოლთან ერთად ჩემი ვაგონის მუშა ნაწილში ვიჯექი, როგორც ყოველთვის იმ პერიოდში — მაღალი ტემპერატურით. ვიღაცამ დააკაკუნა და ჩემი თანამშრომელი შემოვიდა, რომელიც სოხუმში მომყვებოდა. იმის მიხედვით, როგორ მომაწოდა რაღაც ფურცელი, მივხვდი, რომ კატასტროფა მოხდა. ეს იყო სტალინის გაშიფრული ტელეგრამა, რომელიც ლენინის გარდაცვალებას იუწყებოდა...“**

როგორც ხედავთ, **ტროცკის ლენინის** გარდაცვალება დროულად შეატყობინეს — იმავე დღეს, **21 იანვარს.** რას აკეთებს ადამიანი მსგავსი ცნობის მიღებისას? ბუნებრივია, მაშინვე უკან ბრუნდება. **ტროცკის** ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონია, მას ცალკე მატარებელი ემსახურებოდა.

მაგრამ **ტროცკი** სხვაგვარად იქცევა: **„პირდაპირი ხაზით დავუკავშირდი კრემლს. ჩემს შეკითხვაზე მიპასუხეს: „დაკრძალვა შაბათს შედგება, მაინც ვერ მოასწრებთ, გირჩევთ, მკურნალობა გააგრძელოთ“.**



Правительственное сообщение.

21-го января в 6 час. 50 мин. вечера в Горках близ Москвы скоропостижно скончался Владимир Ильич Ульянов-Ленин.

Ничто не указывало на близость смертельного исхода.

Последнее время в состоянии здоровья Владимира Ильича наступило значительное улучшение. Все заставляло думать, что здоровье будет дальше восстанавливаться.

Совершенно неожиданно вчера в состоянии здоровья Владимира Ильича наступило резкое ухудшение.

Несколько часов спустя Владимира Ильича не стало.

Заседающий в Москве Всероссийский С'езд Советов, а также открывающийся в ближайшие дни Всесоюзный С'езд -примут решения для обеспечения дальнейшей непрерывной работы Советского Правительства.

Самый тяжелый удар, постигший трудящихся Советского Союза, а также всего мира со времени завоевания власти рабочими и крестьянами России, глубоко потрясет каждого рабочего и крестьянина не только нашей Республики, но также всех стран. Широчайшие массы трудящихся всего мира будут оплакивать величайшего своего вождя.

Его больше нет среди нас, но его дело останется незыблемым.

Выражающее волю тру
Правительство продолжит р
идя дальше по намеченному
стоит твердо на своем посту
летарской революции.

ვისგან მიიღო ასეთი პასუხი, **ტროცკი** არ აზუსტებს. ალბათ, არა **სტალინისგან,** თორემ აუცილებლად დაასახელებდა. ყოველ შემთხვევაში, პასუხი **ლენინის** ერთგულ **„თანამოსაგრეს“** სრულიად ამშვიდებს და ის (მაღალი ტემპერატურით) თბილისის ოპერის თეატრის აივნიდან სიტყვის წარმოთქმის შემდეგ შავი ზღვის სანაპიროსკენ აგრძელებს გზას.

**ტროცკის** ცოლმა **ნ. სედოვამ** თავის დღიურში ჩაწერა: **„პირველად ვნახეთ სოხუმი. მიმოზა ყვაოდა — იქ უამრავი მიმოზაა. მშვენიერი პალმები. აფხაზები ძალიან მეგობრულად შეგვხვდნენ...“**

მოკლედ, ნამდვილი სამოთხეა. **ტროცკი: „სოხუმში მთელი დღეები ზღვაზე გამავალ აივანზე ვიწექი. კაშკაშა, თბილი მზე ანათებდა. აივანსა და მზით გაბრწყინებულ ზღვას შორის პალმები აღმართულიყო. ზღვის სუნთქვასთან ერთად მთელი არსებით შევიგრძნობდი საკუთარი ისტორიული სიმართლის რწმენას...“**

დათოვლილ, ცივ მოსკოვში კი ამ დროს **ლენინს** ასაფლავებდნენ. და ერთადერთი **„ხავსი“,** რომელსაც **ტროცკი** ეჭიდება, როცა **სტალინის** სიცრუეში დადანაშაულებას ცდილობს, ის არის, რომ დაკრძალვა შაბათს კი არა, კვირას — **27 იანვარს** შედგა. თუმცა, **26 იანვარი** დასაფლავების დღედ მხოლოდ **ტროცკის** კი არა, დირექტიული ტელეგრამით ადგილებზე ყველა პარტორგანიზაციას შეატყობინეს. და შაბათს ყველა დელეგაცია, ყველაზე შორეული რაიონებიდანაც კი, მოსკოვში იმყოფებოდა. დაკრძალვა მეორე დღისთვის მათი დაჟინებული თხოვნით გადაიდო.

მოდით, გამოვთვალოთ. **ტროცკი ლენინის** გარდაცვალების შესახებ ორშაბათს, **21 იანვარს** იგებს. თბილისიდან მოსკოვამდე 4 დღის გზაა (იმ დროს, როგორც ახლა, მატარებელი ბაქოს გავლით დადიოდა). პირველკლასელისთვისაც ცხადია, რომ **25 იანვარს** ის უკვე კურსკის ვაგზალზე იქნებოდა. უკიდურეს შემთხვევაში, **„ტფილისის ხელისუფლება“** პოლიტბიუროს წევრს არც თვითმფრინავზე ეტყოდა უარს. მაგრამ მიმოზების და პალმების ნახვის სურვილი, რაც მთავარია, **„საკუთარი ისტორიული სიმართლის“** შეგრძნება გადასწონის და **„ბელადი“,** რომელსაც თავი უეჭველ და ერთადერთ მემკვიდრედ წარმოუდგენია, მატარებელს ლაჟვარდოვანი სანაპიროსკენ მიმართავს.



ასეთმა საქციელმა **ტროცკის** ახლობლებიც კი გააოგნა. სედოვა წერს: **„მეგობრები მოსკოვში ელოდებოდნენ, ფიქრობდნენ, რომ გზიდან დაბრუნდებოდა. მახსოვს ჩვენი შვილის წერილი, რომელიც სოხუმში მივიღეთ. ის თავზარდაცემული იყო ლენინის სიკვდილით, გაცივებული, 40 გრადუსამდე სიცხით, ფარღალალა ქურთუკით დადიოდა სვეტებიან დარბაზში ლენინთან გამოსამშვიდობებლად და ელოდა, ელოდა, მოუთმენლად ელოდა ჩვენს ჩასვლას. მის წერილში მწარე გაოცება და გაუბედავი საყვედური ისმოდა“.** მამის ტემპერატურას არც თვითონ გვაუწყებს, არც სედოვა.



## სტალინს ერთი ხელი პარალიზებული ჰქონდა. ეს ფოტოებზეც კი ჩანს. სად და როგორ დაიზიანა მან ეს ხელი?

ხელი (მარცხენა) პარალიზებული არ ყოფილა. თუმცა, **სტალინი** მას მარჯვენასავით ვერ ხმარობდა და, როგორც სამართლიანად აღნიშნეთ, ფოტოებზეც ჩანს, რომ ბელადს ის მუდამ ნახევრად მოხრილი ჰქონდა. **სტალინმა** ეს ხელი ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში დაიზიანა, როცა ხიდან ჩამოვარდა და იდაყვის სახსარი მოიტეხა. დაიწყო დაჩირქება, მაზრის ერთადერთმა ექიმმა, რომელიც მაშინ გორში იმყოფებოდა, ბავშვი გასინჯა და განაცხადა, რომ ხელი იდაყვს ზემოთ უნდა მოიკვეთოს, თორემ განგრენა განვითარდება. ამის გაგონებაზე **ბესარიონ ჯუღაშვილი** განრისხდა, ექიმს ლამის სცემა და სახლიდან გააგდო. მერე კი **პატარა სოსო** მოხუც ექიმბაშთან წაიყვანა, რომელიც, ხალხის თქმით, სასწაულებს ახდენდა. ექიმბაში ხელის მკურნალობას ყოველგვარი ოპერაციის გარეშე შეუდგა, იმ პირობით, რომ ბესო ჩექმებს შეუკერავდა. **მოხუცმა ბიჭუნა ბალახებით და მალამოებით საკმაოდ კარგად განკურნა.** თუმცა, მარცხენა ხელის მოძრაობის უნარი ამის შემდეგ ცოტა შეიზღუდა, **სტალინი** მას იდაყვში თავისუფლად ვეღარ ხრიდა და შლიდა, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს ხელს არ უშლიდა. ეს ამბავი თავის მოგონებებში **სტალინის** ბავშვობის მეგობრებმა — **ი. ირემაშვილმა, გ. ელისაბედაშვილმა, პ. კაპანაძემ** შემოგვინახეს. **„ბესო ჯუღაშვილმა,** — წერს ირემაშვილი, — **ექიმბაშს, მისივე თქმით, თავის სიცოცხლეში საუკეთესო ჩექმები შეუკერა“.**

იმას, რომ **სტალინს** მარცხენა ხელი გაუქმებული არ ჰქონია, მისი გარდაცვალების თვითმხილველნიც მოწმობენ. ინსულტის შემდეგ ბელადს სხეულის მთელი მარჯვენა მხარე დაუდამბლავდა. სიკვდილამდე ერთი წუთით ადრე მან მარცხენა ხელი ასწია და, როგორც სვეტლანა ალილუევა წერს, **„ზემოთ რაღაცაზე მიგვანიშნა თუ ყველას დაგვემუქრა“.**

გენერალისიმუსი
2023 წლის 8 იანვარი, №2 (238)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**




# შევარდნაძის საიდუმლო

**დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-2**

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის პერიპეტიებზე მსჯელობისას **ედუარდ შევარდნაძე** იხსენებს, რომ მაშინ ის ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და ახალგაზრდობის გამოსვლები იქ მსხვერპლით რომ არ დასრულდა, მისი კომკავშირული აქტივის დამსახურებაც იყო:

***„მაშინ ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაციაში ვმუშაობდი. იქაც იყო ახალგაზრდობის გამოსვლები, მაგრამ ახალგაზრდობამ დაგვიჯერა და საქმე კატასტროფამდე არ მისულა.*** *შემდეგ მთელ რესპუბლიკაში ტარდებოდა კრებები, რომლებზეც, მათი ორგანიზატორების განზრახვით, „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“ გადაჭრით და სამუდამოდ უნდა დაეგმოთ. საერთო-საქალაქო კრებაზე თავს უფლება მივეცი, არ დავთანხმებოდი თბილისში მომხდარი მოვლენების ამგვარ შეფასებას.* ***ვთქვი, რომ მიტინგისა და დემონსტრაციების დაშლის დროს დახოცილთა ნაციონალისტებად შერაცხვა არამარტო ზნეობის თვალსაზრისით არის დაუშვებელი, არამედ პოლიტიკურადაც საშიშია. ვთქვი, რომ საზოგადოებაში გაბატონებულ განწყობილებათა ჩახშობა ძალისმიერი საშუალებით აუცილებლად გამოიწვევს ახალგაზრდობის ყველაზე მოქმედი ნაწილის განდგომასა და იზოლირებას...“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 55).*

და სწორედ ეს გამოსვლა ქუთაისურ პარტიულ თავყრილობაზე გახდა **შევარდნაძის** კარიერის ასე ნახტომისებური განვითარების მიზეზი — ის **ვასილ მჟავანაძემ** შეამჩნია:

***„აუდიტორიამ მხარი მხურვალედ დამიჭირა. ამ სხდომას ვასილ მჟავანაძეც ესწრებოდა. ეტყობა, ჩემი გამოსვლა მოეწონა და, მისი თანხმობით, რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ამირჩიეს“*** *(იქვე, გვ. 56).*

ამდენად, შეიძლება ითქვას, **ვასილ მჟავანაძემ** თავად იპოვა თავისი „დასაკლავი დანა“ ედუარდ შევარდნაძის სახით — 56 წლის მოვლენებიდან 16 წლის შემდეგ, 1972 წელს, სწორედ შევარდნაძემ მოუწყო მას „სამეფო კარის გადატრიალება“ და საქართველოში გაპირველკაცდა!

თუმცა, მემუარისტი **მჟავანაძეზე** საუბრისას აშკარად ძალიან დადებითად არის განწყობილი:

***„რამდენიმე სიტყვა ვასილ მჟავანაძის შესახებ. იგი მთელი ცხოვრება საბჭოთა ჯარში მსახურობდა და ქართულად ლაპარაკი უჭირდა*** *(ესეც საბჭოთა სინამდვილის კიდევ ერთი პარადოქსი)* ***და როდესაც ერთი მწვავე, დაუსაბუთებელი გამოსვლის პასუხად ქართული ხალხური ლექსით მიმართა აუდიტორიას: „თეთრსა და წითელ ღვინოსა განა ორივეს სმა უნდა, პირზე მომდგარსა სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა“, მოულოდნელობისგან დარბაზი ლამის ტაშით დაინგრა.***

*მერე, როცა წლები გავიდა,* ***ვასილ მჟავანაძესთან*** *დაახლოებულ ჩვენს პოეტ-აკადემიკოს* ***ირაკლი აბაშიძეს*** *ვუამბე ეს ეპიზოდი, ირაკლის გაეღიმა და როგორც იცოდა, ენის ბორძიკით მითხრა:* ***„მმაგაზე მმე ბევრი ვიმუშავე“*** *(იქვე, გვ. 56).*

შევარდნაძე იმ ღვაწლსაც აღნიშნავს, რაც **ვასილ მჟავანაძეს** ქართული კულტურისა და ხელოვნების წინაშე ჰქონდა — იმ არცთუ მარტივ დროებაში, როდესაც სტალინის „პიროვნების კულტის“ გინებით გაპირველკაცებული **ნიკიტა ხრუშჩოვი** ლამის პათოლოგიური სიძულვილით უყურებდა ყოველივე ქართულს:

***„სწორედ ირაკლი აბაშიძის მუშაობისა და ვასილ მჟავანაძის აქტიური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება — ქართული ენციკლოპედიის რედაქციის შექმნა და გამოცემა, რუსთაველის იუბილეს საერთაშორისო მასშტაბით ჩატარება, ოცდაჩვიდმეტ წელს რეპრესირებულ მწერალთა რეაბილიტაცია და იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც ხელისუფლებასთან გარკვეული პრობლემები ჰქონდათ. რაც მთავარია, ქართულ კულტურასა და ქართულ მენტალიტეტში გაუთვითცნობიერებელი პირველი პირი აზიარა ქართულ სამყაროს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა“*** *(იქვე, გვ.56).*

მაგრამ იმავდროულად, **შევარდნაძე** ერთგვარ „წიხლსაც“ არ იშურებს წინამორბედისთვის და იმასაც ღიად აღნიშნავს, **ვასილ მჟავანაძე** ხრუშჩოვის კაცი იყოო:

***„ვასილ მჟავანაძე საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად ხრუშჩოვის რეკომენდაციით აირჩიეს. ეს იყო დანიშვნა მხოლოდ პიროვნული ერთგულების ნიშნით. ხრუშჩოვისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს ხელმძღვანელი მისი კაცი ყოფილიყო“*** *(იქვე, გვ.56).*



როგორც ხედავთ, მემუარისტი მაინც ვერ იკავებს ძველ ბოღმას და აშკარად ამცირებს და ღიად შეურაცხყოფს **ვასილ მჟავანაძეს,** რომელიც, თურმე, მხოლოდ ხრუშჩოვისადმი ერთგულებით გახდა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი!

შემდეგ **შევარდნაძე** იმასაც გვიყვება, მიუხედავად იმისა, რომ „ხრუშჩოვის კაცი“ იყო, მჟავანაძემ ხრუშჩოვსაც კი უღალატაო:

***„მიუხედავად ამისა, როგორც ეს ხშირად ხდება პოლიტიკაში, მჟავანაძემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხრუშჩოვის გადაყენებაში. ახლობლებთან ურთიერთობაში მჟავანაძე არ მალავდა, რომ სტალინის პიროვნების კულტის ასეთი ფორმით და მასშტაბით მხილება ში ხრუშჩოვის თანამოაზრე არ იყო, ხოლო, როცა 1961 წელს პარტიის 22-ე ყრილობაზე სტალინის ნეშტის მავზოლეუმიდან გამოსვენების საკითხი დაისვა, მჟავანაძემ, როგორც იტყვიან, აქტიური პოზიციის დაკავებას, არცთუ ვაჟკაცური ხერხით აარიდა თავი“*** *(იქვე, გვ. 56).*

აი, ასე: **შევარდნაძე** მჟავანაძეს ახლა უკვე ასეც შეურაცხყოფს, არავაჟკაცურად აარიდა თავი ხრუშჩოვთან ღიად დაპირისპირებასო!

დიახ, ეს სწორედ იმ ლეგენდარულ ამბავს ეხება, როგორ გაიცივა მჟავანაძემ თავი, ხრუშჩოვის მოთხოვნით, ყრილობის ტრიბუნიდან სტალინი რომ არ ეგინებინა:

***„თავად მომიყვა, რა თქმა უნდა, ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ, რომ მაშინ, როცა ის სიტყვით უნდა გამოსულიყო, წინა ღამით სასტუმროში ცივ წყალში იბანავა, გაცივდა და მეორე დღეს ხმაჩახლეჩილი და ყელშეხვეული ცეკას მეორე მდივანთან გამოცხადდა.*** *ლაპარაკი მართლაც უჭირდა და გამომსვლელთა სიაში საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე* ***გივი ჯავახიშვილი*** *ჩააწერინა. რა თქმა უნდა, ეს „მაქინაცია“ ხრუშჩოვის ნებართვის გარეშე არ მოხდებოდა.* ***გამოსვლის ტექსტი მზად იყო და მჟავანაძემ მთავრობის თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილს შესთავაზა სიტყვით გამოსვლა. ამავე დროს შეჰპირდა, ამ გამოსვლასთან დაკავშირებით თუ რამ გართულდება, მე, როგორც ცეკას პირველი მდივანი და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, დაგიცავო.*** *გივი ჯავახიშვილი წესიერი კაცი იყო, თან მჟავანაძისგან დავალებულიც და იძულებული გახდა, სხვისი ტექსტით, მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გამოსვენების წინადადების მხარდაჭერით, ყრილობაზე გამოსულიყო.* ***რა თქმა უნდა, საქართველოში ამ გამოსვლას ცუდი რეაქცია მოჰყვა, მაგრამ მჟავანაძემ სიტყვა შეასრულა და სანამ ის ცეკას პირველი მდივანი იყო, ჯავახიშვილისთვის ხელი არ უხლიათ...“*** *(იქვე, გვ. 57).*

მოკლედ, შევარდნაძემ რაც შეეძლო, მაინც „დაწიხლა“ **მჟავანაძე** — ჯერ „ხრუშჩოვის კაცად“ შერაცხა, შემდეგ ვაჟკაცობაც დაუწუნა...

არადა, თვითონაც კრემლელი ბატონის „კაცობით“ დაჯდა მჟავანაძის სავარძელში, რომელსაც ინტრიგებით კარგა ხნის მანძილზე არყევდა...

და, რაც მთავარია, გონივრული ეჭვი მაქვს, შევარდნაძე მჟავანაძის ადგილზე, თავსაც არ გაიცივებდა და კომპარტიის ყრილობის ტრიბუნიდან „ვაჟკაცურად“ დაუჭერდა მხარს ხრუშჩოვს — აბა, რა, სტალინის ნეშტი მავზოლეუმიდან გამოსასვენებელია, ჩვენი ეპოქის სინდის-ნამუსთან — ლენინის გვერდით მაგას რა უნდაო!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

**ედუარდ შევარდნაძე:**

**ვასილ მჟავანაძემ თავად მომიყვა, როგორ გაიცივა თავი, ყრილობაზე სტალინის განქიქებით რომ არ გამოსულიყო!**

**ვასილ მჟავანაძემ თავად იპოვა თავისი „დასაკლავი დანა“ ედუარდ შევარდნაძის სახით - 56 წლის მოვლენებიდან 16 წლის შემდეგ, 1972 წელს, სწორედ შევარდნაძემ მოუწყო მას „სამეფო კარის გადატრიალება“ და საქართველოში გაპირველკაცდა!**

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №11-54, 2024 წლის №1-2*

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა აცხადებს, რომ შევარდნაძე სტაჟიანი მასონი იყო და როგორც კი დიდი პატრიოტი ვასილ მჟავანაძე ათასგვარი ინტრიგებით გზიდან ჩამოიშორა, ერთ-ერთ დიდ პარტიულ შეკრებაზე საქვეყნოდ განაცხადა — „საქართველო უნდა ვაქციოთ ინტერნაციონალური შეჯვარების ლაბორატორიად!“***



ზვიად გამსახურდია და ბორის ელცინი ყაზბეგში



# იგორ კვესელავა:

# თვით ლოთი ელცინიც კი არ გაუშვიათ 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგიდან უსაჩუქროდ, როცა ის ზვიადს შეხვდა!

— და მართლაც, სანამ საქართველოს ცეკას პირველი მდივანი იყო, შევარდნაძემ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება და მმართველობის საშუალო რგოლი სულ არაქართველებით გაავსო, ამასთან, **ჯეიმს ბეიკერის** პირდაპირი ჩარევით, 1992 წლის იანვარში შევარდნაძის ცხოვრებაში ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა — ედუარდმა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლებაც დაამხო და მასონთა კლუბ „მაგისტერიუმის“ საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეც გახდა!

**— შევარდნაძე მასონად ხომ უფრო ადრე აკურთხეს?**

— ცხადია, ის მასონი უკვე იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც **ბეიკერთან** ერთად საქართველოში საშინელი გადატრიალება მოაწყო, შევარდნაძეს მასონთა წრეში მეტი ფასი დაედო და „მაგისტერიუმის“ საგამომცემლო საქმე ჩააბარეს. დასავლეთი, რომელმაც შევარდნაძის მსგავსი აგენტებისა და მასონების მეშვეობით საბჭოთა კავშირი დაანგრია, ისე იყო გაყოყოჩებული და იმდენად ცხადად თამაშობდა თავის პოლიტიკურ თამაშს, რომ მოსკოვში პირდაპირ გამოსცემდა მასონურ ჟურნალ „მაგისტერიუმს“. ეს გახლდათ ინგლისურენოვანი ჟურნალი, რომლის რედაქტორიც ერთხანს შევარდნაძე იყო. **იმისათვის, რომ მასონი გამხდარიყო და „მაგისტერიუმის“ კლუბში მიეღოთ, შევარდნაძემ დიდძალი თანხები გადაიხადა.** ამავე „მაგისტერიუმის“ წევრი გახლდათ ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი **ჯეიმს ბეიკერიც,** რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში შევარდნაძის უშუალო კურატორად და „მეგობრად“ ითვლებოდა.

**— რას ნიშნავს „მაგისტერიუმი“?**

— შუა საუკუნეების ალქიმიკოსები მიიჩნევდნენ, რომ **„მაგისტერიუმი“** იყო „ფილოსოფიური ქვა“, რომელსაც მიეწერებოდა უამრავი ჯადოსნური თვისება — არაკეთილშობილური მეტალების კეთილშობილურ მეტალებად, ანუ ოქროდ, ვერცხლად და პლატინად გადაქცევა; სიცოცხლის გახანგრძლივება; ახალგაზრდობის დაბრუნება და ა.შ. ანუ მასონთა გეგმით, **შევარდნაძე, რომელიც იყო ყოველმხრივ კომპრომეტირებული, „მაგისტერიუმში“ გაწევრიანების შემდეგ ქართველთათვის უნდა გამხდარიყო „კეთილშობილი“, „ახალგაზრდა“ და აეშენებინა ახალგაზრდა ქართული დემოკრატია.** გადატრიალების შემდეგ საქართველოში ჩამოსული ედუარდ შევარდნაძე, ფაქტობრივად, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის თანამშრომელი იყო და ანგარიშვალდებული გახლდათ **ჯეიმს ბეიკერის** წინაშე. აი, სწორედ ამიტომ ყვიროდა ცხონებული **ზვიად გამსახურდია** მის მასონობაზე და იმიტომ მიანიშნებდა მთელ საქართველოს იმ უდიდეს საფრთხეზე, რომელიც შევარდნაძისა და მისი პატრონების სახით საქართველოს ემუქრებოდა.

**საერთოდ, ერთი რამ გვახსოვდეს: საქართველოში ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა ჯეიმს ბეიკერის გარეშე არ მომხდარა!** არც ის მომხდარა ბეიკერის თანხმობის გარეშე, 1992 წლის 7 მარტს შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში რომ ჩამოვიდა და ბანდიტებისა და მკვლელების ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში.

**— ამერიკის შეერთებული შტატები და სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი შევარდნაძეს საქართველოში გადატრიალების მოწყობასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში უანგაროდ დაეხმარნენ?**

— ეს დახმარება უნაგარო არ ყოფილა და გახლდათ იმ ტერიტორიული გაფართოების პასუხი, რომლის ძალითაც ბერინგის ზღვაში საბჭოთა კავშირ-შეერთებული შტატების ყოფილი საზღვარი შევარდნაძის ძალისხმევით ამერიკის სასარგებლოდ შეიცვალა. გარდა ამისა, საქართველოში მოწყობილი სასაკლაოს ლეგიტიმაციის სანაცვლოდ **ჯეიმს ბეიკერმა** შევარდნაძისგან ძვირფასი სურათები, ფული და ანტიკვარული ნივთები მიიღო!

**— ეს ზუსტი ინფორმაციაა?**

— ამის დოკუმენტები არსებობს! სხვათაშორის, **როცა პრეზიდენტი ბუში (უმცროსი) საქართველოში ჩამოვიდა, მაშინ სააკაშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრი ვიყავი, მასთან ერთი-ერთზე ხშირად ვსაუბრობდი და დანამდვილებით ვიცი, რომ საქართველოში ვიზიტის საფასურად პრეზიდენტმა ბუშმაც დიდძალი და იშვიათი საჩუქრები წაიღო.**

სააკაშვილს დღეს ბევრ რამეს ედავებიან, მათ შორის, რაღაც იშვიათი ნივთების გაჩუქებას. იგი ამას ვერ იტყვის, მაგრამ ამერიკელი მაღალჩინოსნები, რომლებიც იმხანად ხშირად ჩამოდიოდნენ, საქართველოდან ძვირფასი საჩუქრების გარეშე არ მიდიოდნენ!

**— მაინც რა სახის საჩუქრებზეა ლაპარაკი, სამუზეუმო ექსპონატებზე?**

— (იცინის) საუბარია ძალიან ძვირფას საჩუქრებზე! აი, მაგალითად, თვით **ლოთი ელცინიც** კი არ გაუშვიათ 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგიდან უსაჩუქროდ, როცა ის ზვიად გამსახურდიას შეხვდა. სხვათაშორის, ელცინს ძალიან უნდოდა, რომ ზვიადი მოსკოვში ჩასულიყო და იქ გამართულიყო ეს შეხვედრა, მაგრამ გამსახურდია მოსკოვში არ ჩავიდა და ელცინს თბილისში ჩამოსვლა შესთავაზა. ელცინმა თბილისში ჩამოფრენაზე უარი თქვა, მაგრამ ზვიადთან კავშირი იმდენად სჭირდებოდა, რომ უკან დაიხია და გამსახურდიას ყაზბეგში ეწვია. **დანამდვილებით ვიცი, რომ მთვრალი ელცინი, რომელიც ზვიადთან შეხვედრის შემდეგ მანქანაში ძლივს ჩადეს, საოცრად ბედნიერად გრძნობდა თავს, როცა შეიტყო, რომ ზვიად გამსახურდიამ მას ორი ყუთი არაყი აჩუქა.** სხვათაშორის, ელცინისთვის არაყი მეც მაქვს ნაჩუქარი... (იცინის)

**— სად, როგორ?**

— მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახლდით, როცა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ელცინი გვესტუმრა. მაშინ ის პრეზიდენტი არ იყო და ავტორიტეტის მოსაპოვებლად საზოგადოებასთან შეხვედრებს მართავდა. ერთი ბოთლი არაყი ამოვიღე და ელცინს მაგიდაზე დავუდე. **ბორის ნიკოლაევიჩს** თვალები გაუბრწყინდა, ხელი ჩამომართვა და მადლობა გადამიხადა. მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, აწ განსვენებული აკადემიკოსი **ივერი ფრანგიშვილი,** რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო გასაიდუმლოებული ინსტიტუტის დირექტორი და გენერალური კონსტრუქტორი გახლდათ, მოსკოვში, კრემლთან ახლოს, ლენინის გამზირზე, მეტრო „ოკტიაბრსკაიასთან“ ცხოვრობდა. ივერი და ელცინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ... **ივერი ფრანგიშვილმა** ასეთი რამ მიამბო: ერთხელ დილაადრიან კრემლიდან დამირეკეს და მითხრეს — 9 საათზე პრეზიდენტი ელცინი გიხმობთო! ზუსტად 9 საათზე პირდაპირ ელცინის კაბინეტში ვიყავი. ელცინი გამომეგება, ხელი ჩამომართვა და კედელში ჩატანებული ერთ-ერთი განჯინისკენ წავიდა, რომელიც გამოაღო და იქიდან ორი უზარმაზარი ბოკალი გამოიღო. შემდეგ არყის ბოთლს სწვდა და ორივე ბოკალი პირამდე აავსო. ელცინმა არყით სავსე ბოკალი მომიჭახუნა და თვალის დახამხამებაში გამოცალა! დალევას ვერიდებოდი, მაგრამ იძულებული გავხდი, დამელია, რის გამოც მთელი დღე გაბრუებული ვიყავი! ცნობისათვის, ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრა ძალიან უნდოდა **მიხეილ გორბაჩოვსაც.** ამ საქმეში შუამავლის ფუნქციას ასრულებდა მოსკოვის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და საქართველოს პირველი ელჩი რუსეთის ფედერაციაში **ნოდარ მექმარიაშვილი,** რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკოლაი რიჟკოვთან, გორბაჩოვთან და ელცინთან** მეგობრობდა. სამწუხაროდ, ეს შეხვედრა ვერ შედგა.

**— რატომ?**

## „1992 წლის იანვარში შევარდნაძის ცხოვრებაში ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა — ედუარდმა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლებაც დაამხო და მასონთა კლუბ „მაგისტერიუმის“ საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეც გახდა!“

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**ხაზარაძეს არ ახსოვს თავისი მევახშეობის ამბავი, არც ბინების თუ ბიზნესების ლამეული გადაფორმებები ემახსოვრება,** ამ „მოქალაქეობრივი“ და „მაღალზნეობრივი“ ქმედებების გამო **სააკაშვილის ჯილდო ხომ საერთოდ დავიწყებული ექნება.**

„იმედინიუსი“

**მამუკა ხაზარაძე**
*პარტია „ლელო — საქართველოსთვის“ თავმჯდომარე*



ახალგაზრდა ჰალსტუხიანმა, მაგრამ სხვა ქვეყნის მოსამსახურე პოლიტიკოსებმა უნდა დატოვონ ასპარეზი — **როცა კოალიციური მთავრობა დადგება,** პირველი, რაც მოხდება, **„თითები მიეწვება“ ყველას, ვინც 12 წელი ქვეყანა ძარცვა. ივანიშვილი თუ დასანქცირებულია** ჩვენი ევროპელი პარტნიორების მიერ, მაშინ **როგორ აპირებს თავისი რუსული პარტიით ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში შეყვანას?**

„პალიტრანიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**ადამიანები, რომლებიც იყვნენ კომკავშირის მდივნები,** გველაპარაკებიან მოსკოვის მიუღებლობაზე. **ადამიანები, რომლებიც ძალაში შესული განაჩენით მხილებული არიან თაღლითობაში,** გველაპარაკებიან კეთილსინდისიერებაზე. **ადამიანები, რომლებიც იყვნენ ნაციონალური მოძრაობის რუპორები,** გველაპარაკებიან ნაციონალური მოძრაობის მიუღებლობაზე.

„ახალი თაობა“



## „ნანული ცაგარეიშვილის დაბადების დღე შევარდნაძის ბიოგრაფიაში ძალიან საინტერესოდ თამაშდება!“

— **გორბაჩოვი** მოითხოვდა გამსახურდიას მოსკოვში ჩასვლას, ხოლო ზვიადი პირიქით — გორბაჩოვის თბილისში ჩამოსვლას! ზვიადი ძალიან პრაგმატული კაცი იყო და, რომ არა მოღალატე და ჩასაფრებული ოპოზიცია, შესაძლოა, მოსკოვში უპრობლემოდ ჩასულიყო კიდეც. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, იმავე **ნოდარ მექმარიაშვილის** აქტიური მეცადინეობით, დაიწყეს ნეიტრალური ქალაქის შერჩევა, სადაც გორბაჩოვისა და ზვიად გამსახურდიას შეხვედრა შესაძლებელი იქნებოდა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ეს შეხვედრა მაინც ჩაიშალა.

**— ეს შეხვედრაც შევარდნაძემ ხომ არ ჩაშალა?**

— არა, ეს შეხვედრა **შევარდნაძეს** არ ჩაუშლია. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ იმპერიაში მისი კარიერა დასრულდა, ამიტომაც დაიწყო აქტიური ზრუნვა ისეთი იმიჯის შესაქმნელად, რომელიც საქართველოში მის დაბრუნებას გაამართლებდა. ამაში მას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია თავის მიერ შექმნილმა და ჩაფულიანებულმა ინტელიგენციამ, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას „გადაუგდო“ ასეთი ლოზუნგები — **„საქართველოს სჭირდება ყველაფერზე წამსვლელი და ყველაფრის მკადრებელი ედუარდ შევარდნაძე!“ „მხოლოდ ედუარდმა იცის, როგორ უნდა მოუაროს და დაელაპარაკოს რუსეთს!“** სხვათაშორის, მის მიერ შესაფერისი ჟამის ძიების პროცესი პირველად **1972 წლის 7 მარტს** დაიწყო, როცა გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული ე.წ. **„პოსტანოვლენიე პო ტბილისკომუ გორკომუ“** „კომუნისტში“ უფრო დამძიმებული ფორმებით გადმოიბეჭდა და აშკარა გახდა, რომ შევარდნაძე მჟავანაძის დასამხობად ემზადებოდა. ამ დღიდან ზუსტად ოცი წლის შემდეგ — **1992 წლის 7 მარტს,** როცა შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა და ხელისუფლებას უკანონოდ დაეპატრონა, ეს დღე **ნანული ცაგარეიშვილის** მოახლოებულ დაბადების დღეს დაემთხვა, რაც ასევე მრავლისმთქმელია და შემთხვევითი არ არის... 1993 წლის აგვისტოში ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა **მარკ ალმონდმა** გაზეთ „ნეიშენალ რევიუში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც თქვა — **„ამერიკა მხარს უჭერს იმ რეჟიმებს, რომელთა ლიდერებიც აღიარებენ დასავლურ დემოკრატიას, მაგრამ ამავდროულად ძარცვავენ თავიანთ ქვეყნებს და დევნიან დემოკრატიას!“** ეს სწორედ შევარდნაძისა და მისთანა ორსახოვანი, დიქტატორი მმართველების შესახებ გახლდათ ნათქვამი.

**— მაინც რა მიგაჩნიათ ზვიად გამსახურდიას სტრატეგიულ შეცდომად?**

— სტრატეგიულად ზვიად გამსახურდია არაფერში შემცდარა! ხელისუფლებაში მოვიდა თუ არა, მაშინვე გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი. ზვიადის ხელისუფლება იარაღის ძალით რომ არ დაემხოთ, საქართველო დღეს სულ სხვა ვითარებაში იქნებოდა. ზვიად გამსახურდიამ იცოდა, საითკენაც მიდიოდა, მაგრამ შევარდნაძის დროს საქართველომ ვერ გაიგო, საითკენ მიდიოდა ედუარდი! **რუსეთმა კარგად ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და ადამიანური, სამხედრო და საექლესიო რესურსების გამოყენებით ქაშუეთის ტაძარი სამხედრო ბაზად გადააქცია.** სომხეთის ხელისუფლება მოღალატე ქართველი ინტელიგენციის მოთხოვნას უყოყმანოდ შეასრულებდა და ზვიად გამსახურდიას ხუნტას გადასცემდა, რომ არა სამეგრელოს მოსახლეობის თავგანწირვა. კი ბატონო, უდიდესია **ჯოჯარ დუდაევის** დამსახურება, რომელიც **პეტროსიანს** ერევნის დაბომბვით დაემუქრა, თუ გამსახურდიას თავიდან ერთი ღერი თმა ჩამოუვარდებოდა, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ იმ საშინელ დღეებში სამეგრელოში დაატყვევეს სოჭიდან სომხეთისკენ მომავალი ორი „იკარუსი“. სომხეთის ხელისუფლება მაშინ დილემის წინაშე აღმოჩნდა — **თუ ზვიად გამსახურდიას ხუნტას გადასცემდნენ, მაშინ იმ „იკარუსებში“ მსხდომ მგზავრებს საშინელი აღსასრულისთვის გაიმეტებდნენ, რაც პეტროსიანის ხელისუფლებისთვის შესაძლოა, ძალიან ცუდად დასრულებულიყო.**

სხვათაშორის, 1992 წლის 24 ივნისს ტელევიზიაში განვითარებული სისხლიანი მოვლენებიც შევარდნაძის მიერ იყო ინსპირირებული. ამის შესახებ ჩემთან საუბარში დასცდა **თენგიზ სიგუას** სიმამრს, ჩემს ძველ მეგობარს, პროფესორ **გრიგოლ ჟვანიას,** რომელმაც პირდაპირ მითხრა — დღეს დილით თენგიზი სამსახურში იმიტომ არ წავიდა, რადგან წინასწარ იცოდა, შევარდნაძეს რაც ჰქონდა დაგეგმილიო.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „გორბაჩოვი მოითხოვდა გამსახურდიას მოსკოვში ჩასვლას, ხოლო ზვიადი პირიქით – გორბაჩოვის თბილისში ჩამოსვლას!“





## ფეხზე ადგომითა და აპლოდისმენტებით მიესალმეთ განსაკუთრებულ თაობას, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, იყო და რჩება უნიკალურ მეისტორიედ!

## რეჟისორისა და მსახიობის ამირან ამირანაშვილის საახალწლო მილოცვა

**1.** ჩემი თაობა ის თაობაა, რომელიც დაიბადა 50-60-იან წლებში, აღიზარდა 60-იანებში, სწავლობდა 70-იანებში, დაოჯახდა 80-იანებში, მუშაობდა 1980-2010 წლებში და ბევრი დღესაც შრომის ფერხულშია ჩაბმული.

**2.** ჩვენ ვირწმუნეთ სოციალიზმის, გვჯეროდა კომუნიზმის მალე მოსვლის, 90-იანებში შევიცვალეთ მსოფლმხედველობა, 2000 წლის შემდეგ გვეგონა, რომ გავერკვიეთ სიტუაციაში, ხოლო 2024-ში აღმოვაჩინეთ, რომ მაინც გაუგებრობაში დავრჩენილვართ!

**3.** ჩვენ გადავლახეთ თითქმის შვიდი ათეული წელი, ვიცხოვრეთ ორ სხვადასხვა საუკუნეში და ორ სხვადასხვა ათასწლეულში.

**4.** ჩვენ გავიარეთ გზა გრძელი, სადენიანი ტელეფონებიდან და საქალაქთაშორისო თუ საერთაშორისო ზარების შეკვეთიდან — ვიდეოზარამდე მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, დიაფილმებიდან და სლაიდ-შოუებიდან — „იუთუბამდე“, მელნით დაწერილი წერილიდან — ელექტრონულ ფოსტამდე, ფეისბუკამდე, ვატსაპამდე, მესინჯერამდე, „ტიკ-ტოკამდე“ და ხელოვნურ ინტელექტამდე.

**5.** ჩვენ დილას საბჭოთა ჰიმნით გვაღვიძებდა კედლის რადიო (ჩართული თუ დაგვრჩებოდა). მერე ვუსმენდით ფანტასტიკურად დადგმულ რადიო-სპექტაკლებს. ჯერ გვქონდა ტელევიზორი „რეკორდი“, შემდეგ — ეკრანის გამადიდებელი შუშა, მერე — ფერადი ტელევიზორი... მოგვიანებით მთელი ღამით დაქირავებული „რემბოს“ ვიდეოკასეტის სანახავად ვიკრიბებოდით 10 კაცი, „ემანუელა“-ზე — 30 და „კალიგულა“-ზე — 100 კაცამდეც კი... დღეს კი სახლში 4K ტელევიზორების ერთ დეკოდერში გვაქვს მოქცეული მთელი მსოფლიოს ტელესივრცე.

**6.** ჩვენ მანამდე ვრჩებოდით ეზოში, ვიდრე მშობლებს „ამოდის“ ძახილით ისტერიკა არ დაეწყებოდათ; მუხლებ და იდაყვებ გადატყავებულები ვაშენებდით შტაბებს, ვადნობდით ძველ აკუმულატორებს და ვასხამდით აგურში გაკეთებულ ყალიბებში; ვაკეთებდით დანებს, კასტეტებსა და ჯვრებს, ვშლიდით პაჩემნიკებს, ვთამაშობდით ფეხბურთს „დვაინოი“ გაზიან წყლებზე, ვაბარებდით ბოთლებს, ვბღაოდით — „დედა, გადმომიგდე 20 კაპიკი“, დავრბოდით გარაჟებისა და სახლების სახურავებზე... ჩვენ მშობლები გვაწერინებდნენ ხელწერილებს, რომ მეტს აღარაფერს დავაშავებდით და ვისწავლიდით სულ ხუთებზე. **ჩვენ არ გავრბოდით მილიციაში მშობლებზე საჩივრის დასაწერად, არამედ გავრბოდით ბებიებთან და ბაბუებთან, რადგან ისინი იყვნენ ჩვენი ყველაზე კარგი ფსიქოლოგები.**

**7.** ჩვენ ვიცოდით, როგორ ჩაგვედო თვალდახუჭულებს ფოტოაპარატის ფირი შავ ბაჩოკში, ადეალის ქვეშ, როგორ გაგვეზავებინა პრაიავიტელი და ზაკრეპიტელი, როგორ დაგვებეჭდა სურათები წითელ შუქზე ტუალეტში ან პადვალში... ჩვენ დროს გაჩნდნენ პირველი ბაბინებიანი და კასეტური მაგნიტოფონები, პირველი სპიდოლები... ჩვენ ერთმანეთისგან ვიწერდით „ბიტლებს“, „ლედ ზეპელინგებს“, „პინგ ფლოიდებს“, ვთხოულობდით წიგნებს, ვაბარებდით მაკულატურას და ტალონებით ვყიდულობდით მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს. მერე გაჩნდნენ კომპიუტერები, დისკეტები, დვდ-პლეიერები... იმხანად ვნატრულობდით, რომ გვქონოდა რამდენიმე გიგაბაიტიანი ვინჩესტერები, ახლა კი ტერაბაიტებიც აღარ გვყოფნის.

**8.** ბავშვობაში ჩვენ გვეცვა სასკოლო ფორმა, გვქონდა სამთვლიანი ველოსიპედები, მერე — ორთვლიანი „ლასტოჩკა“, მერე — წვრილბორბლიანი „გონჩი“, მერე — მოპედი, მერე — „ჟიგული“, მერე — „ბეემვე“ და ასე შემდეგ.

**9.** ჩვენ გადავურჩით ცოფს, ტეტანუსს, მუცლის ტიფს, ჩუტყვავილას, წითელას, ქუნთრუშას, ქათმის გრიპსა და კოვიდს.

**10.** ჩვენმა თაობამ ააშენა ქალაქები, ხიდები, გზები, მეტროპოლიტენი და მასივები, სადაც დღესაც ცხოვრობენ ადამიანები.

**11.** ჩვენმა თაობამ დაიტირა თბილისის, ცხინვალისა და სოხუმის ომებში დაღუპული მშობლები და ძმაკაცები.

**12.** ჩვენ გავიარეთ გზა ანალოგური ბავშვობიდან ციფრულ პენსიონერობამდე.

**(ეს ის მცირედია, რაც სახელდახელოდ გამახსენდა, დანარჩენი თქვენ დაამატეთ...)**

მაშ, ფეხზე ადგომითა და აპლოდისმენტებით მიესალმეთ **განსაკუთრებულ თაობას,** რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, იყო და რჩება უნიკალურ მეისტორიედ!

**ნოდარ დუმბაძისა** არ იყოს — **იყო დრო, ჩვენ ვიყავით თქვენხელა, დადგება დრო, თქვენ იქნებით ჩვენხელა, ჰოდა, რა განსხვავებაა ჩვენს შორის?**

**გილოცავთ ყველას ახალ წელს!**
**საქართველოს გაუმარჯოს!**
**ჩვენ გაგვიმარჯოს!**

## კვირგვინოსნები

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



**მამუკა ხაზარაძეს შეიძლება ამბიცია გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეობაზეც ჰქონდეს** — იმისთვის, რომ ქვეყანა მართოს, გარკვეული საფეხურები უნდა გაიაროს და, **პირველ რიგში, მოსახლეობის ნდობა დაიმსახუროს.**

„ინტერპრესნიუსი“

**დიტო სამხარაძე**
*პარლამენტარი*



მოღალატე **გახარია** როცა გეუბნებოდათ, **ივანიშვილის** დავალებით შევქმენი პარტიაო, ვყოფილვარ მართალი, რომ გეუბნებოდით, **გატყუებთ ეგ მაზაკვალი თქო?**

„აიპრესი“

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*



სასიხარულოა, რომ **ივანიშვილმა საბოლოოდ მოახერხა სამალავიდან გამოსვლა.** საბაბი სუსტი იყო. გამოწვევა მიღებულია.

„ახალი თაობა“

**თამარ ჩარკვიანი**
*პარტია „კანონი და სამართლის“ თავმჯდომარე*



**გიორგი გახარიამ** პასუხი უნდა აგოს ჯერ **თვალების დათხრაზე,** ხოლო **მამუკა ხაზარაძემ ჩვენს ანაბრებზე,** მაღალ პროცენტებზე. აგონ პასუხი და მერე დააპირონ „შემოკვეთება“ ქართულ პოლიტიკაში.

„ახალი თაობა“

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



როგორც ჩანს, **გახარია** მოვლენებს ჩამორჩა, **სააკაშვილის** საპატიმროში გადაყვანის საკითხს დღის წესრიგში ჩვენ ვაყენებდით, რადგან **კარგად მოჩიტდა და ახლა ციხეში უნდა დაბრუნდეს.**

რამდენი მარცხი უნდა განიცადოს **ხაზარაძემ,** რომ **პოლიტიკას თავი დაანებოს, მელია** რომ დაგიწუნებს, **პოლიტიკას თავი უნდა დაანებო.**

„პირველი არხი“




# ამერიკელი გლინ საიმონსის წყალი ქართველ უვადო პატიმრებსაც უნდა გადაესხას!

***თურმე, შესაძლებელია, ადამიანმა მთელი ცხოვრება ციხეში გაატაროს და სიცოცხლის მიწურულს მისი უდანაშაულობა დადგინდეს. მაგრამ ისეც ხდება, რომ უდანაშაულო ადამიანი პატიმრობაში აღესრულება და გამართლებას ვერ აღწევს! ახლახან ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ გამაოგნებელი განაჩენი გამოიტანა — 48-წლიანი პატიმრობის შემდეგ სამუდამოპატიმრობამისჯილი კაცი უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა!***

***გაიმართება თუ არა მსგავსი პროცესები საქართველოშიც, სადაც შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმების მიერ ყალბი მტკიცებულებებით გასამართლებული არაერთი უვადოპატიმრობამისჯილი იმყოფება? ამერიკაში მომხდარმა საოცარმა ამბავმა ქართველ უვადო პატიმრებს იმედი ჩაუსახა!***

დიახ, **48-წლიანი პატიმრობის შემდეგ** ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ ბოლომდე გაამართლა **71 წლის გლინ საიმონსი,** რომელიც 1974 წელს ალკოჰოლური სასმელების მაღაზიის გამყიდველის **ქეროლაინ სუ როჯერსის** მკვლელობისთვის იყო მსჯავრდებული. **საიმონსმა პატიმრობაში 48 წელი, 1 თვე და 18 დღე დაყო. ეს ყველაზე ხანგრძლივი სასჯელი გამოდგა, რომელიც ამერიკულ საპატიმროში უდანაშაულო ადამიანმა მართლმსაჯულების შეცდომის გამო გაატარა.**

— „მკაფიო და დამაჯერებელი მტკიცებულებების თანახმად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ დანაშაული, რისთვისაც საიმონსი გაასამართლეს და ხანგრძლივი სასჯელი მიუსაჯეს, სინამდვილეში, მას არ ჩაუდენია“, — **წერია ოკლაჰომას ოლქის მოსამართლის გადაწყვეტილებაში.**

1975 წელს **საიმონსს** და მის სავარაუდო თანამზრახველს **დონ რობერტსს** მკვლელობის ბრალდებით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. სასამართლო პროცესზე **საიმონსი** ამტკიცებდა, რომ მკვლელობის დროს ის სხვა შტატში იმყოფებოდა. 1977 წელს **საიმონსს** სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს, ხოლო **რობერტსმა** 2008 წელს პირობით ვადამდე გათავისუფლების ფორმით დატოვა საპატიმრო.

ოკლაჰომას რაიონულმა მოსამართლემ **ემი პალუმბომ** საიმონსის ახალი სასამართლო პროცესი 2023 წლის ზაფხულში დანიშნა — მას შემდეგ, რაც პროკურორებმა განაცხადეს, რომ თავის დროზე ბრალდებამ მნიშვნელოვანი მტკიცებულებები დამალა! თურმე, მათ შორის იყო პოლიციელთა პატაკი და მოწმეთა ჩვენებები, რაც სულ სხვა ეჭვმიტანილებზე მიუთითებდა. ამის შემდეგ საიმონსი სასამართლო დარბაზშივე გაათავისუფლეს. ყოფილი პატიმარი ახლა შემოწირულობებით ცხოვრობს და კიბოს მკურნალობს, რაც ციხეში ყოფნისას დაემართა.

— „უდანაშაულოდ აღიარების დადგენილება მას საფუძველს აძლევს, 175 ათას დოლარამდე კომპენსაცია მიიღოს, ამასთან, უჩივლოს ოკლაჰომა სიტისა და ქალაქის სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ ამას რამდენიმე წელი დასჭირდება“ — **მიაჩნია საიმონსის ადვოკატს ჯო ნორვუდს.**

## გვიჩიანის საქმე

ქართულ სინამდვილეში საიმონსის მსგავსი მელანქოლიური ისტორია უკავშირდება **გია გვიჩიანს და ნიკოლოზ ჩემიას,** რომელთაც „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის **ნიკა ლომინაძის** მკვლელობის საქმეზე 2006 წლის 15 აგვისტოს უვადო პატიმრობა მიესაჯათ, თუმცა, შემდგომში უმაღლესი სასჯელი 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს.

**2017 წლის 20 თებერვალს გვიჩიანი და ჩემია სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ ბრალდებაში სრულიად გაამართლა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. ციხეში მათ სრულიად უსამართლოდ თითქმის 11 წლის გატარება მოუწიათ.** საიმონსის ვადას ეს ვერ შეედრება, თუმცა, ცოტა ნამდვილად არ არის!

## დოკვაძის საქმე

თუ სამართლიანობის აღდგენის პროცესი დროულად არ წამოეწყო, ციხეში გატარებული წლების მიხედვით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს **ნელსონ მანდელას** (რომელმაც 27 წელი დაყო პატიმრობაში) უთუოდ გაუსწრებს **„მარადიულ პოლიტპატიმრად“ წოდებული ირაკლი დოკვაძე,** რომელიც ახალ წელს ციხეში უკვე 25-ედ შეხვდა!

— „შევარდნაძის რეჟიმის ცნობილი პოლიტპატიმარი სააკაშვილის რეჟიმმაც დააპატიმრა, ამჯერად განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით და მას არნახულად მძიმე სასჯელი — **37 წლით პატიმრობა განუსაზღვრა, რაც შემდეგ 30 წლამდე დაიყვანა. ირაკლი დოკვაძის** ბრალდების საქმეში არ არსებობს არცერთი მტკიცებულება მის წინააღმდეგ, ასევე დაუდგენელია დანაშაულის მოტივი. მეტიც, საქმეში არსებობს დაზარალებულის ოჯახის წევრების ფრიად მნიშვნელოვანი ჩვენებები თვით **დოკვაძის** სასარგებლოდ, რასაც საერთოდ არ ითვალისწინებს გამოძიება. სასამართლო ყოფილ პოლიტპატიმარს და უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 9 მოსამართლის 2024 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით, რეაბილიტირებულის სტატუსის მქონე პირს თვლის ნასამართლევ პირად, რაც სრული ნონსენსია და შეუსაბამოა ზოგადად სამართლის პრინციპებთან; აძლევს შეფასებას, როგორც დანაშაულის რეციდივს, რაც უშუალოდ ახდენს გავლენას განაჩენით განსაზღვრული ქმედების კვალიფიკაციასა და სასჯელის ზომაზე! **ფაქტობრივად, ირაკლი დოკვაძე დღეს სასჯელს იხდის 1995 წლის „სამხედრო საბჭოს“ გადაწყვეტილების საფუძველზე, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა და შესაბამისი შეფასება არ მისცა მის მიმართ პარადოქსულად წარმოშობილ „ნასამართლობის“ საკითხს.**

**ირაკლი დოკვაძეს** რომც ჩაედინა ის დანაშაული, რომელსაც ამჟამად ედავება მართლმსაჯულება, სასჯელის ამოწურვის შედეგად უკვე **2018 წელს უნდა გათავისუფლებულიყო** სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან! არადა, სწორედ ამ ნასამართლობის გამო არ შეეხო ამნისტიის მე-7 მუხლი, რაც ითვალისწინებდა სასჯელის განახევრებას!

**ირაკლი დოკვაძის** სამართლებრივი მდგომარეობა მოქცეულია არა კანონის, არამედ კანონის ხარვეზების ფარგლებში და სახელმწიფო არ გამოხატავს ნებას, აღნიშნული ხარვეზების შესწორებით თუ გონივრული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით შეწყვიტოს ეს ეპოქალური უსამართლობა!“ — **განაცხადა ჩვენთან საუბარში ირაკლი დოკვაძის ადვოკატმა თამთა გუზალაძემ.**

## შარაშენიძის საქმე

**თეიმურაზ (ბაჩო) შარაშენიძე** უკვე 19 წელია, იმყოფება უკანონო პატიმრობაში. 2013 წლიდან დაწყებული ახალი გამოძიების ფარგლებში დადასტურებულია, რომ მას არავითარი შეხება არ ჰქონია 2003 წელს განხორციელებულ **ზურაბ ზუბადალაშვილის** მკვლელობასთან, რის გამოც მას 2009 წელს შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

— „2004 წლიდან პატიმრობაში ვიმყოფები. სააკაშვილის რეჟიმმა სამუდამო პატიმრობა სრულიად უდანაშაულოს მომისაჯა. ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ყოველდღე სამართლიანობის აღდგენას ველოდები. 2016 წელს ჩემს საქმეში ახლად აღმოჩენილი გარემოებებიდან გამომდინარე, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს მივმართე. პროკურატურას 2 წელი დასჭირდა ჩემი საქმის თავიდან გამოსაძიებლად, 2018 წლის ივლისში, დადგინდა, რომ სასჯელს 14 წლის განმავლობაში არჩადენილი დანაშაულის გამო ვიხდი! ახალი ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგად გაირკვა, რომ მოკლული ზუბადალაშვილის სხეულში აღმოჩენილი ტყვიები შეუძლებელია, იყოს გასროლილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან, რასაც ამტკიცებდა აქამდე ჩემ მიმართ დადგენილი ყველა გამამტყუნებელი განაჩენი. მეგონა, ამის შემდეგ მაინც დააჩქარებდნენ მოვლენებს და უკვე გამოძიებულ საქმეს დროულად გადასცემდნენ სასამართლოს, თუმცა, იმედი აქაც გამიცრუვდა. ჩემმა სიცოცხლემ ამის მერე ფასი დაკარგა. სამართლიანობის აღდგენას ათასობით ადამიანი ელოდება — ზოგი გამართლებას ითხოვს, ზოგი — ქონების დაბრუნებას, ზოგი — მოძალადეთა დასჯას, ზოგიც — კომპენსაციას. მე ყველასგან განსხვავებულ მდგომარეობაში ვიმყოფები — სამუდამო პატიმრობა მაქვს მოსჯილი და, პირველ რიგში, არათუ ციხიდან თავის დასაღწევად, არამედ მკვლელის იარლიყის მოსაშორებლად ვიბრძვი. სიმართლის დასამტკიცებლად დრო ისედაც ძალიან ცოტა მრჩება, რადგან ჩემს სხეულს კიბოს აგრესიული ფორმა — კარცენომა ხრავს!“ — **გვითხრა ციხიდან სატელეფონო საუბარში თემურ (ბაჩო) შარაშენიძემ.**

## არუთინიანის საქმე

იგი 27 წლის იყო, როცა დაიჭირეს. ახლა 45 წლისაა და მე-18 წელია, საკანში მარტოდმარტო ზის.

2005 წლის მაისში საქართველოში აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში** ჩამოვიდა. მის წინააღმდეგ ტერაქტის მცდელობის ბრალდებით **ვოვა არუთინიანს** სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, თუმცა, მრავალთა აზრით, იგი უდანაშაულოა და სააკაშვილის რეჟიმმა ბუშის წინაშე თავის მოსაწონებლად გამოიყენა. არუთინიანის საქმეში იმდენი ბუნდოვანებაა, სრულიად საკმარისია, საზოგადოებამ ამ საქმის თავიდან გამოძიება მოითხოვოს. **ვოვა არუთინიანის** უდანაშაულობაზე მეტყველებს, რომ ამერიკის პერიოდულ პრესაში ერთი სიტყვითაც არსად გაჟღერებულა, თითქოს საქართველოში სტუმრობისას მათი პრეზიდენტის ლიკვიდაციის მცდელობას ჰქონდა ადგილი. ყველა ნიშნის მიხედვით, **ვოვა არუთინიანი** დღემდე რჩება საქართველოში ამერიკული იმპერიალიზმის ტყვედ და სინდისის პატიმრად!

— „ვოვას ჩემ გარდა არავინ ჰყავს... უკვე მე-18 წელია, ციხეში ზის. წლებია, შვილს არ შევხებივარ. პაემნის დროსაც კი შუშის ბარიერი გვყოფს ერთმანეთისგან... მეც ცოდვა ვარ და ისიც! აკმარონ, რაც ციხეში იტანჯა! გაითვალისწინეთ — ეს 18 წელი სამარტოო საკანში გაატარა ისე, რომ დამლაპარაკებელიც არავინ ჰყოლია! მთელმა საქართველომ იცოდეს, რომ ჩემი შვილი უდანაშაულოა! **ჯორჯ ბუშის** წინააღმდეგ






გია გვიჩიანი, ირაკლი დოკვაძე, თეიმურაზ (ბაჩო) შარაშენიძე, ვლადიმერ (ვოვა) არუთინიანი



არანაირი ტერაქტი ბუნებაში არ ყოფილა! ბუში ხომ ცოცხალია?! უფრო მეტიც — ისე გაემგზავრა საქართველოდან, არც კი შეუტყვია, თითქოს ვინმე ლიკვიდაციას უპირებდა!

უკვე დაბეჯითებით გეუბნებით — მისთვის ყუმბარა არავის უსვრია, ხოლო ტერაქტის შესახებ მითი სააკაშვილის სპეცსამსახურებმა შეთხზეს! ჯერ ლამის გმირად შერაცხეს, ვინც ის ყუმბარა გაიტანა; მერე აღმოჩნდა, თურმე, სასწავლო ყუმბარა ყოფილა და მაინც ვერ აფეთქდებოდა. მეორე საკითხია, რომ ყუმბარა ვოვას არ უსვრია და, ზოგადად, არანაირი მტკიცებულება, არანაირი ვიდეოკადრები არ არსებობს, რომ საერთოდ ვინმემ ისროლა. ამერიკული დაზვერვის ფარული კამერები საგულდაგულოდ აკონტროლებდნენ სიტუაციას და ექნებათ დაფიქსირებული როგორც ვოვა, ასევე ის პირი, ვინც ცხვირსახოცში გახვეული ყუმბარა ბუშის მახლობლად დადო!

— ვინმეს სჯერა, რომ იმდენ ხალხში და სპეცსამსახურებში ვოვამ შეუმჩნევლად შეძლო ყუმბარის სროლა და შემდეგ იქაურობის მშვიდად დატოვება? ამასაც რომ თავი დავანებოთ, განა რანაირად შეძლებდა ყუმბარით შეიარაღებული ბუშამდე მიღწევას, როცა მარტო ქართული კი არა, ამერიკული სპეცსამსახურებიც საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ ღონისძიებაზე დასასწრებად მისულ ყველა სულიერს? გაითვალისწინეთ — ვოვა ამ ამბებიდან 3 თვის შემდეგ დაიჭირეს! სახლთან დახვდნენ. შეეშინდა დამხდურების, გაიქცა და სროლით დაედევნენ. სახლის მახლობლად დაჭრეს და საკაცით წაიყვანეს. არათუ იმ დღეს, ვოვას არც არასოდეს ჰქონია იარაღი, არც იარაღთან ურთიერთობის მიდრეკილება ჰქონია, დაღუპულ პოლიციელს კი ტყვია უკნიდან ჰქონდა ნასროლი. ის სარდაფი, სადაც ვოვას იარაღები „იპოვეს“, სინამდვილეში მურაბების სათავსო იყო. გასაღები გამომართვეს, მერე ჩემი თვალით ვნახე და სხვებმაც იხილეს, საბარგო ავტომობილებით როგორ მოიტანეს რაღაც კალათები და იმ სათავსოში შეზიდეს!“ — **გვითხრა ვოვა არუთინიანის დედამ, ქალბატონმა ანუელა არუთინოვამ.**

ქართულ ციხეში ამჟამად რვა ათეულზე მეტი სამუდამო პატიმარი იტანჯება, რომელთაგან რამდენიმე სრულიად უდანაშაულოა, ხოლო მრავალი მათგანი გაზვიადებული ბრალდებით იხდის უვადო პატიმრობის საზარელ სასჯელს, **რასთან შედარებითაც, სიკვდილით დასჯა — გაცილებით ჰუმანური ზომა იქნებოდა!**

2 ადამიანის მკვლელობის ბრალდებით უკვე 18 წელია, უვადო პატიმრობის სასჯელს იხდის **ნიაზ ჩხვიმიანი,** რომელიც დღემდე ირწმუნება, რომ სრულიად უდანაშაულოა და მყარი ალიბი გააჩნია. ამბობს, რომ აღიარებითი ცრუ ჩვენება წამების გზითაც ვერ გამოსძალეს. პატიმრობის პერიოდში ის მონაწილეობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტში. ოჯახიც კი შექმნა და ჰყავს შვილი. **რამდენიმე წლის წინ ნიაზ ჩხვიმიანმა სასამართლოს თხოვნით მიმართა, სამაჯურით გაეშვათ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, მაგრამ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა იმ არგუმენტით, რომ ჩხვიმიანს არ მოუნანიებია დანაშაული და პატიმრობაში დატოვა...**

## P.S.

შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმების სასამართლოები სამართლიანობით რომ არ გამოირჩეოდნენ, ყველასთვის ცნობილია. სამართალი არც ამჟამად ზეიმობს, ვინაიდან უსასტიკესი დანაშაულების ჩამდენმა სააკაშვილის რეჟიმის ლიდერებმა კანონიერი სასჯელები თავიდან აირიდეს, ხოლო მათი ნაწილი მსუბუქი სასჯელებით აღმოჩნდა ციხეში და ზოგი უკვე გათავისუფლდა კიდეც! ღიმილისმომგვრელი ვადით ციხეში ზის თვით რეჟიმის შემქმნელი **მიხეილ სააკაშვილი,** რომლის სახელსაც ასეულათასობით ადამიანის რეპრესია და ათასობით ადამიანის სიკვდილი უკავშირდება!

ამ ფონზე **კარგი იქნება, თუ სახელმწიფოს უვადოდ მსჯავრდებული ადამიანები გაახსენდება, მათ მიმართ სასჯელის შემსუბუქებაზე დაფიქრდება, ხოლო რამდენიმე მათგანს, რომელთა უდანაშაულობა საზოგადოებისთვისაც აშკარაა, დაუყოვნებლივ გაუღებს ციხის მძიმე კარს და გაათავისუფლებს!**

ადამიანი ერთხელ იბადება და არავის აქვს უფლება, ის ერთადერთი სიცოცხლე სრულიად უსამართლოდ ჯურღმულში გაატარებინოს!

***ზაზა დავითაია***



***გლდანის ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი მამა ბასილი (მკალავიშვილი) ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და გულისტკივილით შენიშნავს:***



# მამა ბასილი (მკალავიშვილი):

# ბატონო ბიძინა, სამშობლოს მოღალატე და გარყვნილ სააკაშვილზე ლაპარაკი დაასრულეთ!

— ბოლოდროინდელი მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის კვალდაკვალ ისეთი აღტყინება, სიხარული და ზეიმია ჩვენს ქვეყანაში, ალბათ, უმრავლესობამ წარმოიდგინა, რომ საქართველო ისტორიულ საზღვრებში აღდგა და ოკუპირებული ტერიტორიები დაიბრუნა. არადა, განა საზეიმოდ გვაქვს საქმე? ქვეყანა გახლეჩილი, დანაწევრებული და დაშლილია. არანახულ მასშტაბს მიაღწია შურმა, ბოღმამ, სიძულვილმა და ურთიერთგანკითხვამ. საკანონმდებლო ორგანო — პარლამენტი, საჭიდაო არენას ჰგავს. შინაური მტრები არ ინდობენ საკუთარ ქვეყანას და ყოველ ღონეს ხმარობენ მის დასანგრევად. **ყოველივე ამის ავტორი და ბელადი უკვე მერამდენე წელია, ფუფუნებაში ატარებს პატიმრობის დღეებს და კლინიკა „ვივამედში“ წამოწოლილი...** დაიღალა საზოგადოება... ჩვენი „პატრიოტი“ თანამემამულენი შესაშური აღფრთოვანებით აცხადებენ: ჩვენ უნდა დავბრუნდეთ შინ, ევროპაშიო! რომელ „შინ“-ზეა საუბარი? ჩვენი „შინ“ ევროპა კი არა, წინაპართა სისხლით გაპოხილი საქართველოა თავისი დიადი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. **რა უნდა მოგვცეს ევროპამ, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია?**

ხელისუფლება, რომელიც აცხადებს, რომ თავის ხალხს უსმენს, ნუთუ საქართველოს მოსახლეობას აღარ ეკითხება, სურს თუ არა სოდომისტთა კავშირში თავისი წარსულისა და მომავლის სამარცხვინოდ დასრულება!

**— მამაო, რას ითხოვთ?**

— სანამ გვიან არ არის, მოვითხოვთ, ჩატარდეს საერთო-სახალხო რეფერენდუმი და ხალხმა გადაწყვიტოს, რა გვსურს! **ჩვენ არ გვინდა ისეთი ევროპა, რომელიც გვაიძულებს ერთნაირსქესიანთა „ქორწინების“ დაკანონებას. ჩვენ არ დავუშვებთ, სკოლებში ჩაინერგოს უზნეო ჩვევები, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის „აი იას“ შეცვლის; არ დავუშვებთ „ლგბტ“-თა უზნეო გამოსვლების დემონსტრირებას, რათა წაგვიბილწონ 9 აპრილის წმიდათაწმიდა სავანე, სადაც უმანკოთა სისხლი დაიღვარა.** თუ დემოკრატიას ვაშენებთ, ნებისმიერს აქვს უფლება, საკუთარი პოზიცია გამოხატოს. გაუწონასწორებელი, ნაგიჟარი სააკაშვილი თავისი არაადეკვატური ქცევების მიუხედავად, ფუფუნებაში გყავთ და ამ დროს სამი შვილის მამა **ლაშა შარუხია,** რომელმაც „ცისფერთა“ დროშა დაწვა, ამისთვის უნდა დაისაჯოს? **მოვითხოვთ ხელისუფლებისგან: პირველ რიგში, გაათავისუფლეთ 5 ივლისს დაკავებული მართლმადიდებელნი და ლაშა შარუხია.** ნუ გამოცდით ხალხის მოთმინებას! აქვე ლეგენდარულ ნანი ბრეგვაძესაც მივმართავ: **ქალბატონო ნანი, ამ სიბერის ჟამს რა გეპრაიდებათ?** გირჩევთ, სინანულით, ლოცვით, ვედრებით სულის გადარჩენისთვის იბრძოლოთ, რადგან ყველანი ცოდვის შვილები ვართ!



**— საინტერესოა, რას იტყვით პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებაზე!**

— ბატონი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან არ წასულა და აქედან გამომდინარე, ვერც დაბრუნდებოდა! ის სულ პოლიტიკაშია... აქედან გამომდინარე, მის გამოჩენას მივესალმები და მოვუწოდებ: **ბატონო ბიძინა, სამშობლოს მოღალატე და გარყვნილ სააკაშვილზე ლაპარაკი დაასრულეთ!**

**— ის ხუთწლიანი ვადა, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა და საქართველოს პარლამენტმა პროკურატურას საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად დამატებით განუსაზღვრეს, უკვე ამოიწურა. პროკურატურას ამ ხნის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია და ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ოფიციალურად ისევ გაუხსნელია, ეს რას ნიშნავს?**

— სამწუხაროდ, ჩემმა მრავალრიცხოვანმა მრევლმაც კი ლომის წილი დაიდო სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებაში, რომელიც ქვეყანას ჯერ კიდევ ცხონებული ზვიადის პერიოდიდან მტრობს... ისიც ცხადია, სანამ ზვიად გამსახურდიასა და გურამ შარაძის მკვლელობებს არ გამოიძიებენ, საქართველო წინ ვერ წავა. აქვე ვაფრთხილებ მოღალატე ზურაბიშვილს, **გულშიც კი არ გაივლოს ნაგიჟარი სააკაშვილის შეწყალება და თუ ეს მოხდება, იგი მოიკვეთება ერისაგან ანათემით და ვერსად პოვებს მოსვენებას, თვით მშობლიურ საფრანგეთშიც კი!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



# „ქალბატონო ნანი, ამ სიბერის ჟამს რა გეპრაიდებათ?“

# კახა საბახტარიშვილი:

# ყველა ადამიანმა, რომელსაც ინსულტი ემუქრება, ჯიბით გლიცინი უნდა ატაროს!

***ინსულტისკენ მიდრეკილი და ინსულტგადატანილი პაციენტების მოვლა-პატრონობა და მკურნალობა საგანგებო ცოდნას მოითხოვს. ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი რამდენიმე საყურადღებო მეთოდს გვთავაზობს, რომელიც ინსულტის პრევენციისა და პოსტინსულტური პერიოდის სწორად მართვის მიზნით განსაკუთრებით ეფექტურია:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი, **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა: **„გულის ელექსირი ფორტე“, „იმუნო ჰერბი ფორტე“** და სხვებმა, რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34**

— ინსულტის ნიშნების შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, როცა ინსულტი სახეზეა და ავადმყოფს გადაუდებელი დახმარება სჭირდება. გვახსოვდეს, რომ ასეთ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ მოვიქცევით და რა დახმარებას გავუწევთ პაციენტს პირველივე წუთებში, სანამ ექიმი მოვა.

**უპირველეს ყოვლისა, ინსულტიანი პაციენტი უნდა წამოვაწვინოთ და მოძრაობის საშუალება არ მივცეთ.** ნებისმიერმა მოძრაობამ ან ფიზიკურმა აქტივობამ შესაძლოა, თრომბის სხვა უფრო საშიშ ადგილებში გადანაცვლება გამოიწვიოს, რაც სასიკვდილო საფრთხის შემცველია. ავადმყოფს უნდა გავუზომოთ წნევა და თუ 180 ან 200 ერთეულს აჭარბებს, რთული დილემის წინაშე ვდგებით — **თუ ამ დროს ავადმყოფს წნევის სწრაფად დამწევ პრეპარატს მივცემთ, 10-15 წუთში წნევა შესაძლოა, მართლაც დავარეგულიროთ, მაგრამ პარალელურად ტვინი უცბად დაკარგავს იმ ჟანგბადს, რომელსაც სისხლი აწვდის, რადგან წნევის დაწევის შედეგად, ტვინს ნაკლები რაოდენობის სისხლი მიეწოდება.** ეს ყველაფერი კი ავადმყოფის მდგომარეობას დაამძიმებს. მეორე მხრივ, თუ ექიმის მოსვლამდე არაფერს მოვიმოქმედებთ და ინსულტიანი პაციენტის მაღალ წნევას არ შევებრძოლებით, კიდევ ერთ უკიდურესობას მივიღებთ! კერძოდ, მაღალი წნევის გამო ტვინის სისხლძარღვები შესაძლოა, გასკდეს, ტვინში სისხლი ჩაიქცეს და განვითარდეს ინსულტის ყველაზე უფრო მძიმე ფორმა — **ჰემორაგიული,** ანუ ტვინში სისხლჩაქცევით მიმდინარე ინსულტი. ასეთი ინსულტი არცთუ იშვიათად სიკვდილით მთავრდება...

**— თქვენ მიერ აღწერილი ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალი არ არსებობს?**

— დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგა ნევროპათოლოგების 90 პროცენტს არაფერი სმენია იმ უნიკალური მეთოდის შესახებ, რომელიც კორეულ და ჩინურ მედიცინაში საუკუნეებია, გამოიყენება. ჩინური მედიცინის თანახმად, ადამიანის ყური ძალიან ჰგავს ადამიანის ემბრიონს. ემბრიონის თავი შეესაბამება ყურის ბიბილოს ნაწილს. **როდესაც ინსულტიან პაციენტს ძალიან მაღალი წნევა უფიქსირდება და ტვინში სისხლჩაქცევის საშიშროება დიდია, ავადმყოფს ყურის ბიბილოები უნდა დავუზილოთ, გაწითლებამდე დავუსრისოთ და შემდეგ ორივე ბიბილოზე სტერილური ნემსი ვუჩხვლიტოთ ისე, რომ ორი-სამი წვეთი სისხლი წამოვიდეს.** პარალელურად უნდა მივმართოთ კორეულ მედიცინას, კერძოდ სუ-ჯოკ თერაპიას. სუ-ჯოკ თერაპიის მიხედვით, ადამიანის ცერა თითი, კონკრეტულად მისი ბალიში შეესატყვისება თავს. **თუ ცერა თითის ბალიშზე შესაბამისად ვიმოქმედებთ, მაშინ თავის ტვინში მიმდინარე პროცესებზეც მოვახდენთ გავლენას.** კერძოდ,

## ინსულტის საფრთხის დროს, ან მაშინ, როცა ინსულტი სახეზეა, ყურის ბიბილოების მსგავსად, ორივე ცერა თითის ბალიშები ნემსით დავჩხვლიტოთ და ხელი შევუწყოთ სისხლის გამოშვებას.

დავინახავთ, რომ **ჯერ გამოვა სქელი, შავი ფერის სისხლი, ხოლო შემდეგ ის ნელნელა გაღიავდება და გათხელდება. ამ მეთოდით, ყოველგვარი ქიმიური პრეპარატების გარეშე, წნევა, რომელიც შესაძლოა, 200 ან მეტი ერთეულიც იყო, ნელნელა დაბლა ჩამოვა და ბუნებრივად დადგება იმ დონეზე, რომელიც მოცემულ მომენტში ორგანიზმისთვის აუცილებელი და ოპტიმალურია.** ყოველივე ამის შედეგად პაციენტის მდგომარეობა ჩვენ თვალწინ გაუმჯობესდება.

**— სხვა თითების ბალიშებიც რომ დავჩხვლიტოთ, მაშინ რა მოხდება?**

— ასეთ შემთხვევაში ეფექტი უფრო თვალსაჩინო გახდება... ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ინსულტის რისკის ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის ასეთი რჩევა მიმიცია და მათი სიცოცხლისთვის დიდი საფრთხე აცილებულა... **საერთოდ, ყველა ადამიანმა, რომელსაც ინსულტი ემუქრება, ჯიბით გლიცინი უნდა ატაროს!** ადრეც ვახსენეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ ინსულტის დროს ნიტროგლიცერინის გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია.




რაც შეეხება **გლიცინს, ინსულტის ნიშნებისთანავე პაციენტმა 10 აბი გლიცინი ენის ქვეშ უნდა ამოიდოს და გაწუწნოს.**

ჰომეოპათიურ მედიცინაში არსებობს უნიკალური პრეპარატი — „არნიკა მონტანა“, რომელიც მცენარე **არნიკასაგან** მზადდება. „არნიკა მონტანა“ ნებისმიერი ტრავმის დროს უნიკალური და შეუცვლელი პრეპარატია. ბევრს აღუნიშნავს, რომ, როდესაც ინსულტის ნიშნები ჰქონდათ, ყოველ ხუთ წუთში ღებულობდნენ ჩვენ მიერ შექმნილ ჰომეოპათიურ პრეპარატ **„გულის ელექსირ ფორტეს“,** რის შედეგადაც მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ეს იმით აიხსნება, რომ **„გულის ელექსირის“** ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი სწორედ **არნიკა** გახლავთ.

„არნიკა მონტანას“ იმ პაციენტებსაც კი ვუნიშნავ, რომლებმაც ინსულტი წლების წინათ გადაიტანეს. ეს ჰომეოპათიური პრეპარატი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას და ჟანგბადის მიწოდებას მკვეთრად აუმჯობესებს.

**— პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ როგორ უნდა წარიმართოს და გაგრძელდეს ინსულტიანი პაციენტის მკურნალობა?**

— ინსულტიან პაციენტებს ჩვენი ექიმები შესანიშნავად მკურნალობენ შესაბამისი პროტოკოლის მიხედვით. ამდენად, ამ თემაზე არ ვისაუბრებ, მაგრამ იმის შესახებ კი ნამდვილად მოგახსენებთ, თუ როგორ უნდა მოხდეს ინსულტიანი პაციენტის რეაბილიტაცია და რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა ინსულტი არ განვითარდეს.

ინსულტის დროს თავის ტვინის უჯრედები განიცდიან ჟანგბადით შიმშილს, ანუ ჰიპოქსიას. როდესაც ჟანგბადი მცირეა, მაშინ თავის ტვინის ნერვული უჯრედები, ანუ ნეირონები კვდება. საერთოდ, ტვინის მასა ადამიანის წონის მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენს, მაგრამ მას ორგანიზმისთვის საჭირო ჟანგბადის 20 პროცენტი სჭირდება. ინსულტიანი ან ინსულტგადატანილი პაციენტებისთვის ძალზე ეფექტურია ე.წ. **ჰიპერბარიული ოქსიგენაციის** მეთოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ პაციენტს ათავსებენ სპეციალურ ბაროკამერაში, რომელშიც გარკვეული წნევის ქვეშ 99,5 პროცენტი ჟანგბადია. ეს ჟანგბადი ხვდება ფილტვებში, ხოლო ფილტვებიდან სისხლის მიმოქცევის საშუალებით მიეწოდება თავის ტვინს. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად ინსულტიანი პაციენტების ტვინის უჯრედები, რომლებიც ჟანგბადის შიმშილს განიცდიდნენ, უხვად ღებულობენ მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ჟანგბადს და უკეთ იწყებენ ფუნქციონირებას. ეს ყველაფერი ავადმყოფის რეაბილიტაციის პროცესს მნიშვნელოვანდ აჩქარებს.

ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ E ვიტამინის ერთი სახეობა, საკვები დანამატი, რომელსაც **თოკოტრიენოლი** ეწოდება, ინსულტის დროს დაზიანებული ნერვული უჯრედების მემბრანებს ნეიროდეგენერაციისგან იცავს და ნერვული უჯრედების კვდომას ხელს უშლის. ამ საკვები დანამატის უპირატესობა ისიცაა, რომ როგორც გულის კუნთში, ისე თავის ტვინში ჟანგბადის მიწოდებას მკვეთრად აუმჯობესებს. სხვათაშორის, E ვიტამინის ამ სახეობას ხშირად იყენებენ ალპინისტები, რადგან მწვერვალებზე, მაღალ მთაში ჰაერი ყოველთვის გაიშვიათებულია და ჟანგბადის ნაკლებობაა. თოკოტრიენოლი ნიტროგლიცერინის ნატურალური ანალოგია...

**— მსმენია, რომ ინსულტიან ან ინსულტმიდრეკლ პაციენტებს ძალიან რგებთ „ომეგა-3“...**

— **„ომეგა-3“ ცხიმოვანი**

## „თუ გვინდა, რომ თრომბი არ წარმოიქმნას, ორგანიზმში სისხლძარღვთა ანთების ყველა კერა უნდა მოვსპოთ!“



**ყველა ადამიანმა, რომელსაც ინსულტი ემუქრება ან ინსულტი გადაიტანა, დღეში ერთხელ აუცილებლად უნდა დალიოს ნივრისა და ზეითუნის ზეთის შემცველი წყალი, რომლის რეცეპტურასაც აქვე გთავაზობთ:** *ერთი კბილი ნიორი დავსრისოთ და ასე გავაჩეროთ 10-15 წუთის განმავლობაში. ამ პროცედურის შედეგად ნიორში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები მაქსიმალურად გამოთავისუფლდება. გაჭყლეტილი ნიორი 10 წუთის შემდეგ შევურიოთ 250 გრამ წყალს, ხოლო ნივრის წყალხსნარში ჩავამატოთ ერთი ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი. მიღებული მასა დავაყოვნოთ 20 წუთის განმავლობაში და შემდეგ უზმოზე დავლიოთ.*



## „ყველა ადამიანმა, რომელსაც ინსულტი ემუქრება ან ინსულტი გადაიტანა, დღეში ერთხელ აუცილებლად უნდა დალიოს ნივრისა და ზეითუნის ზეთის შემცველი წყალი!“

ზეითუნის ზეთი ნიორში შემავალ ცხიმში ხსნად ვიტამინებს უფრო ადვილად ასათვისებელს ხდის... შეიძლება ითქვას, რომ ეს შესანიშნავი კოქტეილია, რომელიც „ომეგა-3“-საც შეიცავს.

**— ინსულტიანმა და ინსულტისკენ მიდრეკილმა პაციენტებმა კიდევ რა საშუალებებს უნდა მიმართონ, რათა საფრთხე თავიდან აიცილონ?**

— ასეთმა პაციენტებმა აუცილებლად უნდა მიიღონ C და D ვიტამინი... D ვიტამინი ანთების საწინააღმდეგო ძლიერმოქმედი საშუალებაა. რაც შეეხება C ვიტამინს, ის სიხლძარღვების კედლებს ამაგრებს. თუმცა, უნდა ვიცოდეთ, რომ იმას, რაც C ვიტამინის სახით აფთიაქში იყიდება, ნამდვილ C ვიტამინთან არავითარი კავშირი არა აქვს! სააფთიაქო C ვიტამინი უმეტესწილად ასკორბინის მჟავაა და სხვა არაფერი, ხოლო ნატურალური C ვიტამინი დიდი რაოდენობით გვხვდება ლიმონსა და წიწაკაში.

**მჟავაა, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ყველა ცხიმიანი თევზი, ზეითუნის ზეთი და განსაკუთრებით ვირთევზას ღვიძლი.** „ომეგა-3“-ს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს.

### თრომბის წარმოქმნა და ინსულტისა და ინფარქტის განვითარება ყოველთვის იქ ხდება, სადაც სისხლძარღვების ანთებაა.

როდესაც ანთების შედეგად სისხლძარღვები ზიანდება, ორგანიზმი ცდილობს, ანთებით დაზიანებული უბანი დაფაროს ერთგვარი პლასტირით, რომელიც ქოლესტერინის, კალციუმისა და ზოგიერთი სახის ცილისგან შედგება. ერთი მხრივ, ეს თითქოსდა კარგია, რადგან დაზიანებული უბანი იფარება, მაგრამ რითიც იფარება, ის სხვა არაფერია, თუ არა თრომბი, რომელიც ინსულტის ან ინფარქტის გამომწვევია. ამიტომ, თუ გვინდა, რომ თრომბი არ წარმოიქმნას, ორგანიზმში სისხლძარღვთა ანთების ყველა კერა უნდა მოვსპოთ! **სისხლძარღვთა ანთება კი ვითარდება მაშინ, როცა ადამიანს E ვიტამინი აკლია!** ანთების საწინააღმდეგოა „ომეგა-3“-იც, მაგრამ ბევრი ისეთი პაციენტი შემხვედრია, რომელიც წლებია, „ომეგა-3“-ს საკვები დანამატის ან პროდუქტების სახით ღებულობს, მაგრამ შესამჩნევ შედეგებს ვერ აღწევს. ამის მიზეზი ის არის, რომ ასეთ ადამიანებს E ვიტამინის დეფიციტი აქვთ. „ომეგა-3“ E ვიტამინის გარეშე არ „მუშაობს“! ამიტომ თუ გვინდა, რომ „ომეგა-3“ შეგვერგოს, ორგანიზმს E ვიტამინი არ უნდა მოვაკლოთ.

**— E ვიტამინს რომელი პროდუქტები შეიცავს?**

— E ვიტამინს შეიცავს **ზეითუნის ზეთი, გაღივებული ხორბალი, ხორბლის ჩენჩო** და სხვა პროდუქტები, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ზემოხსენებულ საკვებ პროდუქტში E ვიტამინი ძალზე მცირე რაოდენობითაა... გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ პროდუქტების დამუშავების შედეგად E ვიტამინი თავის თვისებებს კარგავს. ამიტომაა, რომ თითქმის ყველა ადამიანი E ვიტამინის დეფიციტს განიცდის. აქედან გამომდინარე, E ვიტამინის საკვები დანამატის სახით მიღება აუცილებელია.

ინსულტის დროს ორგანიზმში **თრომბოქსანის** დონე მაღლა იწევს. თრომბოქსანი ის ნივთიერებაა, რომელიც **თრომბოციტების** შეწებებასა და თრომბის წარმოქმნას განაპირობებს, ხოლო თრომბი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინსულტის ძირითადი გამომწვევია. იმისათვის, რომ ინსულტი არ განვითარდეს და თრომბი არ წარმოიქმნას, იმ ადამიანებმა, რომლებიც ინსულტისკენ არიან მიდრეკილი ან ინსულტი გადაიტანეს, აუცილებლად უნდა მიიღონ ისეთი ნივთიერებები, რომლებიც თრომბოქსანის წარმოქმნას ხელს უშლიან! ასეთი ნივთიერებებია **ასპირინი კარდიომაგნილის სახით, ზეითუნის ზეთი და ნიორი.**

საერთოდ, ნიორი უნიკალური პროდუქტია, რომელიც ხელს უშლის სისხლძარღვების შევიწროებას, ამცირებს დაბალი სიმკვრივის, ანუ „ცუდი ქოლესტერინის“ რაოდენობას, ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას, სისხლძარღვებს აცილებს ზედმეტ კალციუმს და უზრუნველყოფს სისხლძარღვების ელასტიკურობის შენარჩუნებას.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „ომეგა-3“ E ვიტამინის გარეშე არ „მუშაობს“!


ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 57-ე წელია,
მცხეთის სალობიეში
გეპატიჟებათ!






მაღაზია «ბუკვინცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.



თამარისი Tamarisi
დაინახე:






ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics



იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო:
032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა:
032 223-85-80





საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა





GIDMEDI
GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

***„იხარებდით მართალნი, მხიარულ იყვენით ცანი, იმღერდით მთანი, მეუფე იშვა, ქრისტე, ქალაქსა დავითისსა, ბეთლემს ჰურიასტანისასა“***

***(უძველესი იადგარი)***



# ყველა და ყველაფერი უძლურია იქ, სადაც უფალი თავის ძალას ავლენს!

მოვედით ერნო, რათა მადლიერებით მოვიხსენოთ ადამიდან დღემდე ყველა, ვინც სათნო ეყო ღმერთს, — წმინდა მამანი და დედანი, ის ოჯახები, რომელთა მემკვიდრეობაშიც ინება უფალმა განხორციელება, მოვიხსენოთ წმინდანები, რომელთაც წინასწარ გვიქადაგეს ღვთის სიტყვის ხორცშესხმა და ის უცნობი მოძღვარნი და ერისკაცნი, რომელნიც ქრისტეს მოსვლის მოლოდინს სასოებით გადასცემდნენ თაობებს.

ესენი ძირითადად იყვნენ იმ პერიოდის მსოფლიოში ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი ერთადერთი ერის, ისრაელის, შვილნი. მართალია, იშვიათად სხვა ხალხებშიც არსებობდნენ სულიერებით გამორჩეული პიროვნებები, მაგრამ მხოლოდ ამ წიაღმა შეძლო, უწყვეტად შეენარჩუნებინა კავშირი ღმერთთან და ჩირაღდნად ქცეულიყო მთელი წარმართული კაცობრიობისათვის; იმ კაცობრიობისათვის, რომელმაც არაერთი ცივილიზაცია შექმნა და რომელსაც საოცარი მიღწევები ჰქონდა ფილოსოფიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მწერლობაში, ხელოვნებაში...

**მაინც რით შეძლო, ერთი შეხედვით, უბრალო ერმა გამორჩეული ყოფილიყო ასურეთის, ბაბილონის, სპარსეთის, ეგვიპტის, კრეტა-მიკენის, ბერძენთა, რომაელთა და სხვა იმპერიებთან შედარებით?**

ამ იმპერიებში დაკარგული იყო უმთავრესი, — **ჭეშმარიტი ღვთის ცოდნა.** ამა თუ იმ სფეროში გამოვლენილი დიდი განვითარების მიუხედავად, წარმართული საზოგადოება უდიდესწილად იყო ძალადობრივი, ჩაგვრითი, ეგოცენტრული, — თავის თავზე ორიენტირებული.

**ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ძლიერი ხელისუფალი თუ პიროვნება იმონებდა სუსტს; იმპერატორებს სხვათა ტერიტორიებისა და მათი ძალაუფლების ხელში ჩაგდების დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდათ; იყო გაუთავებელი ომები, შური, ღალატი, ვერცხლისმოყვარეობა, აღვირახსნილი ცხოვრება და გაუკუღმართებული ურთიერთობები; ადამიანის ღირსება — გათელილი და გაუფასურებული, დაბალი ფენის მამაკაცები და, განსაკუთრებით, ქალები — მოხმარების საგნად ქცეულნი.** ყოველივე ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ წარმართული „ღმერთებიც“ მიწიერნი იყვნენ, რომელთათვისაც უცხო არ იყო ადამიანური ვნებანი. **სულიერი ხსნა კი არსად ჩანდა და სიცოცხლესაც არ ჰქონდა აზრი.** ასეთ მძიმე გარემოში, მართალია, დიდი დაცემებით, მაგრამ მაინც ახერხებდა **იაკობის მოდგმა,** თავის წიაღში დაეცვა ცხოვრების საღვთო, სარწმუნოებრივი წესი, მოყვასის სიყვარული, შეენარჩუნებინა მესიის მოსვლის მოლოდინი, მოლოდინი გადარჩენისა და განცდა იმისა, რომ ამქვეყნადაც ყველაფერი და თვით სამეფო საყდარიც ზეციურ უფალს უნდა ეკუთვნოდეს და იგი უნდა იყოს ერის წინამძღოლი; რომ ხელისუფალნიც, მოძღვარნიც, წარჩინებულნიც და რიგითი მოქალაქენიც, — თავისი მოვალეობისამებრ, მის ნებას უნდა აღასრულებდნენ. ეს ყოველივე მთელი სისავსით მეფეთა შორის ყველაზე ნათლად წმინდა **დავით წინასწარმეტყველს** ჰქონდა გაცნობიერებული.

როდესაც იგი შაბათობით აღთქმის კიდობნის წინ ლოცვად დგებოდა, სამღვდელოებისა და ერის წინაშე ხმამაღლა შეჰღაღადებდა ხოლმე შემოქმედს:

**„შენი მეფობა (ღმერთო), მეფობაა ყველა საუკუნეზე და შენი სუფევაა ყველა თაობაზე“ (ფს.144,13) „უფალს ეკუთვნის მეფობა და ის არის ხალხთა მბრძანებელი“ (ფს. 21,29)** და სხვა. მან ეს ლოცვები, რომლებიც ზეციური მეუფისა და მისი სასუფევლისადმი იყო მიმართული, სავალდებულოდ დაუწესა თავის შთამომავალ მეფეებსაც და ხალხსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ საუკუნეთა მანძილზე რომელ ქვეყანასაც ისრაელის მცირერიცხოვან ერთან ჰქონდა შეხება, თუნდაც იგი დამპყრობელი ყოფილიყო, ისრაელი ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლობით მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მასზე და საყოველთაო გადარჩენის მოლოდინს აღვიძებდა ყველაში.

**შევახსენებთ ერთ მონაკვეთს ბაბილონის ცნობილი მეფის ცხოვრებიდან:**

ბაბილონის იმპერიის ზეობის პერიოდში მას **ნაბუქოდონოსორი** განაგებდა. მან მრავალი სამეფო დაიმორჩილა, მათ შორის, იუდეაც და დაპყრობილი ქვეყნებიდან მძევლად წაიყვანა ხელისუფალთა შვილები და ნიჭიერი ახალგაზრდები. ყმაწვილებს შორის იყო **დანიელიც** იუდეადან, — წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული, გონიერი, მოსეს სჯულის მტკიცე დამცველი ჭაბუკი.ერთხელ **ნაბუქოდონოსორმა** უცნაური და მრავლისმთქმელი სიზმარი ნახა. შეძრწუნებულს გამოეღვიძა და მის ასახსნელად თავისი სამფლობელოს ყველა მისანს, ქურუმს, მოგვსა და ვარსკვლავთმრიცხველს უხმო. უნდოდა, მათგან სიმართლე მოესმინა, ამიტომაც, მეტად უცნაური რამ მოსთხოვა: **მათ უნდა გამოეცნოთ, თუ რა სიზმარი იხილა მბრძანებელმა, და აეხსნათ მისი მნიშვნელობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას სიკვდილი და სახლ-კარის გადაწვა ემუქრებოდა.** სასახლის შეშინებულმა ბრძენკაცებმა შეჰბედეს მეფეს და უთხრეს: **მსგავსი რამ არავის არასდროს მოუთხოვია. თქვენს სურვილს კაცთაგან ვერავინ შეასრულებსო.** ნაბუქოდონოსორმა ყველას წამება ბრძანა. ვიდრე მისი განკარგულება აღსრულდებოდა, **წინასწარმეტყველმა დანიელმა** ითხოვა მეფესთან შეხვედრა და, სიკვდილმისჯილთა გათავისუფლების სანაცვლოდ, სიზმრის ახსნა აღუთქვა, რადგან მან და მისმა მეგობრებმა ზეციური ღმერთისგან გამოითხოვეს შეწევნა ამ საიდუმლოს გასაგებად და უფალმაც დანიელს გაუცხადა დაფარული. **ჭაბუკმა უთხრა მეფეს, რომ სიზმრით უფალმა აუწყა იმ დღეთა და ხელმწიფებათა შესახებ, რომლებიც მის შემდეგ იქნებოდნენ. კერძოდ, იხილა დიდი და საოცრად ელვარე, მაგრამ საშინელი შესახედაობის ქანდაკება, კერპი, რომელსაც თავი ოქროსი ჰქონდა, ხელები და მკერდი, — ვერცხლის, მუცელი და თეძოები, — სპილენძის, ხოლო ქვედა კიდურები, — რკინისა და, ნაწილობრივ, თიხის. შორიახლოს იყო მთა, საიდანაც თავისით, ხელისუკვრელად, ლოდი დაგორდა, კერპს რკინისა და თიხის ფეხებზე დაეცა და იგი ერთიანად შემუსრა. შემდეგ ეს ლოდი დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა აღავსო.**

ჭაბუკმა წინასწარმეტყველმა ისიც განუმარტა მბრძანებელს, რომ ნანახი კერპი ოთხი იმპერიის სიმბოლო იყო. ოქროს თავი მას და ბაბილონს განასახიერებდა, დანარჩენები კი, შედარებით ნაკლებნი, იმ იმპერიებს, რომლებიც ბაბილონის შემდეგ აღორძინდებოდნენ **(იგულისხმება სპარსეთის, საბერძნეთის, რომის)** და რომ მეოთხე იმპერიის ზეობისას ამქვეყნად მოიწეოდა მეუფება მარადიული და ჭეშმარიტი, რომელიც შემუსრავდა ყველა სამეფოს დედამიწაზე, თვითონ კი უკუნისამდე იარსებებდა.

**ნაბუქოდონოსორი** გაოცებული და შეძრული იყო მოსმენილით. იგი დაემხო მიწაზე და აღმოთქვა: **„ჭეშმარიტად, ღმერთთა ღმერთია თქვენი ღმერთი და მეფეთა მეუფე“.** შემ-

თბილისი,
ქრისტეშობა,
2024

**არასდროს იფიქროთ თვითმკვლელობაზე, არ მისცეთ სულს ამ დამღუპველი სისუსტის დაშვების უფლება. ჩვენ სიცოცხლე იმიტომ მოგვეცა, რომ წარმავალი სიცოცხლიდან მარადიულ სიცოცხლეში გადავინაცვლოთ! გახსოვდეთ, სინანულს უდიდესი ძალა აქვს და მას სასწაულის მოხდენა ძალუძს!**

## კვირგვინოსნები

**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი*



რამდენიმე საუკუნის წინ იყო ხალხში ასეთი წესი, ხვდებოდნენ ერთმანეთს და ეუბნებოდნენ — **გიხაროდენ შინ და გარეთ, იხარეთ ორსავე სოფელსა შინა,** მშვიდობა ჩვენს ქვეყანას.

„პირველი არხი“

**გიორგი ზვიადაძე**
*სიონის ტაძრის წინამძღვარი, პროფესორი, პროტოპრესვიტერი, დეკანოზი*



ქართველი ერი **დიდი იმედით შეჰყურებს პატრიარქს,** მასთან შეხვედრის დროს ყველა განიცდის ძალიან დიდ სულიერ სიმშვიდესა და სიხარულს. **უაღრესად იშვიათია ის, რომ ეკლესიის მწყემსმთავარს სიცოცხლეშივე მოეპოვებინოს მთელი ერის საყოველთაო აღიარება, პატივისცემა და სიყვარული.**

„კვირის პალიტრა“

**მამა ელიზბარ ოდიშვილი**
*ქაშვეთის ტაძრის დეკანოზი*



**9 აპრილის შემდეგ მისმა უწმინდესობამ ბათუმში ტაძრის გახსნაზე გამგზავნა.** ისტორიული ფაქტია, რომ იმ დროს 5 000 კაცი მოინათლა. მოწამლული, შეუძლოდ ვიყავი,**გზაში ავარია მომივიდა და მანქანა დავამტვრიე.** ყველგან საკუთარი სახსრებით დავდივარ ხოლმე და ეს ერთი შემთხვევა იყო, როცა **პატრიარქმა 1 000 მანეთი გამატანა და იმით წავედი.** მერე ვუთხარი, **ეკლესიისგან რომ ფული ავიღე, დავისაჯე-მეთქი. მის შემდეგ მისთვის ფული აღარასდროს გამომირთმევია,** ღმერთი მომცემს, ვინმე შემომწირავს-მეთქი და მართლაც, ისეთ დროს გამოჩნდებოდა კეთილი ადამიანი, სულ რომ არ ველოდი. **ახლაც მიკვირს, როგორ ვახერხებდით იმ ტაძრების აშენებას.**

„კვირის პალიტრა“

**მამა შალვა კეკელია**
*თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვარი*



**პატრიარქი ჩვენთვის მეხამრიდივითაა.** ბედნიერი ვარ, რომ ისეთ დროს მომიწია ცხოვრება, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია მეორეა.**

„კვირის პალიტრა“

# დღეს ყველაზე მეტად გვესაჭიროება მაცხოვრის შობის საიდუმლოს გაცნობიერება, რადგან დედამიწაზე განხორციელებული ქრისტე ყოველ დროს და ყველა ეპოქაში გვწინამძღვრობს, გვიჩვენებს სწორ გზას და გვანიჭებს ხსნას!




### სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის

# საშობაო ეპისტოლე

დეგ კი **დანიელი** დანიშნა თავის კარზე მთავარ მრჩევლად. მართალია, მეფემ აღიარა ძლიერება ჭეშმარიტი ღვთისა, რომლის სიდიადე სხვა დროსაც კიდევ რამდენიმეჯერ იხილა, მაგრამ წინაპრების კერპებს მაინც ვერ განეშორა, თუმცა იუდეველთა რწმენის პატივისმცემელი გახდა და აღარ აიძულებდა მათ, ბაბილონის პანთეონისთვის ეცათ თაყვანი. ამ ამბებზე მთელი ბაბილონი საუბრობდა, — ხალხიც, სიკვდილს გადარჩენილი მოგვებიც და სხვა ბრძენნიც ისტორიებს თაობიდან თაობებს გადასცემდნენ.

მათ წინასწარმეტყველ **დანიელისგანვე** იცოდნენ, რომ ის სიზმრისეული ლოდი შვიდ შვიდათეულში, ანუ 490 წელიწადში განეცხადებოდა სამყაროს; ამიტომაც, როდესაც ეს დრო დადგა და იხილეს უჩვეულო ვარსკვლავი, მოგვებმა იგრძნეს ჟამის მოახლოება; სამეფო ძღვენი, — გუნდრუკი, ოქრო და მური, თანაწარიღეს და ვარსკვლავს გაჰყვნენ დასავლეთისკენ მიგებებად მესიისა.

და მართლაც, **ნაბუქოდონოსორის** სიზმრის მეოთხე სამეფოს, **რომის იმპერიის,** ბატონობის პერიოდში, I საუკუნეში, იუდეაში, **დავით მეფის** ქალაქად წოდებულ **ბეთლემში,** კაცობრივი ბუნების მიღებით, ადამის მოდგმის გადასარჩენად მოგვევლინა **ძე ღვთისა.** იგი სიმბოლურად დანიელ წინასწარმეტყველის სიზმრის ლოდია **(დან. 2.45),** რომელიც თავისთავად მოსწყდა მთას **(იგულისხმება მისი უბიწოდ შობა ღვთისმშობლისგან)** და დედამიწა აღავსო.

ქვაბულში, პირუტყვის ბაგაში, მწოლი ჩვილი — **უფალი იესო ქრისტე** საოცარი სიმდაბლით წარუდგა მსოფლიოს, რათა თავისი ხორციელი მყოფობის პირველივე წუთებიდან კაცობრიობისთვის მიეცა მაგალითი თავმდაბლობისა, უბრალოებისა და თავისი ქმნილებისადმი განუზომელი სიყვარულისა.

**იესოს ამქვეყნად მობრძანებით, ერთი მხრივ, აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, მეორე მხრივ კი, გარკვეული აზრი მიეცა თვით წინაქრისტიანულ ეპოქათა მიღწევებსაც, რადგან ღმერთთან მარადიული თანამყოფობის შესაძლებლობის მოტანით, აზრი მიეცა სიცოცხლეს; ამასთან, ქრისტეს ეკლესიის სახით, სათავე დაედო მაცხოვნებელ წიაღს, რომელსაც მიწიერი წარმომავლობა არა აქვს, ზეციურია, ღვთისგანაა დაფუძნებული და წარუვალი, თუმცა ამქვეყნად მყოფობს.**

მისი წევრი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც სამოთხეში ჩადენილი ცოდვით შებღალულ შემოქმედის ხატებასა და მსგავსებას თავის თავში განაახლებს, ანუ ღვთისა და ადამიანის ჭეშმარიტი სიყვარულით აღვსილი (იგულისხმება ნებისმიერი ადამიანი და არა მხოლოდ თავისი ერის წარმომადგენელი, როგორც ეს ძველ აღთქმაში იყო), ყოვლადწმინდა სამების სახელით მონათლული და აღსარებითა და ზიარებით მასთან დაკავშირებული, მაცხოვრის მცნებებით ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

**„არა არს ჰურიაება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს გარჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“** (გალ.3,28), — აი, ყოვლად აღმატებული სწავლება, რომელმაც მახვილივით განკვეთა ძველი სამყარო.

შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი და შეიყვარე მტერიც! შეუნდე მონანულს, **„არავის მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ, კეთილს ცდილობდეთ ყველა ადამიანის წინაშე; თუ შესაძლებელია, თქვენის მხრივ, ყველა ადამიანთან მშვიდობით იყავით“** (რომ.12, 17-18).

თუ გსურს პირველობა ან უპირატესად ყოფნა, გახდი ყველას მსახური **(ანუ — თავმდაბალი ყველას მიმართ),** დაიცავი გულის სიწმინდე, ნუ გააკეთებ სიკეთეს საჩვენებლად და გაეცი მოწყალება უშურველად, სამაგიეროს მიღების სურვილის გარეშე; იცხოვრე სხვისთვის, როგორც ცხოვრობ საკუთარი თავისთვის, **ხოლო ვინც შეძლებს თავი გაწიროს სხვისთვის, იგი უმაღლეს სათნოებას მოიპოვებს.** — ასეთი რამ მანამდე არ სმენია კაცობრიობას. ეს იყო მაცხოვრისგან ადამიანთა აზროვნების რადიკალურად შემობრუნების შეთავაზება, შეთავაზება სულ სხვა სიმაღლისა, სულ სხვა დიდებისა; გაცხადება მისთვის ჭეშმარიტი ღვთისა და ჭეშმარიტი ადამიანობისა.

კაცობრიობას ეს რომ გაეცნობიერებინა და თითოეულ ჩვენგანს ამისთვის მიეღწია, **იესო გახდა სრული ადამიანი** (ცოდვის გარეშე), **რათა ჩვენ გავმხდარიყავით მადლით ღმერთნი;** ეს ურთულესი პროცესია და დიდ ძალისხმევას ითხოვს, რადგან ცხოვრების გზაზე ნებისმიერ ადამიანს მრავალი დაბრკოლება ხვდება, მითუმეტეს — მართლმორწმუნეს. შეიძლება თქვენ დიდ ცოდვაშიც ჩავარდეთ და მძიმე ვითარებაში აღმოჩნდეთ, მაგრამ იცოდეთ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს! **არასდროს იფიქროთ თვითმკვლელობაზე, არ მისცეთ სულს ამ დამღუპველი სისუსტის დაშვების უფლება. ჩვენ სიცოცხლე იმიტომ მოგვეცა, რომ წარმავალი სიცოცხლიდან მარადიულ სიცოცხლეში გადავინაცვლოთ! გახსოვდეთ, სინანულს უდიდესი ძალა აქვს და მას სასწაულის მოხდენა ძალუძს.**

ამიტომაც, არ შეეგუოთ დაცემას და ღვთის იმედი მუდამ გქონდეთ. **გწამდეთ, უფალი ყოველგვარ ტკივილს სიკეთედ და ჩვენი სულიერი წინსვლის საშუალებად აქცევს, თუ ლოცვითა და სინანულით დავითმენთ განსაცდელს და მაცხოვრის სწავლებით წარვემართებით.**

•

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ უდიდესი წვლილი შეიტანა და გადამწყვეტ ფაქტორად იქცა მრავალი ქვეყნის ისტორიაში, მათ შორის, ევროპის და სხვა სახელმწიფოთა ფორმირებაში; მაგრამ **უფლის მეორედ მოსვლამდე, ანუ მარადიული სასუფევლის დამყარებამდე,** მუდმივად იქნება ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, მუდმივად დაგვჭირდება სულ უფრო მეტი ძალისხმევა სიწმინდის დასაცავად, რადგან ეს დაპირისპირება თანდათან უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს. ავიღოთ თუნდაც ჩვენი დრო.

სამყარო ყოველთვის წინააღმდეგობრივი იყო, მაგრამ დღევანდელ კონფლიქტებსა და ომებს თან სდევს რეალური საშიშროება იმისა, რომ ნებისმიერი მათგანი მსოფლიო კატასტროფად იქცეს და მთელი კაცობრიობა გაანადგუროს. ამიტომაც ყველას, ჩვენი შესაძლებლობებისამებრ, გვმართებს ზრუნვა მშვიდობისთვის. ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს უკრაინა, ახლო აღმოსავლეთი და მთელი მსოფლიო.

**მოგეხსენებათ ისიც, რომ ბოლო საუკუნეებში შესუსტდა ჭეშმარიტი რწმენა და იმ-**

გაგრძელება 28-ე გვერდზე

# სულიერად განმტკიცდით და არაფრის შეგეშინდეთ!

## კვირგვინოსნები

**ავთო გიუნაშვილი**
*ათენში დოკუმენტების სერვისების სააგენტოს ხელმძღვანელი*



**პატრიარქის არაერთი წინასწარმეტყველება ამსრულებია.** 2020 წელს საბერძნეთში მცხოვრებმა ემიგრანტებმა გადავწყვიტეთ, **საბერძნეთში მოღვაწე ქართველი წმინდანების ერთობლივი ხატი დაგვეწერა** და ისინი ლოცვა-კურთხევისთვის უწმინდესთან მივიყვანე. უცებ ასეთი რამ გვითხრა, **მე ვხედავ, მალე დაიკეტება სახლები, ხალხი აღარ იქნება ქუჩებში...** მომიტრიალდა და მითხრა, მალე უნდა დაბრუნდე საქართველოში, თქვენ ყველანი უნდა დაბრუნდეთო. გამიკვირდა, ისეთი არაფერი ხდებოდა, **2020 წლის იანვარი იყო და მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიო „დაიკეტებოდა“.**

„კვირის პალიტრა“

**ნინო მელაშვილი**
*გოდერძი ჩოხელის მეუღლე*



**ჩემს ოჯახს არ სურდა, გოდერძის გავყოლოდი,** პატივს კი სცემდნენ, მაგრამ სიძედ არ უნდოდათ. ვიცოდი, **გოდერძის** თბილისში ბინა არ ჰქონდა, მაგრამ ეს არ მაშინებდა. **გოდერძისაც** ვამშვიდებდი: **მერე რა მოხდა, ქოხში ვიცხოვრებთ-მეთქი.** ახლა ვერც ვფიქრობ, **როგორ უნდა მეცხოვრა სოფელში. არადა, მართლა წავიდოდი.** 22-23 წლის რომანტიკული გოგონა ვიყავი და თითქოს მიმზიდველიც იყო ეს ჩემთვის.

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ პატარაძე**
*საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში*



დამერწმუნეთ, **დავით გარეჯის საკითხი აუცილებლად გადაწყდება იმგვარად,** როგორც ორ მეგობარ, სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანას შეეფერება.

„ინტერპრესნიუსი“

**ვახტანგ ცინცაძე**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე*



2023 წელს საქართველომ შეძლო არამხოლოდ **მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება,** არამედ გახდა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც **მოახერხა ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე ქვემოთ ჩამოყვანა.**

„აიპრესი“

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის**



# საშობაო ეპისტოლე

*დასაწყისი 26-ე გვერდზე*

## ყველას გლოცავთ და გახარებთ მხსნელის მოვლინებას!

**ძლავრა უღმერთობამ; შემოქმედის ადგილი ადამიანმა თავისი თავით ჩაანაცვლა. წინ წამოიწია პრინციპმა — ჩემი მორალი და შეხედულება განსაზღვრავს ჩემს რწმენას; მაშინ, როდესაც სწორედ რწმენა ღვთისა და მისმიერი მცნებები განსაზღვრავს მორალსაც და შეხედულებებსაც.**

დღეს, როგორც არასდროს, გაჩნდა რეალური საშიშროება იმისაც, რომ ადამიანის ეგოცენტრულობამ საფრთხე შეუქმნას იმ მიზანს, რისთვისაც საერთოდ დავიბადეთ, რადგან მსოფლიო ტექნოლოგიურად ვითარდება, მაგრამ მას ჩვენი სულიერი წინსვლა ჩამორჩება და ვდგებით მრავალი ფსიქოლოგიური და ბიოეთიკური გამოწვევის წინაშე.

ჩვენს ცხოვრებაში უკვე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს **ხელოვნური ინტელექტიც,** რასაც სამეცნიერო წრეებში მანქანური სწავლებით მიღებული ხელოვნური ინტელექტის მოდელს უწოდებენ.

ცნობილია, რომ **ხელოვნური ინტელექტი** არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ჯამი, კოლექტიური ცოდნა, რომელიც ალგორითმებით იძლევა შესაბამის ინფორმაციას. ამ საშუალებით ადამიანს ექნება წვდომა მრავალგვარ მონაცემებზე მისთვის სასურველ ნებისმიერ სფეროში, რაც ტექნოლოგიურ წინსვლას კიდევ უფრო დააჩქარებს.

**ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, უდიდესი გარდატეხა შეიტანოს ჩვენს ცხოვრებაში და მთლიანად შეცვალოს ჩვენი ყოველდღიურობა, თუმცა, ადამიანის სულიერი განვითარების გარეშე მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია.**

უფრო და უფრო მკვეთრად დგება კითხვა: **შეძლებს ადამიანი, გააერთიანოს ქრისტიანული ცხოვრების წესი და თუნდაც ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და ღვთის სადიდებლად მიმართოს იგი? თუ თავის თავში დაჯერებული, თავისივე ქმნილებით მოხიბლული და მასზე მიჯაჭვული ადამიანი ღმერთს კიდევ უფრო განეშორება?** ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების და იმ სპეციალისტების შეხედულებების გაცნობა, რომლებსაც ხელოვნურ ინტელექტთან აქვთ შეხება, რადგან უახლოეს მომავალში ყველა ამ ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდება და აუცილებელია, ჩვენი საზოგადოება მომზადებული შეხვდეს მას. ერთი რამ კი ცხადია: **თითოეული ჩვენგანი უნდა ისწრაფვოდეს პიროვნული სრულყოფილებისკენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ღვთის შეცნობის და მისი ჭეშმარიტების წვდომის სურვილს გულისხმობს.**

ღმერთი ლოგიკურ კატეგორიებზე მაღლა დგას, ადამიანური გონება მას ვერ მისწვდება ვერც კაცობრივი ცოდნის მთლიანი ჯამით და ვერც ინფორმაციის სისავსით, ამიტომაც **ცოდნასთან ერთად საჭიროა რწმენა და ღვთიური მადლით აღვსება, რომ ადამიანი წარმართულ მდგომარეობას არ დაუბრუნდეს.**

•

ღვთის ერში, ძველი აღთქმის წიაღში, დაიბადა დედათა შორის კურთხეული, ყოვლადწმინდა ქალწული, რომლის მიერაც იშვა მაცხოვარი სოფლისა, — ადამისა და ევას ცოდვათა და ცრემლთა აღმხოცველი.

**უფალი მოვიდა ამქვეყნად, რათა კვლავ გაეგრძელებინა განსწავლა კაცობრიობისა, როგორც ამას ედემში, ჩვენს პირველმშობლებთან მიმართებაში იქმოდა. ქრისტიანობის ისტორია სავსეა ჭეშმარიტად განსწავლული ადამიანებით, რომელთა შრომები სიბრძნის ულევი წყაროა.**

გავიხსენოთ მოციქულები, აგრეთვე, წმინდა მამები: **ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, იოანე დამასკელი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური** და სხვანი მრავალნი.

გავიხსენოთ **სოლომონ ბრძენიც** და მისი სიტყვები: **„მან (ღმერთმა) მომცა მე არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული და შუახანი, მზებუდობათა მონაცვლეობა და არეთა შენაცვლებანი, წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განლაგება, ცხოველთა ბუნება და მხეცთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა. ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმსწავლა, ყოველთა შემოქმედმა“** (სიბრძნე სოლომონისა 7, 17- 21).

მოვიხსენოთ **ადამიც,** რომელსაც, ყველასაგან განსხვავებით, სამოთხისეული განსწავლა, შემდგომ კი, ჩადენილი ცოდვის გამო, ღრმა სინანული ჰქონდა. ამიტომაც მან და მისმა შვილმა, **სეითმა,** მთელი ცოდნა და ძალისხმევა ღმრთის სათნოყოფისთვის და მარადიულ ნეტარებაში დაბრუნებისკენ მიმართეს; განსხვავებით კაენისა და მისი შთამომავლებისაგან, რომელთაც ღმერთი დაივიწყეს და თავისი მონდომება ამქვეყნიური კეთილდღეობისკენ წარმართეს; აღარ ზრუნავდნენ სულზე და სიკვდილის შემდგომი მდგომარეობაც აღარ აინტერესებდათ. კაცობრიობაც მთელი თავისი განვითარების მანძილზე ამ ორ გზას შორის მერყეობდა და მერყეობს.

**როგორი იქნება ჩვენი არჩევანი?თუ შევძლებთ სწორი ურთიერთობები ვიქონიოთ ღმერთთან, ადამიანთან, ბუნებასთან, მიკრო და მაკრო კოსმოსთან, ვერავითარი ტექნოლოგიური მიღწევა ვერ გაგვაუცხოებს შემოქმედისგან, არამედ მათი მართებულად გამოყენების შემთხვევაში, იგი იქცევა ჩვენი გონებრივი და სულიერი წინსვლის დიდ საშუალებად.** ამიტომაც დღეს ყველაზე მეტად გვესაჭიროება მაცხოვრის შობის საიდუმლოს გაცნობიერება, რადგან დედამიწაზე განხორციელებული ქრისტე ყოველ დროს და ყველა ეპოქაში გვწინამძღვრობს, გვიჩვენებს სწორ გზას და გვანიჭებს ხსნას. იგია სრული სიყვარული და სიკეთე, სრული ცოდნა, მშვიდობა და სიბრძნე, რომელიც მარადიულად და დაუსრულებლად განაახლებს, განაბრძნობს და განწმენდს მის თანაზიართ.

**ყველას, ვინც მაცხოვრის შობის სიხარულით ცოცხლობს, ვულოცავ ამ დიდებული დღის შემობრძანებას. ვულოცავ ზეციურ და მიწიერ სამყაროს, სრულიად საქართველოს, თითოეულ თქვენგანს; ვულოცავ ხელისუფალთ, უცხოეთში მყოფ თანამემამულეთ, ჩვენს ერთგულ მრევლსა და სასულიერო პირებს! ვულოცავ ჯარისკაცებს, სპორტსმენებს, მეზღვაურებს, ექიმებს და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ყველა სხვა დამაშვრალს; ვულოცავ მოხუცებსა და ახალგაზრდებს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი, ბავშვებსა და ახალშობილებს; ვულოცავ პატიმრებს, სნეულებაში მყოფთ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულთ...**

ყველას გლოცავთ და გახარებთ მხსნელის მოვლინებას!

სულიერად განმტკიცდით და გაძლიერდით, და არაფრის შეგეშინდეთ!

უფალთან არ დაგეკარგებათ თუნდაც ერთი გულითადი ლოცვა და სინანულის ცრემლის ერთი წვეთიც კი.

გწამდეთ, ყველაფრის მიუხედავად, **იესო ქრისტეს ყოველთვის ჩვენთვის მაცხოვნებელი გზით მივყავართ; ამიტომაც მუდამ იყავით მადლიერნი მისი და გქონდეთ სასოება. ვინც ღმერთი ჰპოვა, უმთავრესი შეიძინა; ღმერთს განშორებული სული კი კვდება, როგორც სულს გაყრილი სხეული.**

და კიდევ: **ყველა და ყველაფერი უძლურია იქ, სადაც უფალი თავის ძალას ავლენს.** „უპირატეს ჟამთა მამისგან შობილსა ძესა და ქალწულისაგან ხორცშესხმულსა, ყრმანი აქებდით, მღვდელნი უგალობდით და ერნი უფროისად აღამაღლებდით უკუნისამდე“ (ძლისპირი),

**ამინ! ბეთლემში შობილი იესოს სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,**

**ილია II**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი, ქრისტეშობა, 2024

**ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, უდიდესი გარდატეხა შეიტანოს ჩვენს ცხოვრებაში და მთლიანად შეცვალოს ჩვენი ყოველდღიურობა, თუმცა, ადამიანის სულიერი განვითარების გარეშე მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია!**





# ნინა მჟავანაძე: ჩემი ძმა

***60 წლის წინათ, 1964 წლის დასაწყისში, სსრ კავშირის კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენების პროცესი დაიწყო, თუმცა, თანამდებობიდან წასვლამდე, ოთხი წლის განმავლობში მან სსრ კავშირის ტერიტორიაზე 30 ათასზე მეტი ეკლესია დახურა და ღვთისმსახურება შეწყვიტა. უკრაინაში დარბეული ეკლესიებიდან ბერებმა საქართველოს შეაფარეს თავი და ამ პროცესებისთვის რესპუბლიკის პირველ პირს ვასილ მჟავანაძეს ხელი არ შეუშლია.***

**ნინა მჟავანაძე,** ***ვასილ მჟავანაძის ქალიშვილი:*** — 1960 წელს და შემდგომ ხრუშჩოვმა მთელ სსრ კავშირში 30 ათასზე მეტი ეკლესია დახურა. ღვთის საწინააღმდეგო ნაბიჯები პირველად მან თავის სამშობლოში — უკრაინაში განახორციელა, დახურა სუმის ოლქში მდებარე სამონასტრო კომპლექსი — გლინსკის მონასტერი, ბერ-მონაზვნები დაარბია და განდევნა. საერო ცხოვრებისა და ოჯახისაგან განრიდებული **ნიკიტა ხრუშჩოვის და** სწორედ ამ მონასტრის მონაზონი გახლდათ, ეკლესიის დარბევის შემდეგ მან ძმას უთხრა: Не зря отец говорил, что ты дурак, Никита!

გლინსკის მონასტრიდან დევნილი ღვთისმსახურები საქართველოში ჩამოვიდნენ, ერთ-ერთი იყო **მამა ზინობი (მაჟუგა),** რომელიც აქ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ატარებდა ღვთისმსახურებას და მიტროპოლიტიც გახდა.

იყო ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი და, პატრიარქ **ეფრემ მეორის** გადაწყვეტილებით, მას „თეთრიწყაროელი ეპისკოპოსიც“ ეწოდა. სწორედ **მამა ზინობიმ** აღკვეცა ბერად საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი **ილია მეორე.** უკრაინიდან დევნილ ბერებს შორის იყო **მამა ვიტალიც (სიდორენკო),** რომელიც სხვა ბერებთან ერთად, ნეველის ეკლესიაში მსახურობდა და ცხოვრობდა.

**— ხრუშჩოვისგან უარყოფითი რეაქცია მოსალოდნელი არ იყო?**

— მიუხედავად იმისა, რომ მამას იმხანად **ხრუშჩოვთან** გართულებული ურთიერთობა ჰქონდა და საქართველოს ეკლესიებში ბერების შეფარებაც სახიფათო იყო, ეს ნაბიჯი მაინც გადადგა. ამას გარდა, ხრუშჩოვს მამაჩემისთვის ნათქვამი ჰქონდა — **პატრიარქს გადაეცით, ვინც მოინათლება ან ოჯახის წევრს მონათლავს, სამუშაოდან ცნობები მოატა-**

## კვირგვინოსნები

**თამარ მაყაშვილი**
*მსახიობი*



**ყველას სჯერა ცრურწმენების, ჩემი პროფესიის ხალხს კი — განსაკუთრებით.** მაგალითად, როდესაც ხელში გიჭირავს სცენარი, სადაც შენი როლია და ის ხელიდან გაგივარდება, ძირს დაგდებულს უნდა დააჯდე და მერე აიღო. გადმოცემით ვიცი, **ვერიკო ანჯაფარიძე ჩელუსკინელების ხიდზე რომ გადადიოდა, ხელიდან სცენარი გაუვარდა, ასეთი კორიფე გაექანა და ზედ დააჯდა.**

„სარკე“





ალექსეი პირველი — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი 1945-1970 წლებში

# რუსეთის პატრიარქის მონათლულია!

**ნინონ, ყველას გვარი და თანამდებობა უნდა ვიცოდეთო.** მამამ ხრუშჩოვს უთხრა — საქართველოში ამ წესს ვერ დავნერგავო. მამა ახლოს იყო პატრიარქ **ეფრემ მეორესთან,** ლოტბარი და მომღერალი **მიხეილ მცურავიშვილი** შემსწრე იყო, როცა მამა სიონში პატრიარქის წირვის დროს მივიდა, ხელზე ეამბორა, მოისმინა წირვა-გალობა და ტაძრიდან გავიდა. რამდენიმე წლის წინათ კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს **ილია მეორეს** შევხვდი და ვკითხე, იყო თუ არა მისთვის ცნობილი რელიგიასთან მამაჩემის დამოკიდებულების შესახებ.

**— რა გიპასუხათ?**

— მან მითხრა: ძნელბედობის ჟამს, საქართველოს ისტორიის ყველა დროში, უფლის შეწევნით, ჩვენს ქვეყანას მუდამ გამოუჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც იცავდნენ და უფრთხილდებოდნენ მართლმადიდებლობას, ერსა და ქვეყანას. 60-იან წლებში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული იყო **ვასილ მჟავანაძე.** მთელ სსრ კავშირში საქართველოში პირველად დაიდგა **მეფე ვახტანგ გორგასლის ძეგლი,** რომელიც ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხილი და იმ დროს ეს აქტი დიდი გმირობა იყოო. ამასთან, პატრიარქმა გაიხსენა, 1963 წელს, პატრიარქ **ეფრემ მეორის** დროს, როგორ გაიხსნა მცხეთაში საღვთისმეტყველო კურსები, რომელიც შემდგომში, როცა **ხრუშჩოვი** სსრ კავშირის პირველი პირი აღარ იყო, სასულიერო სემინარიად გადაკეთდა.

**— სახლში საეკლესიო დღესასწაულებს აღნიშნავდით?**

— აღდგომა დღეს ყოველთვის გვქონდა შეღებილი კვერცხები და პასკა. ჩემმა ძმამ გაიხსენა, როგორ მონათლა ის თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში ჩამოსულმა რუსეთის პატრიარქმა **ალექსეი პირველმა (ალექსეი ვლადიმერის ძე სიმანსკიმ).** დიდი სამამულო ომის დროს ის იყო ლენინგრადის ერთ-ერთი ოლქის მიტროპოლიტი, თავისი მრევლი ბლოკადის დროსაც არ მიუტოვებია, წირვასაც ატარებდა და გაჭირვებულებსაც ეხმარებოდა. ბოლო პერიოდში ფეხები აწუხებდა და თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში ჩამოდიოდა. ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს დედაჩემმა ჩემი ძმა მიიყვანა მასთან და მოანათლინა. ნათლობას ესწრებოდა ჩვენი ნათესავი **ზინაიდა ივანეს ასული კაციტაძეც** (ვფიქრობ, დედაჩემი პატრიარქ ალექსეი პირველს ჯერ კიდევ ლენინგრადის ბლოკადის პერიოდიდან იცნობდა). დედამ ჩემი ძმა გააფრთხილა — მამას არაფერი ვუამბოთ, როცა საჭირო იქნება, მე თვითონ ვეტყვიო. ვიცოდი, რომ დედა მორწმუნე იყო, მაგრამ იმ დროს მისმა საქციელმა ნამდვილად გამაკვირვა.

**— ვასილ მჟავანაძეს ეს ამბავი რომ გაეგო, შენიშვნას მისცემდა?**

— არა მგონია. ნაძალადევის რაიონში ცხოვრობდა წინასწარმეტყველების უნარის მქონე **მჯდომარე ანასტასია.** 65 წელი ფეხზე არ დამდგარა, ირგვლივ ხატები და სანთლები ეწყო, მორწმუნე იყო, უამრავი ხალხი აკითხავდა, ზოგს ომში დაკარგული ჰყავდა ახლობელი და მისი ბედი აინტერესებდა, ზოგი რჩევას ეკითხებოდა. შეკრებილ ხალხს მილიცია შლიდა ხოლმე. მამაჩემსაც უთხრეს ამის შესახებ. მივიდა ანასტასიასთან, გაეცნო და კარგა ხანს ელაპარაკა. იმ დღის შემდეგ მილიციას ანასტასიასთან მისული ხალხი აღარ შეუწუხებია. ანასტასია 1970 წელს გარდაიცვალა. ასე რომ,

**მამაჩემი საქმით იყო მართლმორწმუნე, საქართველო უყვარდა და კარგად იცოდა, რომ ღვთის რწმენა და მადლი თავის ქვეყანას მხოლოდ გააძლიერებდა.**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიტაშვილი***

## საეკლესიო კალენდარი

✝ 8 იანვარი. ორშაბათი. **შემდგომი დღესასწაული ქრისტეშობისა. კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა.** მღვდელმოწამისა ეფთვიმისი, სარდიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა კონსტანტინე სინადელისა; ღირსისა ევარესტისა; ღირსისა ნიკოდიმ ტისმანელისა.

✝ 9 იანვარი. სამშაბათი. მოციქულისა, პირველმოწამისა და მთავარდიაკონისა სტეფანესი; ღირსისა სტეფანე ხირსელისა; ღირსისა და აღმსარებელისა თეოდორესი; თეოდორესი, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ 10 იანვარი. ოთხშაბათი. მოწამეთა ორთა ბევრთა, ნიკომიდიას დამწვართა: გლიკერი ხუცისა, ზენონისა, თეოფილე დიაკონისა, დოროთესი, მარდონისა, მიგდონი დიაკონისა, ინდისესი, გორგონისა, პეტრესი, ექვთიმესი, მოწამე ქალწულთა: აგათიასი, დომნასი, თეოფილასი და სხვათა; მოციქულისა ნიკანორისა, 70-თაგანისა.

✝ 11 იანვარი. ხუთშაბათი. **14000-თა ჩვილთა მოწამეთა, ჰეროდეს მიერ ბეთლემს ჰურიასტანისასა და საზღვართა მისთა მოწყვეტილთა;** ღირსისა მარკელისა, დაუძინებელთა მონასტრის მამასახლისისა; ღირსისა თადეოზ აღმსარებელისა. ღირსი ნინოსი, სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენიასი.

✝ 12 იანვარი. პარასკევი. **მოწამისა ანისია ქალწულისა;** მღვდელმოწამისა ზოტიკე ხუცისა, ობოლთა მწყალობელისა; მოციქულისა ტიმონასი, 70-თაგანისა; მოწამისა ფილეტერ ნიკომიდიელისა; ღირსისა თეოდორა კესარიელისა; ღირსისა თეოდორა კონსტანტინოპოლელისა.

✝ 13 იანვარი. შაბათი. **წარგზავნა ქრისტეშობის დღესასწაულისა;** ღირსისა საბიანასი, სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრისა; ღირსისა მელანია რომაელისა.

✝ 14 იანვარი. კვირა. **წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი. მართლისა იოსებ დამწინდველისა, დავით მეფისა — ფსალმუნთამთქმელისა და მოციქულისა იაკობისა — ძმისა უფლისა;** ხსენება ბასილი დიდისა, კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსისა; წმიდისა ემელიასი, ბასილი დიდის დედისა; გრიგოლ უფროსისა, ნაზიანზელი ეპისკოპოსისა, წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა მამისა; ღირსისა თეოდოსისა, ტრიგლიელი იღუმენისა; მოწამისა პეტრე ტრიპოლისელისა. წმ. პეტრე აღმსარებლისა.



8 იანვარი - კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა

## კვირგვინოსნები

**ნათია თოდუა**
*მომღერალი*



ხშირად მახსენდება, **უშუქობის პერიოდში სოფელში სანთლებით როგორ ვხვდებოდით ახალ წელს.** სათამაშოებიც არ გვქონდა და უფროსი თაობის მეზობლებმა მასწავლეს **ბამბისგან ნაძვის ხის სათამაშოების გაკეთება.** სწორედ ეს ბამბის სათამაშოები მახსენდება. შეშის „ფეჩის“ სუნი...

„სარკე“

**ზურა ნიჟარაძე**
*მსახიობი*



შექსპირი ამბობს — **ნუ ასესხებ ფულს მეგობარს და ნურც მისგან ისესხებ, თორემ ფულიც დაიკარგება და მეგობარიცო.** მე არ ვეთანხმები ამაში შექსპირს. **თქვენ თუ ჩემი მეგობარი ხართ და გიჭირთ, ამ დროს თუ არ დაგეხმარეთ, მაშინ რას ნიშნავს მეგობრობა?!**

„თბილისელები“

**ნანა ფაჩუაშვილი**
*მსახიობი*



საკუთარ თავს ფუტკარს შევადარებდი, რომელიც **სულ შრომობს და შრომობს,** თავისთვის არაფერს იტოვებს და **სულ სხვაზე ზრუნავს.**

„სარკე“

**ბესო ზანგური**
*მსახიობი*



სულ რომ **რამაზ ჩხიკვაძე** გავხდე, ხელფასი ზუსტად **180 ლარით გამეზრდება.**

„თბილისელები“

**მარიამ შარმანაშვილი**
*სოფი ლორენის ვაჟის, დირიჟორ კარლო პონტის რძალი*



**სოფი ლორენმა** ნამდვილი ოჯახის წევრივით მიმიღო, **მისმა უშუალობამ გამაოცა.**

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია და ლითონები

***— რომელია პლანეტა იუპიტერის ძირითადი თვისებები და მათგან რომელი ვლინდება მის შესაბამის ლითონ თუთიაში? რა შესაბამისობა არსებობს ადამიანის პირად ჰოროსკოპში პლანეტა იუპიტერის დადებით განლაგებასა და თუთიით მოჭიქულ ჭურჭელს შორის? კარმული პლანეტა სატურნი რას განაგებს? მითოლოგიური ქრონოსი, იგივე სატურნი როგორ გამოისახებოდა? სატურნი რას გვახსენებს და მისი შესაბამისი ლითონი ტყვია უწინ რაში გამოიყენებოდა? ავადმყოფობა, რომელიც ტყვიის ზემოქმედებით ვითარდება, რას უწოდებენ? ადამიანის ორგანიზმში ტყვია სად აკუმულირდება და რას იწვევს მისი სიჭარბე მოზარდებში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— იღბლიანობის, წარმატებისა და გამარჯვების მმართველი პლანეტის იუპიტერისა და მისი შესაბამისი ლითონის თუთიის (Zincum) საერთო ნიშან-თვისებების შესახებ გვესაუბრებოდით...**

— მოგეხსენებათ, **პლანეტა იუპიტერის** ძირითადი მახასიათებელი ასტროლოგიური თვალთახედვით გახლავთ გაფართოება, ლოიალობა, სიბრძნე, წარმატება, რასაც **თუთია** ნაწილობრივ ასახავს. გავიხსენოთ, თუ რაში გამოიყენება ეს ლითონი. **მისგან დამზადებულ ჭურჭელში საკვები კარგად ინახება, თუთიით მოჭიქულ სხვა მეტალების ჭურჭელშიც ასევე დიდხანს არ ფუჭდება. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულად იუპიტერიც შემნახველია. პირად ჰოროსკოპში მისი დადებითი განლაგების შემთხვევაში ადამიანი ახალგაზრდულ იერს დიდხანს ინარჩუნებს.** ფერებისა და მახასიათებლების მოყვარულთათვის კი უნდა ითქვას, როცა ცის კაბადონზე პლანეტა იუპიტერი თავის ბუნებას სავსებით გამოხატავს, რაც ვლინდება მის ატმოსფეროში ხანგრძლივი აფეთქებების შეფერვით და მზის სისტემაზე ზემოქმედების მქონე ძლიერი და ბობოქარი შტორმებით, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში **პლანეტა იუპიტერმა** და მისმა შესაბამისმა ლითონმა — **თუთიამ** სხვა ახალი ერთმანეთთან დამაკავშირებელი თვისებები გამოავლინონ.

**— როგორც აღნიშნეთ, დიდი მასწავლებლის პლანეტა სატურნის შესაბამისი ლითონი ტყვიაა. რა მსგავსება არსებობს მათ შორის?**

— **პლანეტა სატურნი ტრადიციული მზის სისტემის შვიდი პლანეტიდან მზიდან ყველაზე შორსაა განლაგებული. იგი კარმული პლანეტაა და განაგებს დროს, კანონს, წესრიგს, შეზღუდვებს, საზღვრებს. ნაწილობრივ ეს თვისებები ტყვიაშიც არის გამოხატული.** მითოლოგიური **ქრონოსი,** იგივე **სატურნი** ქვიშის საათით ხელში გამოისახება. ნიშანდობლივია, რომ პლანეტა **სატურნი** დიდი სიზუსტით ვერტიკალურადაა ორიენტირებული. მისი მაგნიტური პოლუსები ერთ გრადუსშია განლაგებული. სატურნის რგოლებს მრგვალი ფორმა აქვთ. იგი მუდმივად წონასწორობაშია. ამგვარი წონასწორობა გამოიხატებოდა ასევე **ტყვიის** ყველაზე ადრეული გამოყენებისას საათის ქანქარაში, რომელსაც გრძელ თოკზე კიდებდნენ და იგი ვერტიკალური სიზუსტის მაჩვენებელი იყო. **სატურნიც** ასევე პირად ჰოროსკოპში, წონასწორობისთვის ხშირად ცხოვრებაში სიმშვიდის მოძიების აუცილებელი მაჩვენებელია. **სატურნი** გვახსენებს, რომ აჩქარება არ შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დრო განსაზღვრულია. სატურნისეული კანონის დამრღვევს კი ეს პლანეტა სჯის. ასეთივეა მისი შესაბამისი ლითონის თვისებებიც. **ტყვია** იარაღის წარმოებაში ტყვია-წამლის დასამზადებლად გამოიყენება. ადრე მისგან საწამლავებსაც ამზადებდნენ. ავადმყოფობას, რომელიც ტყვიის ზემოქმედებით ვითარდება, უწოდებენ **„სატურნიზმს“.** ამგვარი სახელწოდება მიიღო იმ სიმპტომების გამო, რომელიც სატურნთან ასოცირდებოდა (თავის ტკივილი, გაღიზიანება, დეპრესია). მოგეხსენებათ, რომ ტყვიის შემცველია საყოფაცხოვრებო ნივთები, ჭურჭელი, საღებავები, წყალგაყვანილობაში ტყვიის ხრახნები, ტყვიის დანამატია ბენზინში, რომელიც გამონაბოლქვს გარეთ გამოაქვს. ეს არასრული ჩამონათვალია იმისა, რაშიც ეს ლითონი ყველაზე ხშირად გამოიყენება ყოფაში. მეცნიერებმა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში შეძლეს მხოლოდ ადამიანის სისხლში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა, მაგრამ იმ პერიოდში არ იყო ცნობილი ის გარემოება, რომ ტყვიის ჭარბი რაოდენობა მოზარდების სისხლში იწვევს გონებრივი განვითარების შეფერხებას და ჰიპერაქტიურობის პროვოცირებას. დღეისათვის, ყოფაცხოვრებაში გავრცელებული და გამოყენებული ლითონებიდან ყველაზე მავნებლად მიჩნეულია ალუმინი, ტყვია და კალიუმი. ქალაქში მცხოვრებ ნებისმიერ ბავშვს, რომელსაც ყურადღების კონცენტრირება და სწრაფი აზროვნება უჭირს, სასურველია, ჩაუტარდეს თმის, კბილებისა და სისხლის ანალიზი, რათა გამოვლინდეს ტყვიის რაოდენობა. მითუფრო, თუ ბავშვი გამოირჩევა ძალადობისკენ მიდრეკილებით და სუსტი თვითკონტროლით. ითვლება, რომ მომატებული ტყვიის შემცველობა აუტიზმის განვითარების ალბათობას ზრდის, ამიტომ ყველა ოჯახური წყვილი, რომლებსაც სურთ ბავშვის გაჩენა, მაქსიმალურად უნდა მოერიდონ **ტყვიის** შემცველი საგნების გამოყენებას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ორგანიზმში **ტყვია** ძირითადად ძვლოვან ქსოვილში, ჩონჩხში აკუმულირდება. ნიშანდობლივია, რომ ადრინდელ ჩანახატებში **სატურნი,** იგივე **ქრონოსი** დროის წარმავლობასთან ასოცირდებოდა და ჩონჩხის სახით გამოისახებოდა. **იმისათვის, რომ ტყვია ძვლებიდან გამოვიდეს, საჭიროა 30 წელი. სწორედ 30 წელიწადი სჭირდება პლანეტა სატურნს მზის გარშემო ერთი შემობრუნებისთვის.** ისიც უნდა ითქვას, რომ ვერცერთი სხვა მეტალი ვერ ქმნის ამდენ უხსნად შენაერთს. დასახელებული შვიდი ლითონიდან, **ტყვია** ყველაზე ცუდად ატარებს ელექტროდენს, ნაკლებად ჟღერადი და მბზინავია. ევროპაში ბოლო წლებში ბევრ სფეროში აიკრძალა ტყვიის გამოყენება.

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 8-14 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**კარიერული აღმასვლის სურვილი იმატებს. მიმდინარე მოვლენების მეშვეობით სამომავლო გეგმებისა და მიზნების ჩამოყალიბება არ გაგიჭირდებათ, შესაძლოა, კვალიფიკაციის ამაღლება აუცილებელი გახდეს. ახალი კავშირები ცხოვრებისეული ფასეულობების კორექციას ხელს შეუწყობს. სასიყვარულო ურთიერთობისას კი ეცადეთ, რომანტიკულობა მეტად გამოავლინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კრიტიკის მოსმენა მოგიწევთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**გაზრდილი ინტუიცია შემოთავაზების მიღებასა და სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ. განათლებულ, გამოცდილ და ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები მნიშვნელოვან ცოდნას შეგმატებთ. ძველი მეგობრები ფინანსურად დაგეხმარებიან. ოჯახის წევრების მიმართ კრიტიკული და მომთხოვნი ნუ იქნებით. მოგზაურობა მხიარულად ჩაივლის. კარგი დროა ახალი რომანტიკული ნაცნობობისთვის.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**აქტიურობა დაგეხმარებათ საინტერესო და მნიშვნელოვან ადამიანებთან კონტაქტში. კარგი პერიოდია ადრე დასახული მიზნის მისაღწევად. ეცადეთ, სამუშაოს ჩაუღრმავდეთ, რათა პროფესიული ჩვევები და ავტორიტეტი აიმაღლოთ. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ახალი წყაროები მოიძიეთ, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებს კი მოერიდეთ. უცხოეთიდან გამოგზავნილი ნივთი ანდა ინფორმაცია გაგახალისებთ. პირად ცხოვრებაში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**მეტად ენერგიული იქნებით. შესაძლოა, არამარტო აზრები და შეხედულებანი, არამედ მიზნებიც შეიცვალოთ. ახალი იდეების განხორციელებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდება, ამიტომ აუცილებელია, სასიკეთო მომენტები გამოიყენოთ. ეცადეთ, საყვარელ ადამიანებთან მეტი დრო გაატაროთ და თქვენი გრძნობები გაუზიაროთ. კარგი პერიოდია შორეული მოგზაურობებისა და თავგადასავლებისთვის.**

**ლომი** (23.07-23.08)
**თქვენი ცხოვრებისეული შეხედულებების ტრანსფორმაცია მოხდება. შესაძლოა, პოლიტიკური ან ეკონომიკური საკითხებით დაინტერესდეთ. სააქციო და შემოქმედებითი საქმიანობა ფინანსურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. კარგია განათლების მიღება, კონტაქტების დამყარება და ოჯახში მშვიდი გარემოს დამკვიდრება. მდგრადი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად კი მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებსა და შორეულ მოგზაურობას. ხშირ-ხშირად დაისვენეთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ამ პერიოდში თქვენს ხიბლს მშვიდად გვერდს ვერავინ აუვლის. განსაკუთრებით კი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები. კარგი პერიოდია ახალი ნაცნობობისთვის, პარტნიორული კავშირების დასამყარებლად, მატერიალური და პირადი სტატუსის ასამაღლებლად. თქვენი სასიყვარულო თუ ოჯახური ურთიერთობაც სასიკეთოდ განვითარდება და ახალ ემოციებს მოგიტანთ. ეს პერიოდი გამოიყენეთ არამარტო საქმისთვის, არამედ დასვენებისა და გართობისთვისაც.**

## 8-14 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**სამუშაო და საურთიერთობო ჰორიზონტები გაიფართოვეთ. შეეცადეთ, ხელმძღვანელობას თავი მოაწონოთ. კარიერასა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდაზე იზრუნეთ. რთულ სიტუაციებში კომპრომისი ეძიეთ. ამგვარად, თანამოაზრეებს იოლად დაიბევებთ და ყველა დეტალსაც გაარკვევთ. ხანმოკლე მოგზაურობა სასიკეთოდ ჩაივლის. დასვენება ჯანმრთელობას გაგიძლიერებთ. პირად ცხოვრებაში კი მოსალოდნელია ცვლილებები.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ახალი გეგმებით შთაგონებული პროფესიულ საქმიანობას ბევრ დროს დაუთმობთ. შეხვედრა-მოლაპარაკებები სამომავლო საქმეებს დაუკავშირდება. ხარჯიც მოიმატებს, ამიტომ მატერიალური საკითხი მნიშვნელოვანი გახდება, იმიჯისათვის იზრუნეთ და ეცადეთ, მუდამ ფორმაში იყოთ, რათა გარშემო მყოფებზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინოთ. პირადი და სასიყვარულო ურთიერთობები კი თქვენს ცხოვრებას უფრო რომანტიკულს გახდის.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**პასუხისმგებლობა და საქმის ერთგულება ახალი პარტნიორული ურთიერთობის საფუძველი გახდება. კარიერული ზრდა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება ეფექტური მეთოდებით იქნება შესაძლებელი. უტაქტობას მოერიდეთ. ახალი კავშირები ახალი სამსახურის ან ახალი საქმის მოძიებაში დაგეხმარებათ. ოჯახს მეტი ზრუნვა დასჭირდება. რომანტიკულ ურთიერთობაში კი თავგადასავლის სურვილი გაგიჩნდებათ, რაც ემოციურობასა და ჭირვეულობაზე აისახება.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**ენერგიულობა, აქტიურობა მოგემატებათ და განწყობაც გაგიუმჯობესდებათ, რაც პირად თუ პროფესიულ საქმიანობაში ხელს შეგიწყობთ. კარგი პერიოდია ახლობლებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად და მათზე ზრუნვისთვის. მითუფრო, რომ, შესაძლოა თქვენი დახმარებაც დასჭირდეთ. ფინანსური მდგომარეობა უფრო მყარი გახდება. მოგზაურობა სასიამოვნოდ და საინტერესოდ ჩაივლის, ოღონდ ერიდეთ ექსტრემალურ გართობასა და სიტუაციებს.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**სასიცოცხლო ენერგია დაქვეითებული გაქვთ, ამიტომ შესაძლოა, პერიოდულად განწყობა გაგიუარესდეთ. ემოციურობას მოერიდეთ და ურთიერთობისას ყოველი სიტყვა გააკონტროლეთ. ეს კვირა არ შეუწყობს ხელს სწავლას და სიახლის ათვისებას. სამაგიეროდ, კარგია სამომავლო გეგმების დასახვისთვის და მოსამზადებელი სამუშაოებისთვის. შესაძლოა, გამოჩნდეს ახალი ადამიანი, რომლის მიმართაც სტაბილური და დიდი გრძნობა დაგეუფლებათ. კარგი პერიოდია მოგზაურობისა და დასვენებისთვის.**

**თევზები** (19.02-20.03)
**თქვენი ამტანობა გაიზრდება და განწყობაც გაგიუმჯობესდებათ. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევთ კომფორტსა და მშვიდ გარემოს. თქვენი პროფესიული საქმიანობა და გაწეული შრომა სათანადოდ დაგიფასდებათ, რაც ენთუზიაზმს შეგმატებთ. დიდი ჩანაფიქრის განხორციელების და ახალი საქმის დაწყების დროა. კარგი პერიოდია ხანმოკლე მოგზაურობებისთვის და ახალი კავშირების დასამყარებლად, ასევე პირადი თუ სასიყვარულო შეხვედრებისთვის.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
### 9, 12 იანვარი

**11 იანვარი - ახალმთვარეობა, პიკი - 11.58 სთ.**
**25 იანვარი - სავსემთვარეობა, პიკი - 17.54 სთ.**

## 8 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.28 საათზე, ჩადის 16.47 საათზე; **მთვარე** გადაინაცვლებს (01.15) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 04.25 საათზე, ჩადის 13.32 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 07.19 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს და ხვალ მოერიდეთ ხალხის მასაში ყოფნას, კონფლიქტებს. მაღალია აურის ენერგოდაბინძურების ალბათობა. სულიერებას მეტი დრო დაუთმეთ. ტრავმულ-ავარიული პერიოდია. მატერიალური საკითხის გადაწყვეტა გართულებულია. კარგი დღეა სწავლისთვის, სულიერი განვითარებისთვის, თანამშრომლობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის და ვარჯიშისთვის, ხელშეკრულების დასადებად, იურიდიული საქმეებისთვის. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. ინტუიცია იმატებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, სერდოლიკი, ნეფრიტი, იაგუნდი, ლაზურიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 9 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.28 საათზე, ჩადის 16.48 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 05.37 საათზე, ჩადის 14.18 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 08.49 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.26 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მეტი კეთილგანწყობა გამოავლინეთ ყველას მიმართ. ძველი პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ახლებურად ურთიერთობისას, შესაძლოა, წარმოიშვას მოულოდნელი სიტუაცია, შურიანობა. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, წყლის პროცედურები, ფილტვების, მხრების, ხელების დაავადების მკურნალობა. კარგი დღეა სპორტული ღონისძიებებისთვის, ვარჯიშისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, თანამშრომლობისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი ხალხის მასაში ყოფნა, მშენებლობა, სისხლის გადასხმა. ბავშვებს ქუჩაში გადაადგილებისას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ამეთვისტო, სარდონიქსი, ლაზურიტი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 10 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.28 საათზე, ჩადის 16.49 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.44) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 06.45 საათზე, ჩადის 15.17 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 10.06 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 05.35 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. აკონტროლეთ ემოციები, კარგად გამოიძინეთ და მოერიდეთ არასასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობას. არ არის სასურველი ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება, მკვეთრი მოძრაობები, ფინანსური ოპერაციები, ახალი კავშირების დამყარება, ქორწინება, ვაჭრობა, გაცვლითი ოპერაციები. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, კოლექციის შესაგროვებლად. ეცადეთ, დღეს სიმშვიდე შეინარჩუნოთ და პროვოკაციას არ აჰყვეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კბილები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, გიშერი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 11 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.27 საათზე, ჩადის 16.50 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 07.45 საათზე, ჩადის 16.29 საათზე (მთვარის 30-ე დღე იწყება 10.57 საათზე. **ახალმთვარეობაა,** პიკი — 15.58 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მძიმე ენერგიების ზემოქმედებაა, რაც განაპირობებს ტრავმებს, ავარიებს, დეპრესია-აგრესიულობას, შეცდომებს, ცდუნებებს, სიჯიუტის გამოვლენას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ. მოერიდეთ პროვოკაციებს, სიმძიმეების აწევას, მკვეთრ მოძრაობებს, ალკოჰოლის მიღებას. შეინარჩუნეთ სიმშვიდე. არ არის სასურველი ფულის სესხება-გასესხება, ფინანსური ოპერაციები, ყიდვა-გაყიდვა, ახალი კავშირების დამყარება, ქორწინება, სტომატოლოგიური პროცედურები. კარგი დღეა მავნე ჩვევისაგან გათავისუფლებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, კოლექციის შესაგროვებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, გიშერი, ამეთვისტო, აქატი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 12 იანვარი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.27 საათზე, ჩადის 16.51 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.11) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.34 საათზე, ჩადის 17.49 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 11.26 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 06.34 საათიდან 07.02 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს წვრილმანს მეტი ყურადღება მიაქციეთ, რადგან მათზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. შესაძლოა, ოჯახში თაობებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ. ურთიერთობებისას მოსალოდნელია სპონტანური იმპროვიზაციები. ნუ გადაიღლებით, ნუ ილაპარაკებთ ზედმეტს და მოერიდეთ ახალი გეგმის გამხელას. არ არის სასურველი ფეხზე დიდხანს დგომა, ოთახის მცენარეებთან მუშაობა, ფორიაქი. კარგი დღეა საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეებისთვის, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, ელექტრო და აირხელსაწყოების შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ლაბრადორიტი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის.

## 13 იანვარი, შაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.27 საათზე, ჩადის 16.52 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 09.12 საათზე, ჩადის 19.10 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 11.43 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.00 საათიდან 24.00 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს კეთილშობილება გამოავლინეთ, სხვებს დაეხმარეთ, ურთიერთობისას კომპრომისი დაუშვით. პრაგმატულად იმოქმედეთ, ფანტაზიებს ნუ აჰყვებით. მოერიდეთ ფორიაქს, ნერვიულობას, ზედმეტ ლაპარაკს, სულსწრაფობას. ყურად იღეთ დედის რჩევები. არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა, დასაძინებელი საშუალებების გამოყენება. კარგი დღეა მშენებლობისთვის, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, ელექტრო, აირ და კომპიუტერული აპარატურის შესაძენად, საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმიანობისთვის, ბინის შესაცვლელად, გართობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ამაზონიტი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 14 იანვარი, კვირა

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.26 საათზე, ჩადის 16.54 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.36) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 09.43 საათზე, ჩადის 20.30 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 11.54 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 07.30 საათამდე. **ტენდენციები: გილოცავთ ძველი სტილით ახალ წელიწადსა და კალანდობას.** სულიერი სიმშვიდე დაიცავით. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, მგზავრობისთვის, ცეკვებისთვის, მუზიცირებისთვის, ძველი და უსარგებლო ნივთებისგან გათავისუფლებისთვის. სასიკეთოა მასაჟი, არომათერაპია. დღეს გასეირნება დაგეხმარებათ აზრის კონცენტრირებაში. არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა, სესხის აღება ან გაცემა, ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, მხედველობა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.



# ნათელი და სანთელი

2023 წლის **უკანასკნელ** დღეებში **უკანასკნელ** გზაზე გააცილა საქართველომ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შვილი — ქართველი პოეტი **თემურ ჩალაბაშვილი.**

ყველანაირად და ყველაფრიანად — კაცობით, ცხოვრების წესით, პოეზიითა და ერისშვილობით — **ლამაზი ქართველი!**

ამ ფოტოებზე, ახლა რომ უმზერთ, *2010 წლის 7 აპრილი დგას — ხარების დღესასწაული* — და მთაწმინდის პანთეონში **ნიკო ფიროსმანის სიმბოლური საფლავის** მოწყობით ხარობს **თემურ ჩალაბაშვილი,** რომელმაც დიდი ძალისხმევა გასწია, რათა მამადავითის წმინდა მიწაზე სხვა დიდი ქართველების გვერდით **დიდ ნიკალასაც** ჰქონოდა მარადიული სავანე.

თავად **თემურ ჩალაბაშვილმა** კი მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჰპოვა სამუდამო ნავთსაყუდელი!

პოეტს, რომელიც თავისი შემოქმედებითა და ცხოვრებით **სანთელივით** იღვენთებოდა სანუკვარი სამშობლოსათვის, მისივე დიდებული ლექსით ვემშვიდობებით:

## სანთელი

**შენ სანთელი ხარ, უფლის ხმობილი,**
**ო, პაწაწინა თაფლის სანთელო,**
**გულია მრევლი ხელაპყრობილი —**
**შენ შეგინახავს ეს საქართველო.**

**ჩამოგიქროლებს სული ტაძართა**
**და ეგ სიწმინდე გასაკვირია.**
**ბევრჯერ მომხდურმა**
**ცრემლი წაგართვა,**
**ბევრჯერ დაღვრილხარ და გიტირია.**

**შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,**
**მაგრამ რამდენი კვნესა გიგრძვნია.**
**შენ, საქართველოს ჭირისუფალო,**
**ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია...**



### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

თარაზულად: 3. რეგენტი; 8. სევანი; 11. ბურუსი; 12. მუმლი; 13. ტოსკანა; 14. რაკენი; 15. სუნამო; 16. მგელი; 17. რქოვანა; 18. ნონეტი; 19. აირანი; 22. ტრიკო; 23. ქილიკი; 26. ზაირი; 28; ტიბალტი; 29. კილი; 32. შეცდომა; 33. ლობიო; 34. ესენინი; 38. კინტო; 39. მონაკო; 42. ბრისტოლი; 44. ლაგამი; 47. მაზანდა; 48. ლუნატიკი; 52. ზავინული; 53. რიკოთი; 56. ლიდერფუდი; 57. პირანია; 61. ორდალია; 62. შიმპანზე; 64. პანაცეა; 65. იო; 66. ქვირითი.

შვეულად: 1. გუგული; 2. მურადა; 3. რიტორი; 4. გასკონი; 5. ნიადაგი; 6. იმამატი; 7. იმბეცილი; 8. სირინოზი; 9. ვიკონტი; 10. ნანატრი; 19. ანტრე; 20. რაბლე; 21. ნოლტი; 23. ქიში; 24. ლაციო; 25. კრონა; 27. რუბაია; 29. კაკო; 30. ლანა; 31. ბოსხი; 33. ლოჟა; 35. სარდუ; 35. ნისია; 37. ნეონი; 39. მიმი; 40. ნეზვი; 41. კონგო; 43. გაზი; 44. ლუვრი; 45. გენია; 46. მილნი; 48. ლელუში; 49. ნადიმი; 50. ტურფა; 51. კრუიზი; 53. რიო; 54. კადრი; 55. თალხი; 57. პაპი; 58. რენო; 59. ნიცა; 60. ამაო; 63. პო.

---

თარაზულად: 1. პორშე; 9. მარანი; 10. ნეპტუნი; 11. რომბი; 12. მათარა; 13. სირტაკი; 14. ტენგე; 15. მორალი; 18. ლიანოსი; 22. ფინია; 24. მიტარბი; 25. ტარო; 26. არომატი.

შვეულად: 1. თარაზო; 2. კაბალა; 3. პირატი; 4. რომანსი; 5. ენისელი; 6. სპარტა; 7. სუნამო; 8. ჯირითი; 15. მამა; 16. როტა; 17. ლირა; 19. იავა; 20. ნოტი; 21. სერი; 22. ფია; 23. ნეო.

| ქალაქი საფრანგეთში | ხარების ბრძოლა | ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.) | ალმასი, ბრილიანტი (მოძვ.) | ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა | NBA-ს კალათ-ბურთელი | მსახი-ობი ... მანიანი |
|---|---|---|---|---|---|---|

| უუფლებო ადამიანი | გაუცხელი უკაპილი | „მაღალის“ ანტონიმი | რისამე ეტაპი | ლოგარითმის წილადური ნაწილი | განთიადი | მსახიობი ... ასათიანი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 3. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყნებში; 8. ტბა სომხეთში; 11. ჯანღი, ნისლი; 12. ქინქლა; 13. იტალიის ოლქი; 14. ე. ზოლა — „ტერეზა ...“; 15. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 16. გარეული ცხოველი; 17. თვალის თხელი, მკვრივი გარსი; 18. ცხრა შემსრულებლის ანსამბლი; 19. შუა აზიური მაწონი; 22. ერთგვარი მკვრივი ქსოვილი; 23. ოხუნჯი, ხუმარა; 26. აფრიკის სახელმწიფო; 28. რომეოს მსხვერპლი ჯულიეტას ნათესავი; 29. მცირე ნაკლი; 32. უნებლიე უზუსტობა, უსწორობა; 33. პარკოსანი კულტურა; 34. რუსი პოეტი; 38. ძველი თბილისის კოლორიტული ფიგურა; 39. ქალაქი საფრანგეთში; 42. საპორტო ქალაქი ინგლისში; 44. ალვირის ნაწილი; 47. რისამე ფასი კერძო ბაზარში; 48. მთვარეული; 52. ავსტრიელი ჯაზ-კლავიშისტი; 53. ულელტეხილი ლიხის ქედზე; 56. ქართული ხორცპროდუქტების ფირმა; 57. მტაცებელი თევზის სახეობა; 61. ბრალდებულის წამება შუა საუკუნეებში; 62. ადამიანის მსგავსი მაიმუნი; 64. ყველა სენის სარგო წამალი; 65. ქალღმერთ ჰერას ქურუმი ქალი (ბერძნ. მით.); 66. თევზის კვერცხების ერთობლიობა.

შვეულად: 1. ტყის ფრინველი; 2. ზურიკელას ძაღლის სახელი (დუმბაძე); 3. მჭევრმეტყველი; 4. საფრანგეთის ისტორიული ოლქი; 5. დედამიწის ქერქის ზედა შრე; 6. იმამის ხელისუფლება; 7. გონებასუსტი ადამიანი; 8. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 9. აზნაურის ტიტული საფრანგეთში; 10. რაც, ვინც ენატრებოდათ; 19. კლოუნის ნომერი — კომედიური სცენა ცირკში; 20. ფრანგი მწერალი; 21. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 23. ერთ-ერთი მდგომარეობა ჭადრაკის თამაშში; 24. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 25. ხის ვარჯი, ხის ტოტები ერთობლივად; 27. სამიჯნურო ხასიათის ლექსი სპარსულ პოეზიაში; 29. ილია ჭავჭავაძე — „... ყაჩაღი“; 30. რეჟისორი ... ღოღობერიძე; 31. ნიდერლანდელი ფერმწერი; 33. რამდენიმე პირისთვის განკუთვნილი ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 35. ფრანგი დრამატურგი; 36. ვალი; 37. ქიმიური ელემენტი, ინერტული გაზი; 39. პანტომიმის მსახიობი; 40. დედალი ღორი, ცხვარი; 41. აფრიკის სახელმწიფო; 43. აირი (ზოგად.); 44. ხელოვნების მუზეუმი პარიზში; 45. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 46. ამერიკელი მწერალი; 48. ფრანგი კინორეჟისორი; 49. დიდი წვეულება; 50. ძალიან ლამაზი, კოხტა; 51. საზღვაო მოგზაურობა; 53. ოსტაპ ბენდერის ოცნების ქალაქი (ლიტ.); 54. ფილმის ცალკე სცენა; 55. შავი, სამგლოვიარო ფერი; 57. კათოლიკური ეკლესიის მეთაური; 58. ფრანგული ავტომობილი; 59. ქალაქი საფრანგეთში; 60. ფუჭი, უნაყოფო; 63. მდინარე იტალიაში.

*კროსვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| აშშ-ის შტატი | ძველი რომის იმპერატორთა ტიტული | მწერალი ... ჭონქაძე | სამოთხის ბინადარი | იაპონიის იმპერატორთა ტიტული | ინდის ხურმა | მონღოლი მმართველი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ვერდის ოპერა | სპორტის სახეობა | ტარიელის მამა („ვეფხისტყაოსანი“) | ძველი საბერძნეთი | ადამიანის გრძნობების გამომხატველი კუნთების მოძრაობა | საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული | ხელოვნების დარგი | იანის საპირისპირო ცნება |
|---|---|---|---|---|---|---|---|

თარაზულად: 3. გერმანული ავტომობილი; 9. ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი; 10. ზღვის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 11. გეომეტრიული ფიგურა; 12. პატარა ლითონის სამგზავრო ჭურჭელი; 13. ბერძნული ცეკვა; 14. ყაზახეთის ფულის ერთეული; 15. ზნეობა; 18. სავანის ტიპი სამხრეთ ამერიკაში; 22. გოშია; 24. ქართული მინერალური წყალი; 25. სამკითხაო ბანქო; 26. კეთილსურნელება.

შვეულად: 1. ვატერპასი; 2. მონური დამოკიდებულება; 3. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე; 4. სასიმღერო პატარა ლექსი; 5. ქართული კონიაკი; 6. ძველი ბერძნული ქალაქი სახელმწიფო; 7. საპარფიუმერიო სურნელოვანი სითხე; 8. ისინდი; 15. ერთ-ერთი მშობელი; 16. იტალიელი კომპოზიტორი; 17. იტალიის ფულის ერთეული; 19. ინდონეზიის კუნძული; 20. მუსიკალური ბგერის გრაფიკული ნიშანი; 21. მოგრძო გორა; 22. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია; 23. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ახალს.



**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდების პასუხები**

| ევროპის სახელმწიფო | ზოდიაქოს ნიშანი | სოფელი კახეთში | ოთახი სასტუმროში | სენაკის სოფელი | სამის რიგითი ნომერი | რიგელი მოჭადრაკე |
|---|---|---|---|---|---|---|

| რბილი, წმინდა ბუმბული | კლდის თხა | ბიბლ. წინასწარმეტყველი | ქალაქი იაპონიაში | ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში | ფულის მისაღები თამასუქი | ლითონი |
|---|---|---|---|---|---|---|

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 8 — 14 იანვარი №3 (1521)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეცნიერ-პოპულარული "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol